

f-493

სსრ კავშირის უმაღლესი განათლების სამინისტრო
თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედი ქართული ენის კათედრის შრომები. 5.

აკაკი შანიძე

სინური მრავალთავი

864 წლისა

და მისი მნიშვნელობა

ქართული ენის ისტორიისათვის

I. აღწერილობანი და გამოცემანი

1. ცნობები ხელნაწერის შესახებ. სინური მრავალთავი, რომლის ტექსტი ამ წიგნშია დაბეჭდილი მთლიანად, წარმოადგენს პირველ ქართულ თარიღიან ხელნაწერს, რომელიც 864 წელსაა გადაწერილი იერუსალიმში, საბაწმიდის ლავრაში. სინური ეწოდება მას იმიტომ, რომ დაწერისთანავე სინას მთას შესწირეს და ამჟამად იქ არის დაცული, წმ. ეკატერინეს მონასტერში.

პირველი ცნობა ამ ხელნაწერის შესახებ გამოაქვეყნა პროფესორმა ალექსანდრე ცაგარელმა, რომელიც 1883 წელს ქართულ ხელნაწერთა და სხვა ქართულ სიძველეთა აღნუსხვა-აღწერის მიზნით პეტერბურგიდან აღმოსავლეთს გაემგზავრა, მოვლო სინას მთა, იერუსალიმი, შემდეგ ათონის მთაც და დაბეჭდა იქ მოგზაურობისა და მეცნიერული მუშაობის ანგარიში¹.

ა. ცაგარელი სინას მთაზე იყო 1883 წ. თებერვალში. აქ მან სამი-ოდე დღის განმავლობაში მეტად მძიმე პირობებში აწერა 93 ქართული ხელნაწერი და მათ შორის მრავალთავი, რომელიც მას 83 ნომრად აქვს აღნიშნული. ა. ცაგარელი 208 ფურცელს თვლიდა ხელნაწერში, რომელიც მისი აზრით ორი არა-თანაბარი ნაწილისაგან შედგებოდა. რომ არსებობდა მესამე ნაწილი, ეს მას ვერ შეუნიშნავს, თუმცა კი უნახავს და აუწერია კიდეც ცალკე ნომრად (№ 86)².

¹ А. Цагарели, Памятники грузинской старины в Святой Земле и на Синае: Православный палестинский сборник, т. IV, Вып. первый, СПб 1888. ამ წიგნის შესავალი ოთხი თავისაგან შედგება: I. Путь в Святую Землю и на Синай (გვ. 1—27). II. Исторический очерк сношений Грузии с Святою Землею и Синаем (გვ. 27—88). III. Описание грузинских памятников в Святой Земле и на Синае (გვ. 89—140). IV. Грузинские колонисты в Палестине (გვ. 140—142). მოსდევს დამატებანი: Приложение I. Каталог грузинских рукописей монастыря св. Креста, близ Иерусалима (გვ. 143—192). Приложение II. Каталог грузинских рукописей Синайского монастыря (გვ. 193—240). Приложение III. Палестинские надписи (გვ. 241—252). Приложение IV. Письмо царя Ираклия II (გვ. 252—253). ბოლოს დართული აქვს Указатель собственных имен (გვ. 255—297), Указатель рукописей по времени их написания (გვ. 299—305), Указатель мест написания рукописей (გვ. 305). ახლავს 11 ტაბულა, ჩართული შეგადაშიგ. ამათგან ყველა დანართი და საძიებლები უცვლელად არის შესული ა. ცაგარელისავე წიგნში: Сведения о памятниках грузинской письменности. Выпуск второй. СПб 1889, гв. 1—119 (თღონდ აქ მართო ხელნაწერთა სურათებია ჩართული). როგორც ჩანს, დანართების ტექსტი გრთსა და იმავე დროს დაიბეჭდა ორივე გამოცემისთვის, მაგრამ სხვადასხვა პაგინაციით: 1/143, 2/144, 3/145 და ასე ბოლომდის (პირველი ციფრი Сведения-ს უჩვენებს, მეორე — Памятники-ს. დანართებად აღნიშნულია ისინი მხოლოდ Памятники-ში).

ათონის მთის ქართ. ხელნაწერების აღწერილობა კი ცაგარელმა ორი წლით ადრე დაბეჭდა წიგნში: Сведения о памятниках груз. письменности. Выпуск первый. СПб 1886, гв. 69—96.

² ა. ცაგარელის შეცდომა ხელნაწერის ფურცლების სათვალავში ადვილი გასაცემა იმ მძიმე პირობების გამო, რომლებშიც მას უნდებოდა ხელნაწერების აღწერა; ოთახებს არ ათბობდნენ, ციოდა, ქარი ქროდა და თოვლი მოდიოდა.

იმავე სინას მთაზე ხელნაწერთა აღწერის მიზნით 1902 წელს იყვნენ ნ. მარი და ი. ჯავახიშვილი¹. 864 წლის მრავალთავის აღწერა წილად ჰხვდომია ნ. მარს, რომლის სინას მთის ხელნაწერთა აღწერილობა დაიბეჭდა მისი სიკვდილის შემდეგ პირდაპირ ისე, როგორც მას სინას მთაზე შეუდგენია, სხვა ახსნა-განმარტების გარეშე².

ნ. მარმა მრავალთავის ორი ნაწილი (№№ 32, 33) ერთად აწერა³, მესამე კი — ცალკე⁴ (№ 57, ცავ. № 86), მაგრამ აღნიშნა, რომ მრავალთავის დაკლებული ფურცლების ერთი ნაწილი № 57 ხელნაწერში აღმოჩნდა⁵. ცაგარლისაგან განსხვავებით ნ. მარმა თავის აღწერილობაში მოიყვანა ნაწევრები ხელნაწერიდან: სათაურები და დასაწყის-დასასრული ცალკეული თავებისა. მარის წიგნს ახლავს სურათები, რაც ბევრს ჰქნატებს აღწერილობის ღირსებას. სურათზე წარმოდგენილია: ყდა (ზედა და ქვედა, ტაბ. I, II), ერთი საფარველი ფურცელი (სირიული ტექსტით), რომელიც ყდაზე ყოფილა დაკრული (ტაბ. VI), გვერდები 59 v და 60 r (ტაბ. XVI), გვ. 273 v (მარით 213, ტაბ. XVII) და ქრონიკონიანი გვერდი 274 r (მარით ფ. 214, ტაბ. XVIII).

მოკლე ცნობა სინური მრავალთავის შესახებ ნ. მარს მოეპოვება კიდევ მის მიერ გამოცემულ სვინაქსარში⁶.

ყველაზე საფუძვლიანი აღწერილობა სინური 864 წლის მრავალთავისა მოეპოვება ლუვენის უნივერსიტეტის პროფესორს ჟერარ გარიტს (Gérard Garitte). იგი მონაწილე იყო სამეცნიერო ექსპედიციისა, რომელმაც 1950 წ. მიკროფილმზე გადაიღო სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში დაცული სხვადასხვა ენაზე დაწერილი ხელნაწერები და, მათ შორის, ქართულებიც⁷. ჟ. გარიტმა, რომელიც ხელმძღვანელობდა ქართული ხელნაწერების მიკროფილმზე გადაღების საქმეს სინას მთაზე, 1956 წელს გამოსცა სინას მთის სალიტერატურო ჟანრის ქართულ ხელნაწერთა ვრცელი აღწერილობა⁸, სადაც სინურ მრავალთავს უჭირავს გვ. 72—97. აქ უკვე გამოვლენილია, რომ ა. ცაგარლისა და ნ. მარის მიერ ცალკე ნომრად აწერილი ერთი ხელნაწერი

¹ H. Marr, Предварительный отчет о работах на Синае, веденных в сотрудничестве с Н. А. Джаваховым, и в Иерусалиме, в поездку 1902 года (апрель—ноябрь): Сообщения И. Православного Палестинского общества, т. XIV, ч. II (1903). სინური მრავალთავის შესახებ აქ საუბარია 50-ე გვერდზე.

² H. Marr, Описание грузинских рукописей Синайского монастыря. М.—Л. 1940.

³ Описание, გვ. 1—26.

⁴ იქვე, გვ. 93—97.

⁵ იქვე, გვ. 2.

⁶ Le synaxaire géorgien. Rédaction ancienne de l'union arméno-géorgienne. Publié et traduit d'après le manuscrit du couvent Iviron du mont Athos par N. Marr. Patr. Or., t. XIX, f. 5, Paris 1926.

⁷ მოკლე სარჩევი ამ მიკროფილმებისა, ექსპედიციის საქმიანობის მოთხრობით, მოცემულია წიგნში: Checklist of Manuscripts in St. Catherine's Monastery, Mount Sinai, microfilmed for the Library of Congress, 1950. Prepared under the Direction of Kenneth W. Clark, General Editor of the Mount Sinai Expedition 1949—50. Washington 1952.

⁸ G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du mont Sinai (CSCO, vol. 165). Louvain 1956.

(ცაგ. 86, მართი 57) შუა ნაწილია მრავალთავისა, და იგი სხვა ნაწილებთან არის განხილული. ჟ. გართის მოყვანილი აქვს თავების სათაურები, მათი დასაწყის-დასასრული, ყველა ეს ნათარგმნია ლათინურად და დართული აქვს ბიბლიოგრაფიული ცნობები თვითეული თხზულების შესახებ, რომლებიც მრავალთავში მოიპოვება.

მე-17 თავი, რომელსაც წინ აკლია (გვ. 90—93), ჟ. გართის ტიმოთე იერუსალიმელის თხზულება ჰგონებია¹, მაგრამ ილია აბულაძემ გამოარკვია, რომ ეს ნაკლული თხზულება ეკუთვნის ეგსუქი იერუსალიმელს.

2. მრავალთავის რაობა და შიგ შესული თხზულებანი. სინური მრავალთავის ბოლოს დართულ ანდერძში ნათქვამია: „მე, მაკარი ლეთეთელი, ძმ გიორგი გრძელისაჲ, ცოდვილი ფრიად, ღირს მყო ღმერთმან შესაქმედ წმიდისა ამის წიგნისა მრავალთავისა თანა-შეწენითა ძმისა ჩუენისა სულიერად პიმენ კახისაჲთა და ჯელთ-წერითა დედის ძმის წულისა ჩემისა ამონა ვახთანგ მოძარღულისა ძისაჲთა“. აქედან ჩანს, რომ წიგნს ეწოდება „მრავალთავი“, რომელიც ნიშნავს, რომ იგი მრავალი თავისგან, ე. ი. მრავალი ნაწარმოებისაგან არის შემდგარი. შინაარსით იგი წარმოადგენს დღესასწაულთა შემკობას, როგორც ეს ნათქვამია ცოტა ქვემოთ: „ამას შინა არს შემკობაჲ წელიწდისა დღესასწაულთა ყოველთაჲ, თქუმული წმიდათა მოძღუართაჲ“.

რადგანაც ხელნაწერს ამჟამად ბევრი აკლია, ამიტომ „ყველა დღესასწაულის“ შემკობა აღარ მოიპოვება შიგ, მაგრამ, რაც გადარჩა და მოიპოვება, დიდი განძია ქართული ენის ისტორიისათვის.

„მრავალთავ“ ტერმინის შესახებ კ. კეკელიძე წერდა: „მრავალთავი წმიდათა მარტვილობა-ცხოვრების კრებულს ეწოდება. ასეთი სახელი იმიტომ ჰქვია ამ კრებულს, რომ იმაში არა ერთი ცხოვრება და შესხმაა, არამედ მრავალი“². ი. ქსიფილინოსის ცნობით (XI ს.), ზოგ პირს მრალთავად მიაჩნდა კიმენური რედაქციის წმიდათა ცხოვრება-წამებანი³.

ცნობილია რამდენიმე ძველი (IX—XI ს.-თა) მრავალთავი, რომელთაგანაც ოთხი საქართველოს მუზეუმშია დაცული: გურიის უდაბნოსი (A 1109), ე. წ. „სვანური“ (A 19), პარხლისა (A 95) და A 144. ამას გარდა, ათონის მთაზე დაცულია ერთი მრავალთავი (№ 11 ბლეიკის აღწერილობით)⁴.

ძველად, X—XI საუკუნეებში, მრავალთავი მეტად საჭირო წიგნი იყო და იგი ყოველ მონასტერსა და დიდ საეპისკოპოსო საყდარს უნდა ჰქონოდა. მელქისედეკ კათოლიკოსს შეუწირავს სვეტიცხოვლისათვის „სათანაო მრავალთავი“⁵. გრიგოლ ბაკურიანის ძემ მის მიერ დაარსებულს პეტრიწონის მონასტერს შესწირა სხვადასხვა წიგნი და მათ შორის მრავალთავიც: „სხუაჲ ერთი წიგნი მრავალთავი“ (თ. 34 A, მუხლი 31).

¹ მარიც ასევე ვარაუდობდა: „Слово, повидному, Тимофея Иерусалимского (без начала)“: Описание, 93.

² ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ნაწ. პირველი. კიმენი, ტ. I (1918), გვ. XI.

³ კ. კეკელიძე; Иоанн Кефелин: XB I, 1912, 340—341; 343.

⁴ R. P. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque de la Laure d'Iviron au mont Athos (სათანაო ნომერი ცაგარლით იქნება: 57).

⁵ კ. კეკელიძე, ეტიუდები ძვ. ქართ. ლიტ.-ის ისტორიიდან, I, 247.

მრავალთავის ცალკეული თავები საკითხავენად იყო განკუთვნილი ამა თუ იმ დღესასწაულისთვის. ეს კიდევაც აღნიშნულია სათაურებში ბევრგან, მაგ.: საკითხავნი ხარებისანი (გვ. 3, სამი საკითხავი); საკითხავი წმ. ღმრთის მშობელისათვის და ზაქარიაჲს დადუმებისა (გვ. 24), საკითხავნი წმ. შობისანი (გვ. 31, სამი საკითხავი), წმ. იაკობ მოციქულისა და ძმისა უფლისა საკითხავი (გვ. 55), საკითხავნი წმ. განცხადებისანი (გვ. 74, ოთხი საკითხავი), საკითხავნი წმ. მარხვათანი (გვ. 100, ორი საკითხავი), საკითხავნი წმ. ლაზარსნი (გვ. 124), საკითხავნი ახალკვრიაკისანი (გვ. 171) და სხვ¹.

როგორც აღნიშნული აქვს ჟ. გარიოთსაც², სინური მრავალთავის შემონახულ ნაწილში „შემკობილია“ შემდეგი დღესასწაულები (უძრავი და მოძრავი): ხარება (25 მარტს, №№ 1—4), შობა (25 დეკემბერს, №№ 5—7), წმ. იაკობისი (26 დეკ., № 8), წმ. სტეფანესი (27 დეკ., №№ 9—10); წმ. ბასილისი (1 იანვ., №№ 11—12), განცხადება (6 იანვ., №№ 13—16), მირქმა (2 თებერვ., №№ 17—18), მარხვანი (№№ 19—20), ორმოცთა მოწამეთა (9 მარტს, № 21), ბზობის ორშაბათი (№ 22), ბზობა (№№ 23—25), დიდი ორშაბათი (№ 26) [აქ აკლია 75 ფურცელი]; აღესება (№№ 27—28), ახალკვირიაკე (№№ 29—30), ამაღლება (№ 31), მარტვილია (№№ 32—33), იოვანე ნათლის-მცემლის შობა (24 ივნისს, მარტივი ხსენება), ფერისცვალება (6 აგვისტოს, № 34), მიძინება (15 აგვისტოს, №№ 35—36), იოვანე ნათლის-მცემლის თავის კვეთა (29 აგვისტოს, №№ 37—38), ღვთის-მშობლის შობა (8 სექტემბერს, მარტივი ხსენება), სატფურება (13 სექტემბერს, №№ 39—40), ჯვართ ამაღლება (14 სექტემბერს, №№ 41—43), წამება პეტრესი და პავლესი (28 დეკემბერს³, №№ 44—45), შესვენებულთა დღესასწაული (პირველ კვირას მარტვილიის შემდეგ⁴ №№ 46—49), სინა-რაითის მამათა მოსრვა (13 იანვარს⁴, № 50).

ის გარემოება, რომ ხარება უსწრებს შობას, ქართული მრავალთავის თავისებურებაა სათანადო ბერძნულ წიგნებთან შედარებით, სხვა მხრივ კი იგი ასე თუ ისე ბერძნული მრავალთავების C ტიპს მისდევს, ამბობს ჟ. გარიოთი⁵.

აღსანიშნავია მაინც, რომ სამი უკანასკნელი დღესასწაული, რომელთაც 7 საკითხავი აქვთ განკუთვნილი (№№ 44—50), არღვევს დღესასწაულთა საწელიწდო რიგს⁶.

¹ ნახეთ შინაარსი (გვ. 05—09).

² Catalogue, pp. 92—93.

³ პეტრე და პავლეს წამებას მრავალთავები A 19 და A 95 28 დეკემბერს დასდებენ ჟ. გარიოთი 8 მაისს უჩვენებს.

⁴ სინელთა და რაითელთა მოწყვედა იოვანე-ზოსიმეს კალენდრით დადებულია 13 იანვარს (ჟ. გარიოთი 14 იანვარს უჩვენებს).

⁵ C ტიპად იგულისხმება ერთი სამ ტიპთაგანი, რომლებიც დაუდგენია A. Ehrhard-ს ამგვარი ბერძნული შესწავლითი კრებულების მიმოხილვისას: A. Ehrhard, Überlieferung und Bestand der hagiographischen und homiletischen Literatur der griechischen Kirche von den Anfängen bis zum Ende des 16. Jahrhunderts. Erster Teil. Die Überlieferung. 3 Bde (Texte u. Unters. 50, 51, 52). Leipzig 1937, 1938, 1943—52, II, 65—91. (ვიმოწმებ ჟ. გარიოთის ცნობის მიხედვით: Catalogue, p. 93).

⁶ ჟ. გარიოთი, იქვე, გვ. 93.

სინურ მრავალთავში მოთავსებულ თხზულებათა ავტორები ცნობილი პირებია, რომლებიც საეკლესიო და სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობდნენ III—V საუკუნეებში¹: ამონიოს (IV ს.), ათანასი ალექსანდრიელი (+ 373 წ.), ანთიპატროს ბოსტრელი (V ს.), ბასილი კესარია კაპადოკიელი (+ 349), გრიგოლ ნეოკესარიელი (+ 270-275), ევსები კესარიელი (+ 339-340), ევსუპი იერუსალიმელი (V ს.), ეპიფანე კპრელი (+ 403), ეფრემ ასური (+ 373), იოვანე ოქროპირი (+ 407), კირილე იერუსალიმელი (+ 386), ლუკიანე (V ს.), მელეტი ანტიოქელი (IV ს.), პროკლე კონსტანტინეპოლელი (+ 446), სევერიანე გაბალონელი (+ 408)².

შემოწმებას მოითხოვს საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად სწორია ცალკეულ თხზულებათა სათაურებში ნაჩვენები ცნობა, რომ „თქმული“ ამა და ამ ავტორისაო. შეიძლება ავიღოთ ერთი მაგალითი, რომელიც მეტად დამახასიათებელია. საშობაო საკითხავი, რომელიც ასე იწყება: „საიდუმლოსა უცხოთა და დიდებულთა ვხედავ“ (გვ. 31—39), ჩვენი ხელნაწერის მიხედვით ათანასი ალექსანდრიელს მიეწერება. ამავე პირს ასახელებს იმავე თხზულების ავტორად აგრეთვე „სინური“ მრავალთავიც (A 19, გვ. 41—52) და პარხლისაც (A 95, გვ. 46—58), როგორც ეს აღნიშნულიც აქვს კ. კეკელიძეს³. მაგრამ იმავე თხზულების რუსული თარგმანი დაბეჭდა პროფ. ნ. საგარდაძე გრიგოლ ნეოკესარიელის თხზულებათა შორის იმ ტექსტის მიხედვით, რომელიც სომხურიდან ლათინურად ეთარგმნათ (J. Pitra, *Analecta sacra*, t. IV. 386—387)⁴, თანაც აღნიშნა, რომ ამ თხზულების დედანი ბერძნულ ენაზე დაკარგულად ითვლებოდაო; მე კი გამოვარკვეო, რომ იგი ბერძნულად დიდი ხანია ცნობილია და იბეჭდება კიდევ, ოღონდ იოანე ოქროპირის საეკლესიო თხზულებათა შორისო“ (მაგ., PG. t. LVI, col. 385—394, რუს. თარგმანი, შესრ. პეტერბ. სას. აკადემიის მიერ, ტ. VI, გვ. 692—699)⁵.

ამგვარად, ზემოთ დასახელებული თხზულება მიეწერება სამ ავტორს: ათანასი ალექსანდრიელს, გრიგოლ ნეოკესარიელს და იოანე ოქროპირს, მაგრამ, თუ რომელი მათგანისაა ნამდვილად, ამ საკითხის კვლევა პატროლოგიის სპეციალისტებისთვის მიგვიწევს. ჩვენს მრავალთავებში, კერძოდ სინურში, იგი ათანასის თხზულებადაა მიჩნეული და ამ ჩვენებას ჩვენ ხელუხლებლად ვტოვებთ. შეიძლება ავტორობის საკითხი წამოიჭრას ზოგიერთ

¹ წამებაჲ სტეფანოსი A 95-ით მიეწერება ლუკა მახარებელს (I ს.), მაგრამ, რა თქმა უნდა, ცნობა მეტად საეჭოა. ალბათ, არჩეულია ლუკიანე და ლუკა.

² ცნობები ამ ავტორთა ცხოვრებისა და გარდაცვალების წლების შესახებ ამოკრეფილია კ. კეკელიძის წერილიდან: „უცხო ავტორები ძველ ქართულ მწერლობაში“ (ქართ. ლიტ. ისტორია, I, 1941, გვ. 569—676; ეტიუდები ძველი ქართ. ლიტერატურის ისტორიიდან, V, 1957, 8—114) და შედარებულია ალთანერის წიგნის ცნობებთან: B. Altaner, *Patrologie*. 1958.

³ კ. კეკელიძე, ქართ. ლიტერატურის ისტორია, I (1941), გვ. 571; ეტიუდები ძველი ქართ. ლიტერატურის ისტორიიდან, V (1957), გვ. 9.

⁴ Творения св. Григория Чудотворца, епископа неокесарийского. Перевел профессор Николай Сагарда. Петроград, 1916, стр. 156—171.

⁵ ხსენ. თხზულების წინასიტყვაობა, გვ. IV—V.

სხვა თხზულებათა შესახებაც, რომლებიც სინურ მრავალთავშია შესული, მაგრამ ამგვარი საკითხი ამ გამოცემის ფარგლებს სცილდება.

3. ტექსტის გამოცემანი. სინური მრავალთავის ტექსტი აქ მთლიანად არის გამოცემული, მაგრამ ნაწილობრივ იგი ცნობილი იყო აქამდეც:

ა) სინა-რაითის მამათა მოსრვის ამბავი (გვ. 266 — 279) მთლიანად დაბეჭდა კ. კეკელიძემ 1918 წ. (ქართ. ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ტ. I, კიმენი. გვ. 28—44). გამოცემას საფუძვლად უდევს სინური ხელნაწერის ტექსტი (ნ. მარის გადმონაწერის მიხედვით), ხოლო ვარიანტები მოყვანილია ათონზე დაცული მრავალთავიდან (ფოტოსურათების მიხედვით).

აქედან ერთი ნაწყვეტი მე გადავიღე ჩემს „ძველი ქართულის ქრესტომათიაში“ (1935, გვ. 36—39), ხოლო მთლად გადაბეჭდა ივანე იმნაიშვილმა თავის „ქართ. ენის ისტორიულ ქრესტომათიაში“ (I გამოც. 1949, გვ. 204—220; II გამოც. 1953, გვ. 202—218).

ბ) პოვნაჲ წმ. სტეფანოსი (გვ. 63—69) გამოაქვეყნა ნ. მარმა ფრანგული თარგმანითურთ: *Le synaxaire géorgien*, pp. 657—670. გამოცემულია ორი ხელნაწერის მიხედვით: ათონის მრავალთავისა (ცაგ. № 57, ბლეიკ. № 11) და სინურისა.

გ) წამებაჲ კეტრე მოციქულისაჲ ჰრომეს შინა (გვ. 245—250). ამ თხზულების ნაწყვეტი გადავბეჭდე ჩემს „ძვ. ქართულის ქრესტომათიაში“ (1935, გვ. 39—40) ფოტოსურათის მიხედვით, რომელიც ახლავს ა. გენკოს წერილს ჟურნალში: *Тексты и разъяснения по кавказской филологии*, т. I (Ленинград 1925). ეს ის ნაწყვეტია, რომელიც სინურ ხელნაწერში მოთავსებულია ორ გვერდზე: 234 v—235 r (ამ გამოცემაში: 245, 21—246, 18).

სინურ მრავალთავში შესული ტექსტები რამდენადმე ცნობილია ბეჭდურად სხვა ხელნაწერების მიხედვით:

დ) ათანასი ალექსანდრიელის ქრისტეს შობის საკითხავი (გვ. 31—39) დაბეჭდა ილია აბულაძემ (ენიმკის მოამბე, XIV, 1944, გვ. 279—288). ტექსტი დაბეჭდილია A 19 და A 95 ხელნაწერთა მიხედვით.

ე) ეპიფანე კვიპრელის „წმ. მარადის ქალწულისა მარიამისთჳს“ (გვ. 46—54). ამ თხზულების ნაწყვეტი დაბეჭდა ილია აბულაძემ (ენიმკის მოამბე, XIV, 1944, გვ. 260—261); ნაწყვეტი უდრის ამ გამოცემის 46-ე გვერდზე დაბეჭდილ ტექსტს ორი უკანასკნელი სტრიქონის გამოკლებით. ტექსტი გადმოუღია A 19-დან.

3) იაკობ მოციქულის საკითხავი (გვ. 55—57) გამოსცა კ. კეკელიძემ: ქართ. აგიოგრაფ. ძეგლები, ნაწ. პირველი. კიმენი, ტ. II (1946), გვ. 98—100. გამოცემულია A 19 და A 95 ხელნაწერთა მიხედვით. იგივე ტექსტი გადაბეჭდა ი. იმნაიშვილმა თავის „ქართ. ენის ისტორიულ ქრესტომათიაში“ A 19 ხელნაწერის მიხედვით (I გამოც. 1949, გვ. 293—297; II გამოც. 1953, გვ. 287—289).

ზ) წამებაჲ წმ. სტეფანოსი (გვ. 58—62) გამოსცა ი. იმნაი-შვილმა („ქართ. ენის ისტ. კრესტომათია“, I გამოც. 1949, გვ. 293—297, II გამოც. 1953, გვ. 290—294) იმავე A 19 ხელნაწერის მიხედვით.

ც) პოვნაჲ წმ. სტეფანოსი (გვ. 63—69) გამოსცა ნ. მარმა და დაურთო ფრანგული თარგმანი: *Le synaxaire géorgien*, pp. 657—670. მან იგი დაბეჭდა ორი ხელნაწერის მიხედვით: ათონური მრავალთავისა (ცაგ. № 57, ბლევ. № 11) და სინური მრავალთავისა. იგივე ტექსტი გამოსცა ი. იმნაი-შვილმა („ქართ. ენის ისტ. კრესტომათია“, I გამ. 1949, 298—305; II გამ. 1953, გვ. 294—301) A 19 ხელნაწერის მიხედვით.

თ) გამოჩინება ჯუარისაჲ (გვ. 237—243). ეს თავი დაგბეჭდე ჩემს „ძველი ქართულის კრესტომათიაში“ (1935, გვ. 45—52) უდაბნოს მრავალთავის მიხედვით (A 1109).

ი) პოვნაჲ სამსკუალთაჲ (გვ. 243—244) დაბეჭდა იოსებ ყიფ-შიძემ (*Древнегрузинская хрестоматия с словарем*. Петроград, 1918) და გადაბეჭდეს ნ. მარმა და მ. ბრიერმა (*N. Marret et M. Brière. La langue géorgienne*. Paris 1931, pp. 567—569). მეც დაგბეჭდე იგი უდაბნოს მრავალთავის მიხედვით (A 1109) („ძველი ქართულის კრესტომათია“, 1935, გვ. 52—54).

ია) წამებაჲ წმ. პეტრე მოციქულისაჲ (გვ. 245—250) დაბეჭდა ნ. მარმა ფრანგული თარგმანითურთ ათონის მრავალთავის მიხედვით: *Le synaxaire géorgien*, pp. 715—725.

იბ) წამებაჲ წმ. პავლე მოციქულისაჲ (გვ. 250—254) დაბეჭდა ნ. მარმა ფრანგული თარგმანითურთ ათონის მრავალთავის მიხედვით (ცაგ. № 57, ბლევ. № 11): *Ib.*, pp. 725—733.

დასასრულ, აღსანიშნავია, რომ სინური მრავალთავის ტექსტების ნაწყვეტები რამდენადმე ცნობილი იყო ხანმეტი მრავალთავიდანაც, რომლებიც მე 1927 წელს გამოვაქვეყნე (ხანმეტი მრავალთავი: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VII) და გადაბეჭდა ი. მოლიტორმა¹. ასეთებია:

იგ) ერთი ნაწყვეტი იოვანე ოქროპირის მესამე სანათლისგებო სიტყვიდან (აქ დაბეჭდილის მიხედვით: 81,3—82, 21): ტუმ VII, გვ. 129—131; *J. Molitor, Monumenta iberica*, pp. 69—71.

იდ) იოვანე ოქროპირის საკითხავიდან „შესლვასა უფლისასა იერუსალემდ“ (141 და შემდგომი) ხანმეტი მრავალთავში გადარჩენილია მცირე ნაწყვეტი, რომელიც უდრის აქ დაბეჭდილ ტექსტს: 142, 18—143, 6 (ტუმ. VII, 133—134; *J. Molitor, Monumenta iberica*, pp. 73—74. ხანმეტი მრავალთავის ფურცელი, რომელზედაც მოთავსებულია ეს ტექსტი, ჩამოჭრილია შუას ქვემოთ, რის გამოც ტექსტი სამგანაა გაწყვეტილი: პირველი გვერდის ორსავე სვეტში და მეორე გვერდის პირველ სვეტში.

¹ J. Molitor. *Monumenta iberica antiquiora. Textus chanmeti et haemeti ex inscriptionibus, S. Bibliis et patribus collegit et in linguam latinam convertit addito glossario* Joseph Molitor (CSCO, vol. 166). Louvain 1956.

იე) სინურმა მრავალთავე გამოაჩინა, რომ ხანმეტ მრავალთავე მოთავსებულ ოთხ უცნობ ნაწყვეტთაგან ორია სევერიანე გაბალონელის თქმულიდან „შესხმისათჳს ყრმათაჲსა და დაჯდომისათჳს უფლისა კიცუსა ზედა შესლვასა მისსა იერუსალემდ“ (გვ. 132—140)¹. აქედან ხანმეტ მრავალთავე მოიპოვება შემდეგი ნაწყვეტები: ა)... „უსწავლელთა ყრმათა, რასა ხუმეტესა ლალადებენ“, ვიდრე: „ჩუენ ზედა-გუაც სიტყჳს გებაჲ და მოკსენებაჲ წერილისაჲ, რლ“ (გვ. 135, 15—34=ტუმ. VII, 149—150, J. Molitor, Monumenta iberica, 88. ბ). ... „არს და გონიერ ყვნის ჩჳლნი“, ვიდრე: „აჲ, ძმანო, გულისხმა-ყავთ, რ წინაწარმეტყუელნი ქრისტესა ქადაგებენ, მეუფესა იერუსალემისასა, რ ხიტყჳს“ (137, 11—34=ტუმ. VII, 145—146; J. Molitor, Monumenta iberica, 84).

იე) სინურმა მრავალთავე ცხადყო აგრეთვე, რომ წინათ უცნობი ერთი ხანმეტი ტექსტის ნაწყვეტი ეკუთვნის ანთიპატროს ბოსტრელს², რომლის თქმული „წმ. ღმრთისმშობელისათჳს და ზაქარიაჲს დაღუშებისათჳს“ აქ მოთავსებულია 24—30 გვერდებზე. ხანმეტი ნაწყვეტი („ხესმა, იწრაფა და შევიდა სახლსა ზაქარიაჲსსა“, ვიდრე: „და ვითარ გამოჲდა უდაბნოჲსაგან“) უდრის აქ დაბეჭდილ ტექსტს: 29, 5—30 და J. Molitor, Monumenta iberica, 86.

II. ხელნაწილის შექმნა და დღევანდელი ვითარება

1. წიგნის შექმნის ინციატორი და მიზანი. სინური მრავალთავე პალესტინური წარმოშობისაა: იგი დაუწერიათ საბაწმიდის ლავრაში და შეუწირავთ სინას მთისთვის. დაწერის ადგილი და დრო იშვიათი ზედმიწევნით არის აღნიშნული: „დაიწერა ესე წიგნი იერუსალემს ლავრასა დიდსა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა საბაჲსსა დღეთა ღმრთის მოყუარისა თევდოსი პატრეაქისათა და საბაწმიდას პატრიოსნისა და სანატრელისა სოლომონ მამასახლისისათა³. და დაიწერა წმიდაჲ ესე წიგნი დასაბამითგანთა წელთა⁴ ხჳდ(6468), ქრონიკონი იყო ჰდ (84)“.

იერუსალიმის პატრიარქად თევდოსი ჩანს 862—878 წლებში⁵. დაწერის წელი ორი სათვალავით არის აღნიშნული: დასაბამითგანთა (ხჳდ 6468) და 532-წლიანი კვიკლოსით (ქრონიკონსა ჰდ 84). ორივე სათვალავი ქართული სისტემით არის მოცემული და ორივე ერთსა და იმავე წელს გვაძლევს: 6468—5604=864; 780+84=864.

¹ ა. შანიძე, ახალი ცნობა ხანმეტი მრავალთავე შესახებ: სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 67, გვ. 299.

² ა. შანიძე, ახალი ცნობა ხანმეტი მრავალთავე შესახებ, იქვე, გვ. 300.

³ ამ მამასახლისის სახელს ა. ცაგარელი შეცდომით სიმეონად აცხადებს: Каталог рукописей Синайского монастыря, გვ. 93/235.

⁴ ხელნაწერში შეცდომით სწერია „წერთა“.

⁵ საქ. ეკლესიის კალენდარი 1950 წლისათვის, გვ. 123.

წიგნის „შექმნა“ განუზრახავს და სისრულეში მოუყვანია მაკარი ლეთელს, გიორგი (გ^წ) გრძელის ძეს, რომელსაც წიგნი სინას მთისთვის შეუწირავს. მაკარი ლეთელს ამ საქმეში დაჰხმარებია („თანა შეწვენითა“-ო, ნათქვამია ანდერძში) სულიერი ძმა პიმენ კახი და მისი (მაკარის) დედის ძმის-წული ამონა, რომელიც ყოფილა ძე ვახთანგ მოძარღულისა.

ვინ არის ეს მაკარი ლეთელი? ლეთეთი ამჟამად სოფელია ქარელის სამხრეთით 7-ოდე კილომეტრის მანძილზე და ზემო ლეთეთისა და ქვემო ლეთეთის სახელწოდებით შედის ქარელის სასოფლო საბჭოში, რომელიც შემდეგი სოფლებისაგან შედგება: ქარელი, აფნისი, ბებნისი, გომბორი, ზემო ლეთეთი, ქვემო ლეთეთი, ქვემო ხვედურეთი¹. ჩვენი მაკარი ამ ლეთეთიდან იყო თუ სხვა ლეთეთიდან, ამის შესახებ ვერაფერს ვიტყვით; აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იგი უნდა ყოფილიყო გრიგოლ ხანძთელის მოწაფე. გრიგოლ ხანძთელის „ცხოვრებაში“ იკითხება: „მას ჟამსა შინა იყვნეს ვინმე იერუსალემს მოწაფენი ნეტარისა გრიგოლისნი, კაცნი შუენიერნი, კეთილნი მონაზონნი, სრულნი სიბრძნითა და სასწაულთა მოქმედნი, მეძიებელნი სასუფეველისანი და მეოტნი დიდებისაგან ამის სოფლისაჲსა, მღვდლნი დარსნი, შვილნი დიდებულითა აზნაურთანი, ტომნი დიდისა ეფრემ მაწყურერელ ეპისკოპოსისანი“. ამ მოწაფეებს წერილი („წიგნი“) მოუწერიათ თავისი მოძღვრისთვის და გამოუტანებიათ საქართველოდან იერუსალიმს ჩასული მოსე მღვდლისთვის („მო-ვინმე-ვიდა მანდათ კაცი, მონაჲ ღმრთისაჲ, მღვდელი ბერძენი“-ო), რომელსაც გრიგოლი ენახა ხანძთაში და მისი ამბავი ჩაეტანა მოწაფეებისთვის იერუსალიმში. ეს წერილი („წიგნი“) მთლიანად ჩაურთავს გიორგი მერჩულეს გრიგოლის „ცხოვრებაში“² და იქიდან ვტყობილობთ, რომ ეს მოწაფეებია „უგმარი არსენი და მაკარი უძლური“. არსენის შესახებ არსად არავითარი ცნობა არ მოიპოვება სინური მრავალთავის ანდერძში, ან მინაწერში, „მაკარი უძლური“ კი უთუოდ ის მაკარი ლეთელია, რომელსაც „შექმნა“ მრავალთავი სამი წლის შემდეგ გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებიდან: გრიგოლი გარდაიცვალა 81 ქრონიკონს (ე. ი. 861 წელს: „იყო გარდაცვალებაჲ ნეტარისა მამისა გრიგოლისი რიცხუსა წელიწადთა მისთასა ას და მეორესა წელსა ქრონიკონსა ოთხმეოცდა ერთსა“³), ხოლო საბაწმიდაში მრავალთავი სინას მთისთვის დაწერეს 84 ქრონიკონს (ე. ი. 864 წ.).

რომ მაკარი ლეთელი გრ. ხანძთელის მოწაფე უნდა იყოს, ეს აზრი პირველად ნ. მარსა აქვს გამოთქმული. თუ აზრი სწორია (და მე მგონია, რომ სწორია), მაშინ ცხადია, რომ მაკარი ლეთელი ყოფილა დიდებულ აზნაურთაგანი, ნათესავი ეფრემ მაწყერლისა⁴.

¹ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1949 წლის 1 სექტემბრისათვის, სახელგამი, თბილისი 1949, გვ. 89.

² ცხოვრებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ (ნ. მარის გამოცემით: Георгий Мерчул. Житие Григория Хандзтийского. ТР VII, СПб. 1911), გვ. 43—44.

³ იქვე, გვ. 3.

⁴ იქვე, გვ. XVIII.

2. ფურცელთა რაოდენობა და სხვა¹. სინური მრავალთავი დაწერილია საშუალო ხარისხის ეტრატზე, რომლის ფურცლები ხშირი ხმარებისაგან გაქუპყიანებულია, განსაკუთრებით გარე აშიებზე, რომლებიც გაშავებულან ქვემო ნაწილის ნაპირებზე.

ხელნაწერი, ერთ დროს მთლიანი, დღეს სამი ნაწილისაგან შედგება, რომელთაც თავ-თავისი ნომერი აქვთ (32, 57, 33). ეს ნომრები არ ემთხვევა ა. ცაგარლის ნაჩვენებ ნომრებს² და დასმული უნდა იყოს მარ-ჯავახიშვილის ექსპედიციის დროს 1902 წელს.

პირველ ნაწილში 84 ფურცელია (ფ. 1—84), მეორეში — 60 (ფფ. 85—144) და მესამეში — 131 (ფფ. 145—275). ამჟამად სამივე ნაწილის ფურცლები ერთიანი სათვალავით არის აღნუსხული 1-დან 275-მდე. ეს ახალი ნომრები სხედს ფურცლის წინა გვერდის ზედა აშიაზე მარჯვენა მხარეს, მეორე სვეტის პირველი სტრიქონის უკანასკნელი ასოების თავზე. პირველ ნაწილს (ფფ. 1—84) სხვა პაგინაცია ფურცლობრივ არა აქვს, მაგრამ მეორისა და მესამე ნაწილის ფურცლებს დასმული აქვს (მგონია, ნ. მარის ხელით და ფანქრით) ძველი ნუმერაცია, რომელიც მეორე ნაწილს ცალკე წიგნად ვარაუდობს (ფფ. 1—60), ხოლო მესამე ნაწილს — პირველის გაგრძელებად. ამიტომ მეორე ნაწილში ახალი ნომრები 84-ით მეტია ძველზე, მესამეში კი — 60-ით. ორმაგი ნუმერაცია ასეთია: 1/85, 2/86, 3/87...59/143, 60/144; 85/145, 86/146...213/273, 214/274.

ჟ. გარითს შეუნიშნავს, რომ ფფ. 4 და 5 გადასმულია ერთიმეორის ადგილას, მაგრამ ტექსტის შესწავლამ გამოარკვია, რომ გადასმულია აგრეთვე 32-ე რვეულის ოთხი ფურცელი: 172, 173, 174, 175. ეს არეული ფურცლები ასე უნდა მისდევდნენ ერთმანეთს: 173/172, 175/174 და ჩვენც ტექსტი ასეთი თანამიმდევრობით დაგვჭედეთ.

რვეულები საზოგადოდ რვა-რვა ფურცლისაგანაა შემდგარი, გარდა უკანასკნელისა, რომელიც ათ-ფურცლიანია (ფფ. 266—275). წიგნის დაწერისას (84 ქრონიკონს) რვეულები დაუნომრავთ ქართ. ასოებით; ნომრები სხედს რვეულის თავსა და ბოლოში, თავში — პირველი ფურცლის წინა გვერდის ზედა აშიაზე შუაში, ბოლოში — უკანასკნელი (მერვე) ფურცლის უკანა გვერდის ქვედა აშიაზე, აგრეთვე შუაში. წინა ნომრები ყველა მოიპოვება (რა თქმა უნდა, თუ მოღწეულია რვეულის პირველი ფურცელი); რაც შეეხება უკანა ნომერს, იგი არა აქვს შემდეგ რვეულებს (რამდენადაც უკანასკნელი ფურცელი არის): ბ (ფ. 14 v), თ (ფ. 70 v), იბ (ფ. 92 v), იგ (ფ. 100 v), იე (ფ. 116 v), ლბ (ფ. 177 v), ლზ (ფ. 217 v) და მდ. ამას გარდა, ორ რვეულს (ა და ყ) უკანა ნომრები ზედა აშიაზე აქვს და არა ქვედაზე, როგორც სხვებს.

ხელნაწერი ნაკლულია. 1-ლ რვეულს აკლია ორი ფურცელი წინ, მე-11 რვეულს აკლია აგრეთვე ორი ფურცელი, მაგრამ ბოლოში, რის გამოც ხელ-

¹ ეს აღწერილობა შედგენილია ფოტოსურათების მიხედვით. ამასთანავე გამოყენებულია ნ. მარისა და ჟ. გარითის ცნობები.

² ცაგ. 83 = მარ. 32—33; ცაგ. 86 = მარ. 57.

ნაწერში აღარ მოიპოვება კირილე იერუსალიმელის სანათლისღებო საკითხავის ბოლო და ევსუქი იერუსალიმელის „ტაძრად მიყვანებისათჳს“ თქმულის დასაწყისი. შემდეგ სრულად არის მოღწეული შვიდი რვეული (რვ. 12—18, ფფ. 85—141), მაგრამ მე-10 რვეულისა გადარჩენილია მხოლოდ პირველი ნახევარი (ფფ. 142—145), მეორე ნახევარი კი დაკარგულია. შემდეგ მთლად დაღუპულია რვა რვეული (რვ. 20—27). 28-ე რვეულისა გადარჩენილია უკანასკნელი ფურცელი (ფ. 145), წინა შვიდი ფურცელი კი დაკარგულია. საბედნიეროდ, უკანასკნელი თექვსმეტი რვეული ყველა სრულად არის მოღწეული (რვ. 29—44, ფფ. 146—275).

თუ ვივარაუდებთ, რომ ნაკლულად დარჩენილ რვეულებსა და მთლად დაკარგულებში რვა-რვა ფურცელი იყო, გამოდის, რომ დაზიანებულ რვეულებს აკლია 15 ფურცელი (1-ლს 2, მე-11-ს 2, მე-19-ს 4, 28-ეს 7). ამას გარდა, სულ დაკარგული რვა რვეულის ფურცელთა რაოდენობა 64 იქნება. მაშასადამე, საერთო რაოდენობა ყველა დაკარგული ფურცლისა იქნება 79. როგორც აღნიშნულია, ხელნაწერში ამჟამად მოიპოვება 275 ფურცელი. თუ ამას მივათვლით დაკარგულ ფურცლებს, იქნება 354 ფურცელი. აი ეს უნდა ყოფილიყო ფურცლების პირვანდელი რაოდენობა სინურ მრავალთავში, რომელიც 44 რვეულისაგან ყოფილა შემდგარი (უკანასკნელი რვეული 10-ფურცლიანია). რვეულებად თუ ვიანგარიშებთ, თავდაპირველად ყოფილა 44 რვეული. აკლია 8 რვეული მთლად და სხვადასხვა რვეულის 15 ფურცელი (თითქმის ორი რვეული). მაშასადამე, 44 რვეულიდან მოღწეულია 34 რვეული და ერთი ფურცელი.

წიგნს ბოლოში თავიდანვე სამი ცარიელი გვერდი ჰქონია, რომელთაგანაც ორი X საუკუნეში გამოუყენებია იოანე-ზოსიმეს, რომელსაც ეს წიგნი მესამედ „შეუმოსავს“ (დაუკაზმავს). მას ერთ გვერდზე (274 v) აღუნიშნავს წიგნის მესამედ შემოსვის ამბავი, მეორეზე კი მოუთავსებია პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ (275 r).

ფურცლების ზომა $24,3 \times 20,3$ (24,8—20,5) სმ ყოფილა, გვერდები ნაწერია ორ სვეტად, სვეტში ზოგან 24, ზოგან 25 და 27 სტრიქონია (თუ არ ჩავთვლით ბოლოში ან სხვაგან სადმე წვრილად მიწერილ ან ჩაწერილ სიტყვებს, რომლებიც საზოგადოდ სტრიქონთა სათვალავში არ შედის). თვითელი ნაწერი სვეტის ზომა $18,2 \times 6,2$ ყოფილა, ასოთა სიმაღლე 3—4 მმ.

ტექსტი ნაწერია მრგლოვანი ხელით და შავი მელნით, გარდა სათაურებისა და ახალი თავის პირველი ასოსი, რომლებიც სინგურით ყოფილა ნაწერი. ფოტოსურათზე წითურად ნაწერი ასოები მკრთალად არის გამოსული.

3. სამკაულები. განსაკუთრებული სამკაულები წინგში არ მოიპოვება, თუ არ ჩავთვლით ასეთად წითურად ნაწერ სათაურებს, წითურადვე დაწერილს ახალი თავების დასაწყისთა პირველ ასოებს და, ამას გარდა, უკანასკნელი თხზულების ბოლოს დახატულ საბოლოოვებელ ფიგურას (ნახე ტაბ. 5).

სამკაულად რამდენადმე შეიძლება ჩაითვალოს ინიციალები, რომლებიც სვეტების გარეთ არის გამოტანილი. გვერდზე (ორსავე სვეტში) ჩვეულებრივ

გვხვდება ხუთი, ექვსი, შვიდი ინიციალი, საკმაოდ არის 4-ც, თითქმის 8-ც, იშვიათია 3, 9 ან 10; კიდევ უფრო იშვიათია, რომ გვერდზე იყოს 11, 12 ან 13 ინიციალი, მაგრამ არის გვერდი, რომელზედაც მხოლოდ 1 ინიციალია (141 v), ერთზე კი 15-იც დავთვალე (189 v). ინიციალების სიმრავლეს იწვევს, თუ გვერდზე ერთი და იგივე მნიშვნელოვანი სიტყვა ხშირად გვხვდება და აბზაცს იწყებს; მაგ.: **ღ**იხაროდენ (98 v), **ჰ**უარი (223 v), **ს**ოვა (206 r).

ინიციალები ზომით არის მეტი სასტრიქონო ასოებზე (ჩვეულებრივ 2,5-ჯერ, ან 3-ჯერ მეტი), თორემ მოხაზულობა იგივე აქვთ, რაც სასტრიქონოებს. ინიციალები საერთოდ თითო-თითო ასოა (სიტყვის პირველი ასო), მაგრამ იშვიათად გვხვდება ორიც (სიტყვის პირველი და მეორე ასო). წყვილ-წყვილი ინიციალები გარკვეულ ჯგუფს წარმოადგენენ: **ღს** (ესე, ესერა, ესრძთ), **ღხ** (ისწავლეთ, ისმინეთ), **ღე** (იტყუს), **ღი** (იხარებდინ, იხილეთ), **ღჲ** (იწყეთ), **ღლ** (ეგრძთ), **ღს** (ეჰა 73 r, 75 r); არის აგრეთვე **ტჲ** და **ტჲ** (236 v). ერთი ასეთი შემთხვევაც არის: დიდად დაწერილი **ღი** (იხარებდ სიტყვაში 147 v) ერთგვარ ლიგატურას წარმოადგენს, ორი ვერტიკალური ხაზი ათი ჰორიზონტალურით არის შეერთებული, რომლებიც ათ თვალს ქმნიან შიგ. გვეც შეიძლება წიგნის სამკაულებს მივათვალოთ.

სამკაულებსეც უნდა მივათვალოთ ქვედა აშიაზე უკანასკნელი სტრიქონიდან არაჩვეულებრივად ჩამოგრძელებული ასოები, უმეტესად **ღ** ან **ღ**: **ღ**გრევე 246 r, **ღ**ონას 155 v, **ღ** 240 v, **ღ**ხე 247 r, **ღ**ხერა 248 v. **ღ**მოვან 82 r, **ღ**არნა 82 v. ასეთი ჩამოგრძელებული ასოების რიცხვი მცირეა.

ჩამოგრძელებულია აგრეთვე **ჲ** ასოს ბოლო: **ჲ**ამებაჲ 56 v, **ჲ**ყალობითა 273 v. „ქრონიკონ“ სიტყვის პირველი ასოს (**+**) ვერტიკალური ხაზიც ჩამოგრძელებულია იმდენად, რომ მთელი სიმაღლე ხუთ სტრიქონს სწვდება (274 v; ტაბ. 10). ანდერძის პირველი სიტყვის პირველი ასო კი (**ჲ**ყალობითა) ისე ჩამოგრძელებულია, რომ ათ სტრიქონს სწვდება (ტაბ. 9).

რამდენიმე საკითხავს წინ აშიაზე ქანწილი უზის (**ქ**), რომელსაც ბოლო აგრეთვე დიდად ჩამოგრძელებული აქვს (93 v, 109 v, 244 v, 252 v), მაგრამ არის ზომიერად დაწერილიც (143 r). სამკაულებსეც შეიძლება მივათვალოთ თხზულების რამდენიმე უკანასკნელი სიტყვის ისე დაწერა, რომ სტრიქონები სვეტში თანდათან მოკლდებოდეს, ორივე მხრიდან თანაბრად და ისე, რომ ნაწერი სამკუთხედის მსგავს ფიგურას აქეთებდეს, წვერით ძირს: 70 v (რვა სტრიქონი), 244 r (სამი სტრიქონი). განსაკუთრებით ლამაზად არის ეს გამოყვანილი სულ უკანასკნელი თავის ბოლოს, 273 r-ზე, სადაც დამოკლებული სტრიქონების ქვემოთ აშენ სიტყვა არის თითო-თითო ასოდ ჩამოწერილი. ამ სიტყვის ასოებს იქეთ-აქეთ ერთგვარი სამკაული აქვს: ოთხ წერტილ-თავან ორი შეერთებულია ჰორიზონტალური ხაზით და თითო წერტილი ხაზს ზემოთ და ქვემოთ უსხედს.

ამენ ის ბოლოს მცირეოდენი თავისუფალი არე სვეტში გამოყენებულია უბრალო ორნამენტისთვის, რომლის ქვეშ მიწერილია ოთხი ასო: **ლ ც ჟ თ** (ლოცვა ყავთ) (ტაბ. 5).

სამკაულადვე უნდა ვიცნათ თავების დასაწყისში გამოყვანილი ნიშანი, რომელიც ახალ თავზე მიუთითებს. ნიშნები სხვადასხვა სახისაა. უმეტესად არის ორი ხაზი, ერთმანეთის X-ივით გადაკვეთი, რომლის ოთხსავე კუთხეში პატარა ნულები ან წერტილებია ჩასმული. არის აგრეთვე ორწერტილთაგან ჯვარსავით გაკეთებული ფიგურა, რომლის კუთხეებში წერტილებია ჩასმული (13 r, 45 r), ან კიდევ ვერტიკალური ხაზი და ხაზის გვერდებზე ხმოვნის სიმოკლის ნიშნისებრი კავი წყვილ-წყვილად. უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ არა ყოველ თავს მოეპოვება ასეთი ნიშანი.

ახალი თავის დასაწყისის მისათითებლად ზოგჯერ ნახმარია ქანწილიც (ქ), რომელზედაც ზემოთ გვეკონდა საუბარი. ქანწილს უმეტესად ბოლოში მოკაული ჰორიზონტალური ხაზის ნაცვლად სამ-სამი წერტილი უსხედს აქეთ-იქეთ, ზოგჯერ წერტილები თავში აქვს ჩაწერილი (109 v), ერთ შემთხვევაში კი—კავშიც (252 v).

4. გადამწერლები. ხელნაწერი გადაწერილია რამდენიმე პირის მიერ. კარგად გაირჩევა სამი ხელი, რომელთაც აღვნიშნავ ლიტერებით: A, B, C. შეიძლება გადამწერი მეტიც იყოს: D, E. ანდერძში გადამწერად პირდაპირ დასახელებულია ერთი კაცი—ამონა, დედის ძმისწული მაკარი ლეთეთელისა, შვილი ვახთანგ მოძარლულისა.

რა ნაწილი აქვს გადაწერილი ამონას, არ ვიცით; ვიცით მხოლოდ, რომ თვით მისი მიმართვა მკითხველებისადმი ორ სტრიქონად ქრონიკონს შემდეგ (274 va), სადაც იგი თავის თავს „მხბრეკალს“ უწოდებს („ლოცვა ყავთ ამონა მხბრეკლისათჳს ცოდვილისა ფრიად, წმიდანო“), ნაწერია ნუსხურად და ეს მინაწერი არას გვეუბნება, რადგანაც საკითხავები ყველგან მრგლოვანი ხელით არის დაწერილი.

A ხელი (1 r—55 r; 70 v—116 v, 145 r—160 r; 202—274 r, ტაბ. 4, 5).

ერთი გადამწერთაგანი (A) თვით მაკარი ლეთეთელი უნდა იყოს, რომელსაც წიგნის დიდი ნაწილი გადაუწერია. იგია მთავარი პირი, რომელსაც მრავალთავის შექმნა განუზრახავს, ეს საქმე „აღუსრულებია“ კიდევ და სრულიად გამზადებული ახალ-ახალი წიგნი სინას მთისთვის შეუწირავს, სადაც ქართველობა ის-ის იყო მოღვაწეობას იწყებდა. შეწირვის საბუთს, რომელიც ნუსხურად არის დაწერილი (274 rb), იგი დიდებით ათავებს, მაგრამ მრგლოვანი ხელით: „დიდებაჲ შენდა, უფალო, რომელმან ღირს მყავ მე, უღირსი ესე, აღსრულებად საქმისა ამის“ (ტაბ. 10).

მაკარის გამოცდილი ხელი აქვს, ასოები სწორად და ლამაზად გამოჰყავს, სიტყვებს შორის საკმაო არეს სტოვებს, ხშირად ხმარობს წერტილებს, თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ. წერტილები სხედს ასოს ზემო ხაზის გასწვრივ და ისე წმინდაა, რომ ფოტოზე ზოგჯერ ძლივს ჩანს. წინადადების შემდეგ იგი ორწერტილს სვამს, რომელიც უმეტეს ნაწილად ირიბია¹. აი ნიმუში სასვენო ნიშნების ხმარებისა A-ს ნაწერში:

¹ შეწირულობის აქტში, რომელიც ნუსხურად არის ნაწერი (274 rb), სიტყვების შემდეგ წერტილები არ არის ნახმარი, ორწერტილი არის აბზაცის შემდეგ.

უსუ ჯახ' ზტყოჲტ' ზტ ჯიჲღჲტ' ზტ სსსჲტოჲტ' შტჲჲტ' :
 ტ' : ზტ ჟინსტჲ სოჲჲს' ჯტჲჲტოჲ ტტჲჲტ' : (90 va).

აქა-იქ ერთი ასო მეორის მუცელშია ჩასმული: **ტქ** (ტ-ს მუცელში **ქ**),
ტწ (ტ-ს მუცელში **წ**) და სხვ. შემხვდა ლიგატურაც: **ღჩ** (15 rb, 1 ბოლო-
 დან).

A ხელისთვის დამახასიათებელია გრძლად ჩამოსული **ღ** მოკლე ფეხით და **ღ** ასოს ლამაზად გამოყვანილი ფეხი. ამას უნდა დავსძინოთ, რომ ინიცი-
 ალებად დაწერილი დიდი **ს ზ ზ** ასოები იწყება სწორი ხაზით, შემდეგ მარცხ-
 ნივ უხვევს რადმენადმე და აკეთებს რკალისებრ მონახაზს (171 vb, 154 r
 და სხვ.). **X** ასოს არ ჩამოუდის ბოლოები ძირს.

ყ იშვიათად არის თავ-შეკრული. საინტერესოა, რომ მაკარი თავის ან-
 დერძს იწყებს მრგლოვანი ხელით, განაგრძობს შეწირულობის ამბავს ნუსხუ-
 რად და ამთავრებს დიდებისმეტყველებას ისევ მრგლოვანი ასოებით. ყველა ეს
 მოთავესებულია ორ გვერდზე (273 v და 274 r, ტაბ. 9—10).

B ხელი (55 v—70 r).

ასოები ვიწრო და არა-თანაბარია. **შ ხ ძ** ასოებს პატარა მუცელი აქვს.
 ძალიან დამახასიათებელია **ბ** ასოს მოყვანილობა: მარჯვენა ფრთა ხშირად
 ვერტიკალურ ხაზს უერთდება და შემდეგ წვრილი ხაზია ამართული ოდნავ
 ირიბად. **X** ასოს ხშირად ჩამოუდის ბოლოები ძირს. ასოები **ღ ჟ** ხშირად
 არის თავ-შეკრული, ზოგჯერ **ღ-ც**. ასოები მიჯრით არის მიწყობილი; სი-
 ტყეებს შორის თავისუფალი არე ნაკლებად არის. წერტილები სიტყვების
 შემდეგ იშვიათია, სამაგიეროდ ორწერტილი წინადადების ბოლოს იწერება,
 სამწერტილი კი—აბზაცის ბოლოს. მაგალითად:

ღღტსოღღტტ ტტჲ ქჲ უსსჲსს: ჴჲ უსსჲ ჟოჲჟოჲჟოჲ ტტჲ: ზტ
 ჴჲ ჴოჲჟ ტჲოჲჲ ტჲოჲტჲ ჴჲ ჴჲჲ ტტჲ ჴტჲჲჲჲჲ ჴჲ ტჲჲ ტჲჲს.
 ჴტჲ: ზტ ოჲჟოჲჲჲჲ ჴჲჲ სსჲტჲჲჲოჲჲჲ ჴოჲ ჴოჲჟო ჴტ
 ჴჲჲჲჲჲჲჲ ტტს ჴჲჲ ტტჲჲჲ ჴტს ტტტტ: (67 vb).

C ხელი (117 r—140 v, 160 v—169 v, ტაბ. 7, 8).

ბ ასო C-საც ისე გამოჰყავს, როგორც B-ს, ოღონდ C-სთვის დამახასია-
 თებელია გაფართოებული **X**, რომელიც ნ. მარის ყურადღებასაც იქცევდა.
 ამას გარდა, მას ახასიათებს **ღ** ასოს ხშირი ხმარება ოჲს ნაცვლად (**ჴჲჲჲ-
 ტჲჲს**). სიტყვების შემდეგ წერტილებს არ ხმარობს, აბზაცის ბოლოსაც არა-
 ფერს სვამს, ან სვამს სამწერტილს, ან წერტილით დაწყებულსა და წერტი-
 ლითვე გათავებულ ხაზს, რომელსაც ზემოთ და ქვემოთ თითო წერტილი
 უზის. ასოთაგან დამახასიათებელია **ზ**, რომელსაც მუცელი მარცხნივ აქვს
 შეწეული. ზოგჯერ თავ-შეკრულია: **ღ ჟ ჟ**.

ნ. მინაწერები. როცა გადამწერლებზე ვლაპარაკობთ, არ ვთვლით იოვანე-
 ზოსიმეს, რომელსაც დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, რაც დაიწერა

ჩვენი მრავალთავი, მესამედ შეუმოსავს იგი სინას მთაზე და მიუწერია ცნობა ამის შესახებ (274 v). მასვე მიუწერია „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ (275 r). ორივე მინაწერი ნუსხურად არის შესრულებული, მაგრამ არა ორ სვეტად, როგორც ნაწერია მთელი მრავალთავი ანდერძითურთ, არამედ სტრიქონების გაშლით გვერდის საწერი არის მთელ სიგანეზე. მოიპოვება მინაწერი 109 rb-ს ბოლოს, ქვემო აშიაზე ოთხი ასო, ერთიმეორეს დაშორებული 7-ს მსგავსი ნიშნით: ლ ც ყ თ (ლოცვა ყავთ).

მოიპოვება მინაწერი 181 r-ს ზემო აშიაზე ნუსხურად: ქე ლო შენ გბლი და იენე (ქრისტე ღმერთო, შეიწყალენ გაბრიელი და იოვანე). მინაწერი, ხელის მიხედვით, X—XI საუკუნისაა. შეიძლება ესენი იყვნენ ის გაბრიელი და იოვანე-ზოსიმე, რომლებიც ერივნენ იმ კოლონიაში, რომელიც საბაწმიდის ლავრიდან სინას მთაზე გადასახლდა და იქ დამკვიდრდა საბოლოოდ¹. ქრონიკონიანი გვერდის I სვეტის ქვემოთ. ქვედა აშიაზე, ამონა მჩხრეკლის მინაწერის შემდეგ, ერთ სტრიქონად სწერია: ზა წელი 55 ლ ც ყ თ (ზედა წელი 250. ლოცვა ყავთ). რადგანაც ეს მოსდევს ქრონიკონს, შეიძლება იგულისხმებოდეს, რომ წიგნის დაწერიდან გავიდა 250 წელი, ე. ი. ეს სიტყვები მიუწერიათ თითქო 1114 წელს.

6. ყდა და საფარველი. ყდა, რომელიც ამჟამად მოეპოვება ხელნაწერს, (ზედა—პირველ ნაწილს, ქვედა—მესამეს), შეიძლება ის ყდა იყოს, რომელიც მესამედ შემოსვის დროს გაუკეთა მას იოანე-ზოსიმემ.

ყდას ამჟამად შიგნიდან ორივე მხარეს აკრავს ეტრატის საფარველი, რომელიც სირიულ ტექსტს შეიცავს. ეს სირიული ტექსტი, ორ სვეტად ნაწერი, წარმოადგენს, როგორც გაურკვევია ა. ლუისს¹, ნაწყვეტს მათესა და იოვანეს სახარებიდან: მათ. 24, 5—13, იოვ. 2, 23—3, 2. ზედა ყდის საფარველის სურათი მოყვანილი აქვს ნ. მარს (ტაბ. VI). ზედ არაბულად მიწერილია: „ჰომილიების წიგნი. პირველია ხარების შესახებ. წყეული იყოს, ვინც გამოახვას სინას მთას“. მაშასადამე, ქართული წიგნის რაობა არაბულად არის აღნიშნული ხელნაწერის ბოლოს².

ყდა ხისაა, ზემოდან გადაკრული აქვს ტყავი, რომელიც მოჭკრეთილია ლამაზად. ეს ყდა რიგიანი ნიმუშია ძველი ქართული წიგნის შემოსვისა.

ზედა მხარე. ტყავის მცირე ნაწილი მარცხნივ მოხეულია მთელ სიგრძეზე. ამ ნაწილს თან გაუყოლებია ორნამენტის ნაწილიც. ჩარჩოში X-ისებრი ფიგურებია ჩამწკრივებული. ჩარჩოს შიგნით კვადრატია ჩაწერილი, რომლის ზემოთ და ქვემოთ (რადგანაც წიგნის სიმაღლე მეტია მის სიგანეზე) თავისუფალი არეა დარჩენილი. ამ თავისუფალ არეში (ზემოთაც და ქვემო-

¹ კ. ქეკელიძე, ქართ. ლიტერატურის ისტორია, I (1951), 144.

² A. Smith-Lewis, Catalogue of the Syriac Manuscripts in the Convent of S. Catherine on Mount Sinai (Studia Sinaitica, 1). London, 1894, pp. 118—120 (ვიმოწმებ უ. გარიტის მიხედვით: Catalogue, p. 49).

³ არაბული წერის მიხედვით იგი თავშია.

თაც) როზეტია მოთავსებული შუა ადგილას. კვადრატში ჩაწერილია თანაბარ-მხრიანი ჯვარი, რომლის მხრები ებჯინება კვადრატის გვერდებს. თვით მხარი ერთგვარ ფიგურას წარმოადგენს: მას ქმნის ორი საკმაოდ ფართო ზოლი, რომლებშიც მსხვილი წერტილებია ჩასმული. ზოლები იწყება ერთად კვადრატის გვერდიდან, თანდათან ჰშორდებიან ერთმანეთს, შემდეგ, მაქსიმალური დაშორების ადგილას, თვითეული მათგანი ხვეულს აკეთებს, ისევ უახლოვდება ერთმანეთს, გადაჰკვეთენ (ერთი ზემოდან, მეორე ქვემოდან) შემხვედრი მხრების ზოლებს კვადრატის შუაში, კვლავ აკეთებენ ხვეულებს და ებჯინებიან კვადრატის საწინააღმდეგო გვერდს.

ჯვრის მხრის წვერებს ეხება მრავალ წერტილებ-ჩაწერილი ზოლი რკალად, რომელიც, მიუახლოვდება თუ არა კვადრატის კუთხეს, შეტრიალდება, მივა კუთხეში, ჩამობრუნდება, ისევ შემოტრიალდება და მეორე მხარეს გაუფლის წვერთან ისევ რკალისებრ. შემოტრიალების ადგილას ზოლის გარეთ, ჩარჩოსთან, ყველგან, როზეტებია ჩასმული (თვითეულ მხარეს ორ-ორი). ამას გარდა, თვით ჯვრების მხრებში, თავისუფალ არეში ჩასმულია პატარა ფიგურები: ვარსკვლავიანი ან ჯვრიანი კვადრატი (ტაბ. 2).

ქვე და მხარე. ვარსკვლავებ-ჩამწკრივებულ ჩარჩოში ჩაწერილია ორი ხაზისაგან გაკეთებული კვადრატი. ამ უბრალო კვადრატის შიგნით ჩაწერილია წერტილებიანი ზოლისაგან გაკეთებული წრე და ამ წრეში—წერტილებიანი ზოლისაგანვე გაკეთებული კვადრატი, რომლის კუთხეები წრეს ებჯინება გარეთა კვადრატის შუა ადგილის პირდაპირ. გარეთა კვადრატს ყოველ მხარეს შიგნიდან ნახევარწრეები აქვს გაკეთებული. ამ ნახევარწრეების ერთი წვერი იწყება ერთ კუთხეში, გზაში გადაჰკვეთს წრის ერთ სექტორს, შიგნითა კვადრატის კუთხეს და მეზობელი ნახევარწრეების ნაწილს. თავისუფლად დარჩენილ არეებში ჩასმულია პაწაწინა კვადრატები ჯვრის გამოსახულებით შიგნით (ტაბ. 3).

III. გამოცემისთვის

1. ძეგლის ორთოგრაფია. შეცდომები და მათი გასწორების საფუძველი. სინური მრავალთავი რამდენადმე სიჭრელეს გვიჩვენებს ორთოგრაფიულად: ერთი და იგივე ბგერა ან ბგერათა ჯგუფი სხვადასხვაგვარად არის გადმოცემული: **ჯ** და **უი**, **ც** და **ეჟ**, **ო** უ-ს ნაცვლად (ან პირუკუ) და სხვა.

ამას გარდა, ხშირია ორი ზედიზედ მოსული ერთნაირი ბგერის გადმოცემა ერთი ნიშნით. საკმაოდ მოიპოვება შერყვნილი ადგილებიც.

ტექსტის გადმოცემისას აუცილებელი იყო შეცდომების გასწორება. შეცდომები სხვადასხვაგვარია.

ა) კალმის შეცდომები. სინურ მრავალთავში ზოგი შეცდომა გადაწერთა დაუდევრობით და უყურადღებობით აიხსნება. შეცდომათა ერთი წყება ასოს გამოტოვებაში გამოიხატება; მაგალითები (გამოტოვებული ასოები აქ ფრჩხილებშია ჩასმული): უს(წ)რობდა 25,38; დაემ(ტ)კიცოს 32,5; ქუ(რ)კლად 35,10; ჯორ(ც)თა 84,24; მა(ს) 213,6 და მისთ.

მეორე წყება შეცდომებისა ზედმეტ ასოთა დაწერაში გამოიხატება: ლონცვათა 194,1; მარჯუენით 180,17 და მისთ.

მესამე წყება შეცდომებისა წარმომდგარია მწერლის უყურადღებობით სიტყვის გადატანის დროს სტრიქონიდან სტრიქონზე. აქ გვხვდება როგორც ზედმეტად დაწერილი ასოები, ისე დაკლებულებიც; მაგალითები (სიტყვის გაწყვეტის ადგილი ვერტიკალური ხაზით არის აღნიშნული): საუკუუნეთაჲ 17,4; ყოფაჲდ 42,3; მოდღრიკენ 43,22; პირველი 78,27; განმზადებაჲ 78,38; ცნობადისა 187,9; აღგიიდგინოს 191,22; მიეყეყრდნა 196,32; სასუსმურიცა 206,16 და მისთ.

გამოცემაში კალმის შეცდომები ყველა გასწორებულია.

ბ) **ქ** ასო. ეს ნიშანი ჩვენს ძეგლში საერთოდ დიფთონგია უთუოდ და **ეჲ**-ს უდრის. ეს იქედან ჩანს, რომ **ე**-ზე ფუძე-გათავებულ სახელთა სახელობით ბრუნვაში ჩვეულებრივია **ე** (სახე, მოწაფე, ძე, ზედაჲ ვითარცა ქუშ 248, 7 და სხვ.), მაგრამ იშვიათად **ეჲ**-მ გვხვდება: საქმეჲ 133,14. ორივე სახის დაწერილობა დავტოვეთ.

არის შემთხვევები, რომლებიც გვაფიქრებინებს, რომ **ე** შეიძლება მონოფთონგი იყოს და **ე**-ს უდრიდეს, რადგანაც ერთი და იგივე ფორმა **ე**-თიც იწერება და **ე**-თიც: ესრეთ (276,8; 276,28) და ესრეთ (117,25; 117,32).

უფრობითი ხარისხის ფორმა **ე**-თიც არის (ხშირად) და **ე**-თიც (იშვიათად): უზეშთაჲს და უმაღლეს 100,5—6; უზეშთაჲს და უძლიერეს 105,35. **ეჲ** კი სულ იშვიათია: უსასტიკეჲს 220,29.

დროის გარემოების აღსანიშნავად „დღე“ და „ღამე“ წრფელობითის ფორმით უნდა იყოს; ეგრეც არის, მაგრამ არის აგრეთვე „დღე“ და „ღამე“: მაგ.: ვითარცა-იგი იყო იონა მუტელსა ვეშაპისასა სამ დღე და სამ ღამე, ეგრეთ იყო ძე კაცისაჲ გულსა ქუეყანისასა სამ დღე და სამ ღამე (163, 9—11). მაშასადამე, აქ ერთ შემთხვევაში **სამ ღამე** იკითხება, მეორეში — **სამ ღამე**. ცხადია, ღამე და ღამე ამ შემთხვევაში ერთნაირად გამოითქმოდა მისი დამწერისაგან; ეს გამოთქმა უთუოდ: **სამ ღამე**. აგრეთვე საეჭოა, რომ დიფთონგი იყოს **ე** ამ წინადადებაში: ვარსკვლავნი ღამე გამობრწყინდიან და დღისი დაეფარნიან, ხოლო მოციქულნი დღე და ღამე ბრწყინვენ (217,21). იგი უთუოდ **ე**-დ იკითხებოდა და ასეც გასწორდა.

ქ რის ტე. სახელობითში ჩვეულებრივ „ქრისტე“ იწერება (მაგ., 165, 16, 18, 20), მაგრამ გვხვდება „ქრისტე“-ც (73, 3, 9). ნათესაობითში კი ჩვეულებრივია „ქრისტეს“, მაგრამ გვხვდება **ე**-თიც (ქრისტეს-ი).

ამ მაგალითების გამო შეიძლება ითქვას, რომ ზოგ შემთხვევაში (ზოგიერთი პირის გამოთქმაში) **ე** მონოფთონგი იყო და **ე**-ს უდრიდა. სხვათა ზოგის, „ცენება“ ზმნაში **ე**-ც გვხვდება და **ე** ც: აღმოცენა 35, 1; აღმოცენებულისა 24, 14; მცენარემან 29, 23). ასეთ შემთხვევაში გასწორებას ვერიდებოდით: ორივე დაწერილობა უცვლელად დავტოვეთ.

უფრო რთულია მდგომარეობა, როცა გვაქვს **ეჲ** ჯგუფი, რომელიც ათიოდე შემთხვევაში გვხვდება: ბჭე 172, 34; კაცთ-მოყუარე 173, 28; ალოე 160, 2;

კპრილესი 83, 1; მეორეს 185, 1; უმეტეს 150, 14; უფშთაეს 201, 24; უფე-
 ჟთაესად 171, 25; უფეშთაეს 201, 24. ასეთ შემთხვევებში გამოცემაში ორი
 ხმოვნის ნაცვლად ერთი დავტოვებთ (ე ამოვიღებთ: მეორეს, კპრილესი და მისთ.),
 მაგრამ გამოსარკვევია ასეთი დაწერილობის წარმოშობის მიზეზი და მისი ბგერითი
 მნიშვნელობა: არის ეს ემ დიფთონგი ეა, როგორც მე ვფიქრობ, თუ ე. აღ-
 ვნიშნავ მხოლოდ, რომ იგი სხვა ძეგლებშიც გვხვდება და განსაკუთრებით ხში-
 რად 968 წელს გადაწერილს იოვანე ოქროპირის ცხოვრებაში (H 2124), რო-
 მელიც პალესტინური წარმოშობისაა, როგორც ჩვენი სინური მრავალთავი.

გ) ა სო. ეს ასო დიფთონგს ქმნის: აა, ეა, ოა, უა. არის მისი გა-
 მოყენება ი-ს ნაცვლად: აცით (119, 1), მაგრამ ეს შემთხვევითია. უფრო სა-
 ყურადღებოა, როცა იგი არაა მოსალოდნელი და არის: მე მამაკაცი არაა
 ვიცი 4, 10; არაა უდაბნოსა ქადაგებენ სახარებასა, არამედ ზეცისასა აქე-
 ბენ გალობასა 31, 8; არაა უკმა მას მოღება 49, 14; არაა თუ 105, 7;
 არაა სარგებელ არიან 105, 35; კარნი იგი დაქშულნი არაა დათრგუნნა
 172, 4; ჭეშმარიტება იგიცაა 205, 24. გვხვდება აა-ს ნაცვლად მარტო ა-ც:
 აქუნდა სიხარული დედისა 28, 4. მსგავსება გურიტისაა გაქუს 225, 15.
 ხომ არ ნიშნავს ეს, რომ აა ჯგუფს ზოგიერთი პირი ა-დ კითხულობდა და
 მათთვის ა მხოლოდ უბრალო ორთოგრაფიული ნიშანი იყო, ტრადიციით
 შემორჩენილი?

დ) ა სო. სინურ მრავალთავში ეს ასო უი ჯგუფს უდრის. ეს არის
 ნორმა, მაგრამ ნორმიდან გადახვევაც ხშირია. ა ნიშანი აქა-იქ გვხვდება უ-ს
 ნაცვლად, რომელიც ძველად ორი ნიშნით (აა) გამოიხატებოდა. მაგ.:
 უაჰი-აჰუჰი (118, 11), სადაც პირველი ა უი-ს უდრის, მეორე—უ-ს: გუი-
 თქუამს. სხვა მაგალითები, სადაც ა უ-ს უდრის: ცვარი 129, 5 (ცუარი); ჯუარ-
 ცუმასა 93, 5 (ჯუარ-ცუმასა), კიცკსა 149, 4 (კიცუსა), საჯუმისა 122, 6 (სა-
 ჯუმისა), შემოხვედ 130, 6 (შემოხუედ); ჩვენისავე 139, 29 (ჩუენისავე), აღ-
 ვიტყუელნეთ 141, 23 და მისთ. უმარცვლო უ-ს უდრის იგი აგრეთვე „კლავ-
 დის“ სახელში 61, 10.

ამიტომ ცხადია, რომ ხელნაწერის აი ჯგუფი სხვაგვარად ვერ წაიკითხე-
 ბოდა, თუ არ უი-დ, და ვერ დაიბეჭდებოდა, თუ არ უი-ს სახით: რიცხვი
 121, 15 (რიცხუი); იტყვი 129, 1 (იტყუი); შეირცხვინეს 135, 24 (შეირცხუი-
 ნეს); შეხვიდეთ 137, 21 (შეხუიდეთ); კიცკი 143, 11 (კიცუი); მშვიდობისაა
 145, 10 (მშუიდობისაა); სვიმეონ 145, 20 (სუიმეონ) და მისთ¹.

ასეთ გასწორებას ისიც გვიკარნახებდა, რომ უი ჯგუფიც გვხვდება:
 სხუასა სიბოროტესა და ძუირის სიტყუასა შეცუივეს მის ზედა 147, 30; იტყუის
 124, 17, 23; იტყუიან 149, 27; საკუირველებანი 150, 7, მწუისნი 136, 13; ლე-
 ლუი 151, 4 და მისთ. რა თქმა უნდა, ერთი და იგივე სიტყვა ა-თიც შეიძ-
 ლება შეგვხვდეს და უი-თაც. მაგ.: მწუსთა 135, 5; მწუისნი 136, 13 და მისთ.
 ორივე სახის დაწერილობა წესიერია და ორივე დავტოვებ.

¹ „შემთხვის“ (65, 21) და „გამორიკვის“ ფორმებში, რა თქმა უნდა, დარჩა, რადგანაც
 აქ აი ჯგუფი ორ მარცვალს შეიცავს.

ე) **ჟ** ასო. ეს ასო მაშინ გვხვდება, როცა სიტყვა წოდებით-შია დასმული (გულისხმა-ყავ, **ჟ** მარიამ 5, 4; **ჟ** უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო 175, 14; **ჟ** წინაწარმეტყუელო 92, 33), ან კიდევ მაშინ, თუ ექსტაზით არის წარმოთქმული გაკვირვების შემცველი სიტყვები: **ჟ** საიდუმლოა საკრ-ველი! **ჟ** საიდუმლოა საშინელი! **ჟ** საიდუმლოა დიდებული! (175, 25). იწერე-ბა ჟსანა-ც (135, 26) და ოსანა-ც (143, 24).

ვ) ცხვირისმიერი ხმოვნების საკითხი. ზოგიერთი სიტყვის დაწერილობა გვაფიქრებინებს, კითხვა დავსვათ: ხომ არ ხმარობდა მისი დამწე-რი ცხვირისმიერ ხმოვნებს? ეს კითხვა იმიტომ არის გამოწვეული, რომ **ნ** ასო ზოგჯერ არ მოიპოვება სიტყვაში: შეგან 53, 4 (შენგან), გუდრუკი 207, 31 (გუნდრუკი); შეგვდვეთ 282, 13 (შეგვანდვეთ), ებაზის 176, 16 (ემბაზის=ენბა-ზის). „ლონცვათა“ ფორმა (194, 1) ზემოთ კალმის შეცდომად ჩაფუთვალეთ გადაწერს, მაგრამ ხომ არ არის ეს იმის მაჩვენებელი, რომ **ო**-ს იგი ცხვირ-ში გამოთქვამდა? ამგვარი შემთხვევები გასწორებულია ნორმის მიხედვით.

ზ) **ჰ** ჯგუფი. ჯერჯერობით მხოლოდ სინურ მრავალთავშია დადა-სტურებული ჰაეს გაჩენა ხანის წინ **ხე**-სა და **ხილვა**-ში: ჰხესა 201, 4; ჰხი-სა 201, 4; 209, 28; ჰხეო (201, 1); ჰხილვასა 197, 26; ჰხილვად 206, 15; 208, 28. მსგავსი მოვლენა ჩანს აგრეთვე გულისჰხმა-ში (გულისჰხმა-ჰყო 211, 13). ეს თავისებურება დიალექტურიც არ უნდა იყოს, იგი უფრო ინდივიდუ-ალური ჩანს და ერთ გადამწერს ახასიათებს. ბუნებრივად მივიჩნიეთ, რომ ასეთ შემთხვევაში **ჰ** ყველგან გამოგვეკლო და ტექსტი ისე დაგვებეჭდა.

შ) **ო** რი ასოს ნაცვლად ერთი. **ო** რი ერთნაირი ასოს ნაცვლად აქა-იქ ერთია დაწერილი; მაგალითები ხმოვნებზე: შის 36, 16 (შიის=ჰშიის, ჰმშიის); დადუმებენ 150, 3 (დაადუმებენ); იძულებოდეს 245, 12 (იიძულებო-დეს). ასეთ მოვლენას მაშინაც აქვს ადგილი, როდესაც ერთი სიტყვა ხმოვ-ნით თავდება და მეორე სიტყვა იმავე ხმოვნით იწყება: ელიაღადგინა 130, 31 (ელია აღადგინა); ერთიგი 66, 24 (ერთი იგი); დარა 32, 31 (და არა). გვაქვს როგორც აღსაარება (107, 11), ისე აღსარება (107, 20), სადაც აღ-ბათ გრძელი **ა** გამოითქმოდა. „აღსარების“ ანალოგიით პირიან ფორმაშიც **ო** რი **ა** დაუწერიათ: აღიარებდ (91, 5), რაც შეცდომაა და გასწორდა, მაგ-რამ „აღსარება“-ში ერთი **ა** დავტოვეთ.

მაგალითები თანხმოვნებზე: უფრო ხშირია მაინც, რომ **ო** რი თანხმოვ-ნის ნაცვლად ერთი იყოს დაწერილი: მისა 154, 30; 275, 28 (მისსა), თჳსა 275, 20 (თჳსსა), მიწეს 240, 27 (მიწესს), მომადლე 25, 16 (მომამადლე) და მისთ. მეორე ასო ყველგან აღდგენილია გამოცემაში.

თ) **ო** და **უ** ერთიმეორის ნაცვლად. სინური მრავალთავის ერთ თავისებურებას შეადგენს **ო** და **უ** ასოთა გამოყენება ერთიმეორის ნაცვლად: მოსალოდნელია **ო** (**Q**), სწერია კი **უ** (**Q4**), ან პირუკუ: მოსალოდნელია **უ** (**Q4**) და დაწერილია **ო** (**Q**). ასეთი მოვლენა ხშირი არ არის; მაგალითები:

ო - ს ნაცვლად **უ**: უწუდიან 58, 17 (უწოდინან); შეურგულდა 61, 4 (შეორგულდა); ბურცუსა 68, 31 (ბორცუსა); თუმა 172, 20 (თომა).

უ-ს ნაცვლად ო: უშჩოლო 121, 10 (უშჩოლო); მოკოდა 130, 3 (მოკუდა); მოკლი 131, 2 (მეტლი); სოფევაჲ 138, 2 (სუფევაჲ), ღრობელთა 138, 14 (ღრუბელთა), საწოთროჲსა 141, 13 (საწუთროჲსა); შეორატხ-ჰყოფენ 142, 1 (შეურატხ-ჰყოფენ); ძოძოჲს 144, 18 (ძუძუჲს); ნო 146, 17 (ნუ); ანო 223, 8 (ანუ); სოლნი 235, 6 (სულნი); ობრალო 250, 29 (უბრალო), ტაკოკო 200, 11 (ტაკუკო) და სხვ.

არა მგონია, რომ ამას რაიმე ფონეტიკური საფუძველი ჰქონდეს, ე. ი. რომ ო და უ ბგერა არ იყო გარჩეული. მოვლენა წმინდა ორთოგრაფიულია. მაგალითების მიხედვით შეიძლება ზოგ შემთხვევაში ასიმილაციაზე გველაპარაკნა (უწუდიან, ტაკოკო), მაგრამ ეს არ უნდა იყოს მიზეზი. რადგანაც ასეთი მოვლენა უფრო პალესტინურისა და სინასმთური წარმოშობის ხელნაწერებშია დადასტურებული, შეიძლება კითხვა დავსვათ: ხომ არ არის აქ რომელიმე სემიტური ენის გავლენა (არაბულისა, ასურულისა)?

ასეთ შემთხვევებს უყოყმანოდ ვასწორებდით.

ი) მერყეობა საკუთარი სახელების ფორმებში. დიდი მერყეობაა საკუთარი სახელების ფორმათა წერაში, როგორც ეს მაგალითები გვიჩვენებს:

ნაბუთჲსი 136, 24; ნაბოთე 136, 25. (შეიძლება ნაბოთე-ში ო უნის ნაცვლად იყოს დაწერილი და ეს მაგალითი წინა მუხლს განეკუთვნებოდეს); იესჲსა 205, 2; იჲსჲს 7, 9; იაზაბელისა 129, 37; 130, 10; იეზაბელ 136, 23; იეზაბელისნი 136, 22; ქსანთიბე 245, 22; 246, 12; ქსანდიჲსისა 245, 24; ალფიანე 246, 4; აფინა 245, 25; ალფინოზ 246, 7; პატროკლოს 250, 14; 251, 8; პატროკლე 250, 20; 251, 3, 251, 11; დავით 105, 12; დავიდ 95, 6.

საკუთარ სახელთა ფორმების სწორება ამ გამოცემის მიზანს არ შეადგენდა და ისინი უცვლელადაა დატოვებული.

2. შერყენილი ადგილები: გასწორებას მოითხოვდა შერყენილი ადგილები:

10, 7. ეწერა: ნაყოფი მსხმოჲ ზეთისხილი. გასწორდა: ნაყოფ-მსხმოჲ (არის უნაყოფოდაც: მსხმოჲ იგი ზეთისხილი (18, 29).

14, 10. ხელნაწერში იყო: ღმრთის-მშობელ რაჲ მყო, კუალადვე დამმარხა. აქ ქალწულობაზეა საუბარი და აშკარად გამოტოვებულია სიტყვა, რომელიც აქ კავებშია ჩასმული: კუალად ქალწულადვე დამმარხა. გამოტოვება იმისი ბრალად, რომ „კუალად“ და „ქალწულად“ ერთნაირად ბოლოვდება და გადამწერს თვალი გადასცდენია (შდრ.: დავიცევ ქალწულადვე 174, 11).

19, 3. წინადადებაში ორჯერ არის სიტყვა „ყოვლითავე“. ერთი ზედმეტია და ამოვიღეთ. იგივე წინადადება („ბრძენი იყო ყოვლითავე წჲ ესე, ყოველთა ნათესავთა დედათა შორის არასადა იპოვა მსგავს მისა“ 19, 3—4) მცირეოდენი ცვლილებით მეორდება ცოტა ქვემოთ: 21, 30—31.

29, 23. ხელნაწერში იკითხება: „შენგან მცენარემან“. ხანმეტი მრავალთავის ნაწყვეტში სათანადო ადგილას იკითხება „შინაგან მცენარემან“ და ასე გადავასწორეთ (შდრ.: „შინაგან აღმოცენებულისა“ 24, 14).

36, 37—38, 1. ხელნაწერში ეწერა: „ღრობელთა ზედა სულმცირეთა ჯორცთა მათ ზედა მჯდომარჲ შევალს ეგვბტედ“. გადასწორდა: ღრუბელთა ზედა სულმცირეთა მჯდომარჲ ჯორცთა მათ შევალს ეგვბტედ („ჯორცთა“ აქ მოქმედ. ბრუნვის ფორმა გვეგონია მრ. რიცხვში).

65, 21. ხელნაწერში იკითხება: „დედაკაცი მყარვე არა შეემთხვის“. შეცდომა გვეგონია და გასწორდა: დედაკაცი მეგრვე არა შეემთხვის“. გასწორებისას მხედველობაში იყო მიღებული მსგავსი წინადადება თვით სინურ მრავალთავში: დედაკაცი მეგრვე არა ეხილვა 67, 1.

110, 1—2; 109, 9; 109, 12. ხელნაწერში სამ ადგილას „სიმართლე“ იკითხება „სიმრთელის“ ნაცვლად, რაც ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი გადამწერის უყურადღებობით: მთრვალობათაგან იქმნა შენდა უწყსობება, რომელმან განლიის სიმართლჲ და ძალი სულთა და ჯორცთაჲ (110, 1—2); დედად სიმართლისად ჰპოო მარხვაჲ (109, 9); რამეთუ მათ დედა სიმართლისა თქჳნ მარხვაჲ (109, 12). ყველგან გასწორდა: სიმრთელჲ, დედად სიმრთელისად, დედა სიმრთელისა.

143, 36. ერთ ციტატაში ესაიიდან (42, 18—20) იკითხება: და ვინ ყრუ, რომელნი-იგი მათ ეუღლებიან. აქ ჩაემატა „გარნა“, და „ეუღლებიან“ ზმნის ნაცვლად „ეუფლებიან“ ჩაისვა, როგორც ეს იკითხება ბაქარისა და თბილისურ გამოცემებში.

158, 33. ციტატა ქებათა-ქებიდან (2, 13—14) კირილე იერუსალიმელის თხზულებაში „აღდგომისათჳს მკუდრეთით“ ასე იკითხება ხელნაწერში: „აღდეგ და მოვედ, მოყუასო ჩემო. და ამისა შემდგომად იტყჳს: საფლავისაგან კლდისა“. ამას იქვე თარგმანება მოსდევს: „საფარველი კლდისაჲ თქჳ“ და შემდგომი. ცხადია, „საფლავისაგან კლდისა“ გადამწერლის შეცდომაა, რადგანაც ქვემოთ განმარტებულია „საფარველისაგან კლდისა“ და ასეც გასწორდა. ოშკურ ბიბლიაში (978 წ.) ამ ადგილას იკითხება: საგრილსა მას ქუეშე კლდისასა¹, ბაქარის გამოცემასა და თბილისურში—„საფარდულსა შინა კლდისასა“.

176, 8. ხელნაწერში ეწერა: არცალა მომავალი იგი მო-რაჲ-ვიდა შენდა და განაძე. შეცდომა გვეგონია და გავასწორეთ: არცალა მეძავი იგი.

192, 16. ხელნაწერში სწერია: რაიმე ვთქუა ანუ რასამე ვიდოდი. აშკარა შეცდომაა და გასწორდა: რასამე ვიტყოდი. ასეთი გამოთქმა („რაიმე ვთქუა ანუ რასამე ვიტყოდი“) რამდენჯერმე გვხვდება ათანასი ალექსანდრიელის საშობაო თქმულში: 33, 4; 33, 32; 34, 5; 37, 34; 38, 6.

261, 2. ეწერა: მე რაჲ დღე. აშკარა შეცდომა ჩანს და გასწორდა: მა-რადღე.

რიგ შემთხვევებში გასწორება ეხება ზმნის პირის, რიცხვის ან მწყრივის ფორმებს, როგორც ამას მოითხოვს კონტექსტი:

¹ ა. ცაგარელი, Сведения, I. დამატება, გვ. 27.

17, 24 მუცლად-ილე და შვე ძმ და უწოდი სახელი მისი იესუ S] მუცლად-ილო და შვე ძმ.

27, 28 მიუტევე მე შეცოდებანი S] მიუტევენ მე შეცოდებანი.

109, 27 განგუეშორების S] განგეშორების.

122, 11 ჰპოვე S] ჰპოვო.

141, 16 გესმინოს S] გუესმინოს.

147, 2 გუაკურთხენ S] გაკურთხევთ.

—, 13 მისცო S] მივსცო.

175, 36 ნუ შეურაცხ-ჰყოფთ S] ნუ შეურაცხ-ვჰყოფთ.

201, 22 მიტევეს S] მიტევის.

— 32 ჰრქუან S] ჰრქვან.

211, 31 აყუედრებ S] აყუედრებნ.

279, 29 შევწიროთ S] შევწირეთ.

ე. კვიპრელის თხზულების სათაურისთვის. შეცდომა ჩანს ეტვიფანე (ეპიფანე) კვიპრელის თხზულების სათაურში (გვ. 46), სადაც ავტორის შესახებ ნათქვამია: „რომელი კონსტანტინეს დედაქალაქისა იწამა სარწმუნოებისათჳს“¹ ცნობილია, რომ ეპიფანე კვიპრელი არავის უწამებია, ის გარდაიცვალა 403 წელს, როცა ბრუნდებოდა კონსტანტინეპოლიდან კვიპროსს, სადაც მოღვაწეობდა კონსტანტია (სალამის) ქალაქში. თავდაპირველად სათაური ასეთი უნდა ყოფილიყო: თქმული წმ. და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეტჳფანე მთავარეპისკოპოსისა კონსტანტია ქალაქისაჲ, სარწმუნოებისათჳს წმ. მარადის ქალწულისა მარიამისა“. მაგრამ „სარწმუნოებისათჳს“ ისე გაუგიათ, თითქო წინა სიტყვებს ეკუთვნოდეს, რამაც გამოიწვია ალბათ „რი“ და „იწამა“ სიტყვების ჩართვა, „კონსტანტია ქალაქი“ კი კონსტანტინეს დედაქალაქთან (კონსტანტინეპოლთან) აურევიათ. ამას გარდა, „თჳს“ დაერთო მარიამს და ახალი სათაური გაკეთდა: „წმ. მარადის ქალწულისა მარიამისთჳს“.

სათაური არ შეგვისწორებია და ისე დავტოვეთ, როგორც შეიძლება გაგებულ იქნას ხელნაწერის სიტყვები. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იმავე თხზულების სათაური და დასაწყისი შემონახულია A 19 ხელნაწერში, სადაც იკითხება: „თქმული წმ. და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეტჳფანე კჳბრელ მთავარეპისკოპოსისაჲ, რომელი კონსტანტია დედა ქალაქსა იწამა, სარწმუნოებისათჳს წმ. ღმრთისმშობელისა“¹.

საინტერესოა, რომ სინურ ხელნაწერში შემორჩენილია ნათ. ბრუნვის ფორმა: „(დედა)ქალაქისა“.

3. შემოკლებულ სიტყვათა გახსნისათვის. შემოკლებულ სიტყვათა გახსნისას ვხელმძღვანელობდით იმით, თუ როგორ არის სრულად დაწერილი იგივე სიტყვა თვით ხელნაწერში სხვაგან სადმე.

აწ. ეს სიტყვა შემოკლებული სახითაც გვხვდება (49. 29; 73, 35) და შეუმოკლებლადაც, სრულად. სადაც სრულად არის დაწერილი, ყველგან ამენ

¹ ილია აბულაძე, მრავალთავი: ენიშკის მოამბე, XIV, 260.

იკითხება: 23, 25; 30, 10; 45, 8; 54, 8; 184, 9; 190, 8; 198, 6. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ სიტყვის თითო-თითო ასოდ ჩამოწერა უკანასკნელი საკითხავის ბოლოს (273 rb). ამიტომ, სადაც შემოკლებულად იყო დაწერილი, ამენად გავხსენით.

თქმული. ეს სიტყვა იშვიათად გახსნილად გვხვდება: თქუმულთაჲ (176 vb, 24=186, 15), ამიტომ, სადაც დაქარაგმებული იყო, ყველგან ასე გავხსენით: თქუმული.

იშლმ, იშმ. ეს სიტყვა ერთ ადგილას შეუმოკლებლად არის დაწერილი და იერუსალემ იკითხება: იერუსალემს (54 ra, 11=55, 6). არის სხვა შემთხვევებიც გახსნილად დაწერისა, მაგრამ იე-ს ნაცვლად იშ იწერება (თან ქარაგმა უზის თავზე), ხოლო ბოლო მარცვლად ლემ იკითხება: იშრუსალემასაჲ (147 va, 22=155, 2), იშრუსალემითგან (207 v, 15=218, 28). გვხვდება აგრეთვე შემოკლებულად წინა ნაწილში, მაგრამ ბოლო ნაწილში გახსნილად: ასულად იშსალემისად (216 ra, 10=226, 36), იშლემისანო (216 v, 1=227, 13). ამ სიტყვაში შ ხმოვნის დაწერა გამართლებული იქნებოდა მხოლოდ ლემ მარცვალში (იერუსალშმ, 'Ιερουσαλῆμ, *მხრისაჲლქა*), აქ კი ყოველთვის ლემ გვხვდება და არავითარი ჭკუა არ იყო შ დაგვეტოვებინა ამ სიტყვაში გინდ თავში, გინდ ბოლოში. ამიტომ ყოველგან იერუსალემ გავატარეთ. შენიშვნებში ზოგჯერ აღნიშნულია ხელნაწერის ორთოგრაფია, ზოგჯერ კი—არა.

იშლ. ამ სიტყვის შესახებაც იგივე ითქმის, რაც იშმ-ის შესახებ: როცა გახსნილად არის, იკითხება ე: მას დღესა შინა იყოს ისრაელი საჲ მესამშ ნაწილი (37 va 21-22=37, 3). ამიტომ აქაც ყველგან ე გავატარეთ (სქოლიოში შეიძლება ყოველთვის არ იყოს ჩატანილი ხელნაწერის ორთოგრაფია).

მს, მდს. ეს სიტყვა გაუხსნელად თითქო არ გვხვდება, მაგრამ გვაქვს მარადლე (161, 1; 261, 3) და მარადლ 266, 7, რომლისაგანაც ნაწარმოებია მს. ძველის-ძველად მისი გამოთქმა იქნებოდა მარადლის, მაგრამ თვით სინურ მრავალთავში უღანო ფორმა იკითხება მისგან ნაწარმოებ სიტყვაში: „თუმცა არა იყო წყობა სამარადისო 261, 4. ამიტომ ყველგან უღანოდ არის გახსნილი: მარადის.

ოკე. ეს სიტყვა სრულადაც არის დაწერილი: უკუნითი უკუნისამდე (170 va=188, 37). ამის გამო ოკე ყველგან უკუნისამდე-დ არის გახსნილი.

რაჟს. მიუხედავად იმისა, რომ გვხვდება რაჟშს 185, 16=176 ra, 14) და რაჟამს (197, 29=188 rb, 2), საერთოდ მას ასე ვხსნიდით: რაჟამს.

ლთებაჲ. იგი ყველგან ღმრთეება-დ არის გახსნილი, მით უმეტეს, რომ ზოგან შემოკლებულია და ორი ე მაინც არის: ღთებისაჲსა (16 rb=17, 4), ღთებისაჲთა (17 ra, 3=17, 38), ღთებისა (19, 37) და სხვ. ამას გარდა, სრულად დაწერილიც გვხვდება: ნათელი ღმრთეებისაჲ (184 va, 4=194, 12).

შს. ყველგან გახსნილია ასე: შორის.

ცხრბა ეს სიტყვა უმეტესად შემოკლებულად იწერება. მაგრამ არის გახსნილადაც, ოღონდ ხან ვინიანი ფორმა იკითხება (ცხოვრება), ხან უვინო (ცხორება): სრულად დაწერილი ფორმები: ა) ცხოვრება 12, 1; ცხოვრებისა 6, 9; 11, 16; ცხოვრების 11, 38 და სხვ. ბ) ცხორება 11, 9; ცხორებასა 11, 12; 17, 24; 143, 20 და სხვ. ერთსა და იმავე გვერდზე (6 v) ისედაც არის და ასედაც. ამიტომ, როდესაც სიტყვა შემოკლებულია და შიგ 3 არ ურევია (მაგ., ცხრა 9, 1), ძნელია იმის გადაწყვეტა, თუ როგორ უნდა გაჰყვნა. ასეთ შემთხვევაში ცხოვრებად ვხსნიდით, მაგრამ სქოლიოში ჩავკონდა ხელნაწერის შემოკლებული ფორმა.

წყელი. ამ სიტყვის გახსნის საფუძველს გვაძლევდა მისი სრული დაწერა: წინაწარმეტყუელებით (4 ra, 10=7, 4).

IV. უანიშნავი ენის თავისებურებათა შესახებ

სინური მრავალთავის ენის ყოველმხრივი შესწავლა მომავლის საქმეა. ამ წერილში მსურს შევჩერდე მხოლოდ რამდენიმე საკითხზე, ისიც გაკვრივ.

ა. ფონეტიკური მოვლენები

1. **ბგერათა შედგენილობა და მათი გამოხატვის საშუალება.** ძეგლში იხმარება 37 ნიშანი, რომლებიც გამოხატავენ ხუთ სრულ ხმოვანს (ა, ე, ი, ო, უ), ორ უსრულ ხმოვანს (უმარცვლო ი-ს და უმარცვლო უ-ს), და 29 თანხმოვანს (ბ გ დ ვ ზ თ კ ლ მ ნ პ რ ს ტ ფ ქ ღ ყ შ ჩ ც ძ წ ჭ ხ ჯ ჳ), სულ 36 ბგერას, მაგრამ ისე, რომ თანხმოვნებს ყველას ჰქონდა თავისი ნიშანი, ხმოვანთაგან კი—მარტო ოთხს (ა ე ი ო), მეხუთე ხმოვანი უ ორი ნიშნით გადმოიცემოდა (Q4), რაც ბერძნულის გავლენას მიეწერება; ამ ორ ნიშანთაგან თვითფულს ცალკე თავისი ბგერითი მნიშვნელობა ჰქონდა: ერთი (Q) იყო ხმოვანი ო, მეორე (4) იყო დიფთონგი ჟი. უმარცვლო ი გადმოიცემოდა განსაკუთრებული ნიშნით (D), უმარცვლო უ-ს კი თავისი ნიშანი არ ჰქონდა და ისე იწერებოდა, როგორც მარცვლიანი (სრული) უ. დიფთონგისებრი ხასიათი ჰქონდა აგრეთვე 1 (U) ასოს, იგი უდრიდა ეა-ს. ამგვარად, 1 და 4 დიფთონგებს აღნიშნავდა, ხოლო 4 (F) ბერძნული ომეგის ქართული სახე იყო (მაგრამ სიგრძის გარეშე). იგი ო-ს მაგივრობას ეწეოდა გარკვეულ შემთხვევებში (იწერებოდა ჰსანა-ც და ოსანა-ც).

ამ მხრივ სინური მრავალთავი ახალს არაფერს შეიცავს, იგი იზიარებს მასზე ადრინდელი ქართული ძეგლების (წარწერებისა და უთარილო ხელნაწერების) ორთოგრაფიის თავისებურებას, რომელიც V—VI საუკუნეში იყო შემუშავებული.

2. **ასიმილაცია.** აღსანიშნავია სრული ასიმილაცია „შაშოვალ“ სიტყვაში 192, 29 (საშოვალ) და ნაწილობრივი საჯ ფუძის ფორმაში: დაიშა-ჯებიან 92, 18. შჯული ჩვეულებრივია სხვა ძეგლების (მაგ., ოთხთავის) ენაშიც. გც კომპლექსის ქც-დ ქცევა ცნობილი იყო აღიშნის სახარებიდან (897 წ.):

ვინ მოქცეს თქუნ (ლუკ. 16, 12). ამას მხარს უჭერს იმაზე 33 წლით ადრე გადაწერილი ხელნაწერი: მოქცეს 186, 19; მიქცე 209, 16, 22.

3. **დისიმილაცია**. ბერძნულიდან ნასესხებ „მარტვრ“ სიტყვაში (μαρτυρ) რაეს დისიმილაცია ხდება: მარტული (მაგ., 255, 4 და სხვაგანაც), მაგრამ შენახულია ორი რაეც: მარტური 196, 27; მარტვრნი 120, 39; მარტვრთა 116, 8, ნაწარმოებ სიტყვაშიც: დღეთა მარტვრისათა 168, 35 (შდრ., საკითხავნი მარტვლისანი 181, 1), მარტვრობისა 168, 5 და სხვ.

4. **შენაცვლება**. სახელი „ეპიფანე“ „ეტჳფანედ“ ყოფილა ქცეული უკვე IX საუკუნეში, როგორც ამას აჩენს ეპიფანე კვიპრელის თხზულების სათაური: „თქმული წმ. და ნეტარისა მამისა ჩუენისა ეტჳფანე კპრელ მთავარეპისკოპოსისაჲ (გვ. 46). მიზეზი არ ჩანს, თუ რის გამო არის აქ ჳ (შეიძლება ევტიქი→ეტჳქი-ს ანალოგიით), მაგრამ ტ მაგრად დამკვიდრდა ქართულში: ცნობილია, მაგალითად, ეტიჳფანე კათალიკოსი, რომელმაც წარწერა ამოაკვეთინა ანისში 1218 წელს. წარწერაში იკითხება: „ესე მე, ეტიჳფანეს კათალიკოზსა, ჩემითა კელითა დამიწერია, ოდეს ანის(ს) ეკლესიანი ვაჟურთხენ“¹. გურიაში დღესაც ჩვეულებრივია ეტიჳფანე.

5. **გადასმა**. გადმოსმულია რ „ვრმალ“ სიტყვის მრავლობითში: რვმლე-ბი 275, 7. გვხვდება ვ ბგერის გადასმა სლვა ჳმნაში. როგორც გვიჩვენებს პირიანი ფორმები (ვალს, ხ-ვალ→ხუალ), თავდაპირველად ამ ჳმნის საწყისი უნდა ყოფილიყო ს-ვლ-ა, მაგრამ (ალბათ ავიან ჳმნათა ანალოგიით) ს-ვლ-ა-ს ნაცვლად ძველ ქართულში ნორმაა სლვა, „სვლა“-ში კი ვინი გადასმულად მიიჩნევა. გადასმის შედეგად ვ უმარცვლო უ-დ იქცევა: სლვა→სვლა→სულა. რა თქმა უნდა, ამ ძველშიც ნორმაა სლვა (მაგ., გარე განსლვასა და შინა შემოსლვასა 53, 25; შესლვასა 141, 2; აღმოსლვისა 37, 10; მოსლვისაჲ 42, 16 და მრავალი სხვა), მაგრამ სულა-ც გვხვდება: მოსულაჲ 33, 14; მოსულისაჲ 40, 24; შესულად 77, 33; გამოსულასა 131, 8; შესულასა 132, 3 და სხვ.

აქა-იქ გვხვდება ძველი ფორმა „თაყანის-ცემა“ ჳმნისა, სადაც ვ თავის ადგილზეა (თაყანის-ცემაჲ 98, 21; თაყანის(ს)-სცემდენ 91, 33; თაყანის-საცემელ 91, 32), მაგრამ უფრო ხშირია და, შეიძლება ითქვას, ჩვეულებრივი ვ-გადასმული ფორმა, სადაც გადასმის შედეგად ვ უმარცვლო უ-დ არის ქცეული: თაყუანის(ს)-სცეს 37, 7; თაყუანის(ს)-სცა 243, 35; თაყუანის(ს)-სცემენ 256, 20 და სხვ.

6. **ბგერათა დაკარგვა**. ა) სინური მრავალთავის მიხედვით, ჳ სუს-ტი ბგერა ყოფილა, რომელიც ადგილად იკარგებოდა ხმოვნების წინ. ამიტომ გვაქვს პარალელური ფორმები:

¹ Н. Марр, Надпись Епифанія, католикаса Грузин: ИАН 1910, 1438 — 39; В. Дондуа, К социально-экономической жизни средневековой Грузии по аниийской надписи (1218) Епифанія (კრებული: Академия Наук академику Н. Я. Марру. 1935, გვ. 613 და შემდგომ).

ჰაბაშთა 273, 12; ჰაბაშთაჲ 272, 26, ჰაბაშთასა 276, 25 და აბაშთა კერძო 272, 25.

ჰეროდეს 37, 2 და ეროდე 35, 26; ეროდეს 35, 37;

ჰელენე 238, 23 და ელენე 238, 19, 26;

გვხვდება აგრეთვე: აერნი 133, 15; აერთა 66, 16 და ჰაერთა ზედა 73, 25, მაგრამ აქ შეიძლება უფრო განვითარებაზე ვილაპარაკოთ, ვიდრე დაკარგვაზე: ბერ აერ ი (მერმინდელი გამოთქმით: აირ-ი.)

ბ) იკარგება სუბიექტური ნიშანი მეორე პირისა და ობიექტური ნიშანი მესამე პირისა გარკვეული ბგერების წინ (ნახე ქვემოთ, გვ. 317).

გ) უმარცვლო უ შეიძლება დაიკარგოს არა მარტო ბაგისმიერი ბგერის მეზობლობაში: იგმევდეს 14, 27 (იგუმევდეს); უჩხო 80, 36 (უჩხო), განძარცოთ 176, 22 (განძარცუოთ), არამედ სხვაგანაც: კიცსა 150, 19 (კიცუსა); მიუწუდომელი 192, 3; 193, 15, მაგრამ: მიუწუდომელი 194, 10; მიუწუდომელისა 194, 32; 279, 23; მისაწუდომელ არს 168, 12; უკდავებისა 195, 11 (უკუდავებისა).

დ) ზოგჯერ ლ იკარგება ვლტ ფუძეში: ივლტოდა 121, 11; ივლტოდი 130, 11; მიივლტიან 121, 37; მიივლტოდის 122, 17, მაგრამ: შეივტინ 119, 11; ივტოდა 120, 27; მოივტოდის 120, 31. იკარგება იგივე ლ „მართლუქუნ“-ში: მართლუქუნ 120, 8.

ე) იკარგება მ ბანის წინ: ბრწყინვალე 187, 2 (მაგრამ: მბრწყინვალე 186, 37 და სხვაგანაც).

ვ) „შევრდომა“ ზმნის ფორმებში (შევრდომაჲ 197, 21) უ-ს შემდეგ შეიძლება შენახულ იქნეს გ (შეუვრდა 73, 20; 128, 32), მაგრამ შეიძლება დაიკარგოს: შეურდების 80, 26; შეურდეს 166, 8.

ზ) იკარგება რ თანხმოვნებს შორის: ჩვეულებრივ იწერება ყრმაჲ (მაგ., 239, 6, ყრმანი 149, 15, ყრმათა, ყრმებსა 149, 8; 150, 3 და მისთ.), მაგრამ ასეთი ფორმებიც არის: ყმაჲ 204, 30; ყმისა 25, 32; 204, 29.

„ძრწოლის“ ძრწ კომპლექსი შენახულია, თუ უძღვის ხმოვანი (მაგ., შეაძრწუნა), თუ არა და, იკარგება რ: ძწოლით 81, 22; 161, 14; ძწის 209, 36; ძწიან 174, 12; ძწოდეს 213, 19.

მრწ კომპლექსი გამარტივებულია რ-ს ამოღებით: მწემი 65, 16; 213, 9; უმწემეს.

შ) ოვ→ო. ო-ნის შემდეგ რომ შეიძლება გ დაიკარგოს, ეს ცხოვრება-ცხორების მაგალითზედაც ვნახეთ ზემოთ (გვ. 310). დამატებით აქ აღვნიშნავთ, რომ გვხვდება როგორც შოვრ, ისე შორ: შოვრით 35, 36; განეშოვრნეს 117, 8; შორს 109, 32; 120, 37, განშორებულ არს 126, 25;

თხოვ ისგან გვაქვს: ითხოვენ 138, 2 და ითხოენ 138, 23. „პროვადიკე“-ს ნაცვლად „პროადიკე“ იკითხება: საბანელსა პროადიკისასა 90, 13 (პროჲადიკი). ეს დაწერილობა გულისხმობს, რომ ბერძნ. β გ-დ არის ქართულში გადმოღებული უკვე IX საუკუნეში (პროვადიკე→პროადიკე).

თ) ოთხთავების მიხედვით **ზოგ** ფუძეს ვიცნობდით. სინურ მრავალთავში კი პარალელურად **ზოგ-ი**ც გვხვდება: ზოგადი 115, 28; ზოგადნო 123, 8; ზოგად 123, 8, მაგრამ ამასთანავე: ზოგვად 116, 17, 20; ზოგვადი 116, 24.

ი) თავისებური ვითარებაა ბერძნული **ψ**-ს გადმოცემისას, რომელიც „ფსალმუნში“ გვხვდება. სინურ მრავალთავში ჩვეულებრივი ფორმაა **ფსალმუნ** ი: ას და მეცხრე ფსალმუნი 168, 27; ფსალმუნისაჲ 75, 7; ფსალმუნითა 142, 8; მეფსალმუნჲ 156, 16; ფსალმუნებს 173, 2 და სხვაგან. მაგრამ აქა-იქ გვხვდება **სალმუნ**-ი (156, 26; 161, 12, 15; 167, 5; 274, 20). ქართულში უნიანი ფორმა დამკვიდრდა (ფსალმუნი), და არა ონიანი (ფსალმონი), თუმცა კი ბერძნული სიტყვის ბრალბითი ბრუნვის ფორმა ონითაც გვაქვს (**μᾶχις** მოქლონ-ი: მოქლონნი და კლიტენი 50, 27). ფსალმუნ-ში ო-ნის უნად ქცევას უთუოდ ხელი შეუწყო ბაგისმიერმა მ-ანმა. სვანურში ბერძ. ბრალბითის ფორმა **უნ**-ით გვაქვს; უ(შეუს) სტარუნ-ს ორენი („პირს ჯვარს იწერს“)¹. ეს სხვათა შორის. ამჟამად ჩვენს ყურადღებას უფრო ფარის დაკარგვა იქცევს: სალმუნი. მსგავსი ფორმა სომხურშიც გვაქვს (**սալմու** სალმოს) და შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ „სალმუნ-ი“ სომხურიდან მოდისო. მაგრამ არა. ეგრე რომ იყოს, მაშინ „სალმოსი“ გვექნებოდა. ქართული „სალმუნ ი“ იმავე ბერძნულიდან მოდის, საიდანაც სომხ. სალმოს-ი (ახალი სომხ. გამოთქმით სალმოს-ი). ფარის დაკარგვა—ეს რაღაც დიალექტური მოვლენაა თვით ბერძნულში. იგივე მოვლენა (ე. ი. **ფს** ჯგუფის გამარტივება: **ფს**→**ს**) დადასტურებულია **ფსეფ** სიტყვაში, რომელიც ცნობილია ბეთლემის ქართული მონასტრის ნანგრევების ერთი წარწერიდან: „მომსხმელი ამის სეფისაჲ“². **ფსეფ**-ი→**სეფ**-ი (**σῆφ**, ἦ, „კენჭი“, მოზაიკა).

6. **კუმშვა**. „მეგრდ“-ი ისევე იკუმშება როგორც „ლმერთი“: ვიდრე მეგრდამდე 276, 7. იკუმშება „ჯრმალ“-ი: რქმლები (275, 7), მეგრმლემან 253, 12; მეგრმლეთა 253, 10, მაგრამ გვხვდება შეუკუმშავი ფორმაც: მეგრმალესა 253, 14, რაც შეიძლება კალმის შეცდომა იყოს. გვხვდება: უდბად და უდებად, ნაყროვანებისაგან 100, 27 და ნაყროვნებითა 109, 27.

7. **განვითარება**. ქართ. „ექუს“-ის გავლენით განვითარებულია უმარცვლო უ ბერძნულისაგან ნასესხებ **ექსორია**-ში: ექუსორია იქმნა 201, 6.

9. **სჟ და სჯ კომპლექსების ცვალება**. ა) **საჯ** ფუძის შეკუმშული სახე ნაწილობრივი ასიმილაციის ძალით **შჯ**-ს გვაძლევს, რაც კარგად ცნობილია ოთხთავის ენიდან (სჯ→შჯ). იგივე მოვლენა, რა თქმა უნდა, აქაც გვაქვს: შჯულისა 238, 40 და სხვა. საყურადღებოა, რომ ეს **შჯ** პირველი ბგერის გავლენით **შჩ**-დ არის ქცეული: შჩული 249, 35; შჩულსა 239, 12; უშჩულო 121, 10; შემდგომი საფეხურია **ჩჩ**: ურჩულონო 275, 6, განრჩად ცხოველთა და მკუდართა 51, 24 (განრჩად=განსჯად), დარჩილ იყო 159, 31;

¹ ა. შანიძე, ბერძნული სიტყვა აკუზატივის ფორმით სვანურში (თხუზულებანი, I, 1957), გვ. 320—322.

² მ. თარხნიშვილი, Le iscrizioni musive del monastero di Bir el-Qutt [P. Virgilio Corbo-ს წინაშე: Gli scavi di kh. Siyar el-Ghanam (Campo dei pastori) e i monasteri dei dintorni. იერუსალიმი 1955, გვ. 135, ტაბულა 34].

დარჩილთასა 43, 5; მოვიდეს სარჩელად 70, 5; ერჩიან 51, 33 (ესჯიან, ეშ-ჯიან).

უნდა აღინიშნოს, რომ რჩ კომპლექსი აღიშის სახარებაშიც გვაქვს, სახელდობრ ლუკას თავში: ახალი რჩული (ლუკ. 22, 20); რჩულის მეცნიერ-მან (ლუკ. 11, 45).

ბ) სჭუ-ალ ფუძისაგან გვაქვს ნაირ-ნაირი ფორმები (რომლებშიც სჭარბობს ასიმილაციური (სჭ→შჭ): სამსჭუალთა 172, 17; სამშჭუალნი 243, 32; 244, 2; სამშჭუალთა 243, 12, 26; 244, 1; შემშჭუალეს 243, 13; დაენშჭუალნეს სამშჭუალნი 243, 16 და სხვ. მაგრამ ამასთანავე გვაქვს ს-ანის (resp. შინის) ცვალება რ-დ: სამრჭუალთა 172, 18 და შერეული ფორმა: სამრსჭუალთა 172, 26, რაც „სამსჭუალთა“ და „სამრჭუალთა“ კონტამინაციისაგან არის წარმომდგარი ან შეიძლება კალმის შეცდომას მიეწეროს.

მას შემდეგ, რაც „სამსჭუალის“ ნაცვლად ქართულში არაბული „მუს-მარი“ შემოვიდა (რომელიც უკვე X საუკუნის ძეგლშია დადასტურებული)¹, „სამსჭუალი“ თანდათან გადაფარდა, მაგრამ „მარჭვალის“ ფორმით ეხლაც არის აქა-იქ შემორჩენილი, ოღონდ ნიშნავს ხის სამსჭვალს და იხმარება ღურგლებისა და ხუროების ენაში². რჭ კომპლექსი შემონახული გვაქვს რჭო-ბა-ში („ვარჭობ“, „დავარჭვე“), მაგრამ სჭ (შჭ) დღესაც უცვალებლად იხმარება ხევსურულში: „სხვათ ნაშჭობ ისარივ ყუნჭს ესჭვავ“³ (ანდაზა: „სხვების ნარჭობი ისარიო კუნძს ერჭო“, ე. ი. სხვების ნასროლი ისარი მიზანს კი არ მოჭხედა, არამედ კუნძსაო).

4. მორფოლოგია

А. სახელმბო.

1. რიცხვი. ებ-იანი მრავლობითის შემთხვევები ცოტაა: ეტლები, ცხენები, რტოები; ყრმები და დედები 273, 20; მახულები 275, 1, გუამები 278, 6, 14; წყაროები 278, 18, ხარჭები და სხვ., მაგრამ ეგვეე სიტყვები ნართანიანი ფორმებითაც იხმარება. გაკვირვებას იწვევს ეტლ სიტყვის ფორმა ებიან მრავლობითში: ეტლეები ეფრემისი 132, 16. კაცი იტყოდა, შემთხვევითიაო, მაგრამ ორი ე („ეტლეებ“-ი) სხვა ძეგლებშიც გვხვდება⁴ და თვით სინთურ მრავალთავეშიც მეორდება: ეტლეებითა 133, 3 (ეფრემ-ში ორი ე შემთხვევითი უნდა იყოს).

2. ბრუნება. ა) „ეკლესია“ ჩვეულებრივ იკვეცს ბოლოკიდურ ა-ს (მაგ., კარი ეკლესიისა 70, 20), მაგრამ გვხვდება ძველი, უკვეცელი ფორმაც, რომელიც ხანმოკლე ძეგლებშია დადასტურებული: ეკლესიასა 47, 12; 52, 6. ერთხელ

¹ „შენ განაცვ აქლემსა მუსსმარი ცხრთა და მით დაიმორჩილე იგი“: მამათა სწავლანი, გამოსცა ილია აბულაძემ. 1955, გვ. 148, 2.

² ქართ. ენის განმარტებით ლექსიკონში არ არის შეტანილი.

³ ბეს. გაბუური, ჯვესურული მასალები: „წელიწადული“, 205, 18.

⁴ ი. იმნაიშვილი ორ ე-ს „ეტლეებ“-ში „ჭუნეებ“-ის გავლენით ხსნის: სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, 1957, გვ. 95.

გადამწერს „ეკლესიასა“ დაუწერია, მაგრამ შემდეგ (ალბათ, დედნის გავლენით) სიტყვის თავზე ა დაუსვამს (ოღონდ მეორე ი აღარ გადაუსწორებია) და „ეკლესიასა“ გამოუყვანია, რაც უთუოდ ასე უნდა წავიკითხოთ: ეკლესიასა (129, 25).

ბ) ე-ზე ფუძე-გათავებულ სახელებს სახელობით ბრუნვაში **ე** აქვს: საქმე 153, 1; 219, 17; 232, 16 და სხვ. გამონაკლისია: საქმე 133, 14.

გ) „მოთვარე“ ნათ. ბრუნვაში იკვეცს ბოლოკიდურ ხმოვანს (ნათელი მოთვარისა-ჲ 178, 10), მაგრამ გვხვდება შეუკვეციელი ფორმაც: მეათოთხმეტე იყო მოთვარსა მის რიცხვ 165, 33.

დ) ე-ზე ფუძე-გათავებულ საკუთარ სახელებს ნათ. ბრუნვაში **ეს** აქვთ: ფილიპს-ი 212, 33; ჰეროდეს-ი 212, 34); გამონაკლისია: იესუ ძე ნავესი 58, 21, რომელიც ბგერობლივ იგივეა, მაგრამ სხვა ორთოგრაფიით.

ე) „ქრისტე“ სიტყვის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი (გვ. 303). დამატებით აქ უნდა აღვნიშნო, რომ ნათ. ბრუნვაში გვხვდება აგრეთვე „ქრისტის“: ქრისტის შობასა 190, 10 და სან-დაკარგული ფორმაც: შემდგომად ქრისტიშობისა 268, 31.

ვ) „იესუ“ ნათ. ბრუნვაში ჩვეულებრივ „იესუს“ ფორმას გვაძლევს (შემოკლებით: იჲეს, მაგ., 123, 21), ზოგჯერ **ჲ** არ არის, ბრუნვის ნიშნად მართო **ს** რჩება (იესუ-ს, შემოკლებით: იჲს) და ნათ.-ის ფორმა მიცემითისას ემსგავსება: მივიდა ღამე მაცხოვრისა ჩუენისა იესუს-ა 64, 39.

3. **წარმოქმნილ ფორმათათვის.** სახელთა წარმოქმნის თვალსაზრისით საყურადღებოა **ე**ბა და **ო**ბა სუფიქსთა მონაცვლეობა ერთსა და იმავე სიტყვაში: ჯორციელებისა 139, 6 და ჯორციელობისა 138, 18, 31, 139, 9; ურწყულებისაგან 129, 7 და ურწყულობისაგან 129, 21; ნაყროვნებითა 109, 27 და ნაყროვნობისაჲთა 100, 28.

4. **უფრობითი ხარისხის ფორმათა წარმოებისათვის.** წარმოქმნის კატეგორიას განეკუთვნება უფრობითი ხარისხის ფორმაც, რომელიც სინურ მრავალთავში მოკლე სახითაც გვხვდება და გრძელითაც. ნორმაა, რა თქმა უნდა, გრძელი (**ეს**-იანი) ფორმა. მაგალითები: ყოველი მწუხარებაჲ, რომელი უკეთესად მოიქცევენ კაცთათჳს, ძმანო, უპატიოსნეს და უმეტეს სიხარულ არნ, რამეთუ კაცთა ნათესავი დღითი-დღედ უმეტესსა და უმჯობესსა ეძიებნ კეთილსა 232, 5—7. როგორც აღნიშნულია (გვ. 303), **ეს**-ის გვერდით **ეს**-იც გვხვდება: უბირადეს 8, 4, 6; 17, 4 და უბირადეს 94, 13; უწინარეს 126, 7 და უწინარეს 96, 25; უმეტეს 127, 8, 12 და უმეტეს 117, 5; უზეშთაეს და უმაღლეს 100, 5; უზეშთაეს და უძლიერეს 105, 35.

ეს-იანი ფორმების შესახებ ნახე ზემოთ (გვ. 303—304).

მოკლე ფორმათა მაგალითებია: უმძიმე და უძნელე 105, 9; უმრავლე ხაროთ თქუენ 70, 26; უმახლობელე 10, 23; უადვილე 264, 25; უმტკიცე 208, 20; უადრე 83, 13 და მისთ.

შეიძლება გრძელი და მოკლე ფორმა გვერდი-გვერდს იხმარებოდეს ერთსა და იმავე წინადადებაში; მაგ., წმიდაცა ესე ქალწული უდიდებულეს და უწმიდეს და უპატიოსნე შობილ იყო, ხოლო უბრწყინვალეს უფროს თოვლისა აქუნდა გონებაჲ, რამეთუ ყოვლისა ოქროსა გამოცდილისა უწმიდე იყო ჴორცითა 9, 31—34.

ჩვეულებრივია **უფროს** (34, 38; 123, 15 და სხვაგან), მაგრამ გვხვდება **უფროს** (118, 21; 118, 25 და სხვაგანაც) და სულ გამარტივებული **უფრო**, რომელსაც გვერდში უდვას **უჩიო** (80, 36) და **უმცრო**: რამეჲ ჰყენეა, რომელთაგან ითხოვს უფრო, ვიდრე რომელი-იგი ითხოვს ღწერთი უმცრო 138, 37—38; მცირედ უმცრო 269, 15. რა თქმა უნდა, გვხვდება უმცირესიც: უმცირესსა 27, 21; უმცირეს 167, 29.

უფრობითი ხარისხის ფორმას თუ ვაწარმოებთ „ტკბილ“-ისაგან, მას **ილ** სუფიქსი უნდა ჩამოჰშორდეს და გვაქვს „უფროს“-ებრ ნაწარმოები ფორმა: **უტკბო**სსა და **უსარგებლ**სსა იტყოდა 86, 7. აქედან მოდის ვეფხის-ტყაოსნის „უტკბოსი“ („უტკბოსნი მამა-ძეთასა“ 597, 3). მაგრამ ამის გვერდით არის **ილ**-იანი ფორმაც: **უტკბილ**ს 235, 15; 274, 6. ეს **ილ** შენახულია აგრეთვე სიჩჴლე-ში (119, 20); მოსალოდნელი იყო: სიჩიო (შდრ. უჩიო 80, 36).

ბ. ზენიბი

1. **ხანმეტობის ნაშთი**. სინური მრავალთავი გადაწერილია მაშინ, როცა ხანმეტობა უკვე დიდი ხანია გადავარდნილი იყო, და გადაწერილია საბაწმიდაში (იერუსალიმში), სადაც ქართული სალიტერატურო ენის რეფორმა მოახდინეს, მიმართული სწორედ ხანმეტობის წინააღმდეგ. გიორგი მთაწმიდლის ცნობა „საბაწმიდურ“ სახარებათა შესახებ, ჩემი აზრით, გულისხმობს მის დროს არსებულ ოთხთავებს, რომელთაც ხანმეტობა არ ახასიათებდა; ასეთებია, მაგ., ჩვენამდე მოღწეული ადიშისა (897 წ.), ოპიზისა (913 წ.), ჯრუჭისა (936 წ.), პარხლისა (973 წ.) და ტბეთის (995 წ.) ოთხთავები. ასე რომ „საბაწმიდური“ არა შინაარსობრივ განსხვავებულ რედაქციას გულისხმობს (ვთქვათ, ადიშურს ჯრუჭ-პარხლურის მიმართ, ან პირუკუ), არამედ ენობრივად განსხვავებულს¹ და, როგორც ხანმეტის საპირისპირო, აღნიშნავს ხანკლებულს, ე. ი. ისეთს, რომელშიც მეორე პირის სუბიექტურ ნიშნად და მესამე პირის ობიექტურ ნიშნად არის არა **ხ** ყველგან (ხმოვნის წინაც და თანხმოვნის წინაც), არამედ **ჰ** ან მისი ბგერინაცვლები: ხმოვნების წინ არაფერი, თანხმოვნების წინ **ჰ** და **ხ**. როდის მოხდა ეს რეფორმა, არ ვიცით. ვარაუდით იგი უნდა მომხდარიყო VIII—IX საუკუნეში რომელიმე გავლენიანი პირის თაოსნობით, რომლის სახელი ისტორიულმა წყაროებმა არ შემოგვინახა.

ჩვენი მრავალთავი ხანკლებული ძეგლია, სან-ნარევი. აქ **ს₂**-ად და **ო₂**-ად ან არაფერია (ხმოვნების წინ), ან არის **ჰ** და **ხ** (შიშინა თანხმოვნების წინ—**შ**). მიუხედავად იმისა, რომ ძეგლი საკმაოდ დიდია, ხანმეტობისა და ჰაემეტობის ნაშთი ცოტაა. ამ მხრივ იგი დიდად ჩამოუვარდება ადიშის სახარებას.

¹ ამავე აზრისაა კ. კეკელიძეც (ძვ. ქართ. მწერლობის ისტორია, I. 1951, გვ. 385).

ხანმეტობის ნაშთად უნდა მივიჩნიოთ **ხუნდა** 103, 15 და, თითქო, ესენიც: მო-ხ-ეფინა 85, 4, შე-ხ-უდგინებდა 117, 26, შე-ხ-უდგინა 136, 35, ხ-იკმ-ნებოდა 107, 20, ხ-იკმნეს 209, 25, სადაც ქარაგმა ხანზე ზედმეტი უნდა იყოს.

ამ მაგალითების მიხედვით არ შეიძლება დავასკვნათ, რომ ეს მრავალთავი ხანმეტი დედნიდან იყო გადმოწერილი; დედანი, ალბათ, ხან-კლებული იყო და მასშიც ხანმეტი ფორმები გადმონაშთი იყო, მწერლის მიერ უნებურად შეცდომით გადმოწერილი.

2. ჰაემეტობის კვალი. ჰაემეტობის კვალი ჩანს მხოლოდ ერთს თანხმონით დაწყებულ ზმნაში: ჰწინინა 134, 4.

იშვიათია ფორმებიც გარდამავალი ხანისა ჰაემეტობიდან სან-ნარეობამდე (**ჰს**): შეჰსძრწუნდე 92, 29; მოჰსწყედით 117, 36; ჰსწადოდა 207, 23; ჰსწადოდაცა 207, 19.

3. მე-2 სუბიექტური პირის ნიშნისა და მე-3 ობიექტური პირის ნიშნის დაკარგვა სპირანტების წინ. სინური მრავალთავი პირის ნიშნების ხმარების თვალსაზრისით წარმოადგენს ნიმუშს კლასიკური ნორმების დაცვის საკითხში: ზმნური პრეფიქსი ჰ ხმოვნების წინ იკარგება, მაგრამ რჩება თანხმოვნების წინ, ოღონდ ცხრა თანხმოვნის წინ შეცვლილია სანად, რომელიც შიშინა თანხმოვნების წინ შინად იქცევა. ეს წესი გატარებულია ყველგან, მთელს წიგნში. მაგრამ აქა იქ გამონაკლისიც გვხვდება: ჰ შეიძლება დაიკარგოს სპირანტების წინ (**ს, ზ, შ, ხ**); არის აგრეთვე რამდენიმე შემთხვევა მისი დაკარგვისა **რ-ს** წინ, **მ-ს** წინაც. მაგალითები:

ს₂: ნუცა მათ თანა შჰამთ, ნუცა მათ თანა ს უ ა მ თ 48, 10; ჰამადითა დისტენო და აღმოივსო მუცელი შენი დღეს, და ხვალე და შემდგომად შესუა წამალი იგი 109, 38; დასაჯე 175, 9 (კილო თხრობითია, მოსალოდნელი იყო: დაჰსაჯე); ნუ ზ რ უ ნ ა ე თ 153, 9; შობ 203, 27. შეე 52, 32; 203, 10, 13, 33 (მაგრამ: ჰ შეე 52, 25); რაქსა სძე და ხურინაე 163, 17; ხედავა 233, 34 (შდრ.: ჰხედავა 108, 9); ხადით 59, 31 (ჰხადით).

ო₂: არავის ზ რ ა ხ ა ე ნ 270, 11; შის 36, 16 (ჰშის, ჰშშის); შიოდა 50, 9; რქუა, რქუეს 149, 26; ვის მე არა ვრწამ, ღმერთი არა რწამს 147, 25; დამარხეს 61, 24 (მაგრამ: დაჰმარხეს 64, 36).

4. ნართული ი. თანხმოვანზე გათავებულ 1 ლი პირის ფორმებს ნართული ი გასჩენიათ წყვეტილში: ვითარცა კრავი ნათესავისათჳს კაცთაჲსა მოვედი დაკლვად 81, 19; მე მამისაგან მოვედი 147, 25; შთავკედი 164, 29; აგრეთვე II ბრძანებითში: აღ დე გი 163, 17.

სამაგიეროდ, იგივე ნართული ი ზოგჯერ არ მოიპოვება იმავე წყვეტილსა და II ბრძანებითში **ენ** სუფიქსსა და **თ-ს** შორის: ვიხილენტ ცანი 136, 30; მოვიტსენენტ 236, 7 ბრმათა აღიხილენტ 143, 35; მოაქციენტ გულნი თქუენნი 144, 20; აღიხილენტ თუალნი თქუენნი 145, 1; ჩუენ მოგუანიკენტ 145, 16 (თანის წინ ამოფხეკილია ი; ჯერ „მოგუანიკენით“ დაუწერია); მაგრამ, რა თქმა უნდა, ი-ჩართული ფორმებიც ბევრია; მაგ., განვატრუენით 152, 8; მიავლინენით 152, 8; გამოირჩიენით 238, 37 და

სხვ. ხანმეტ ლექციონარში, რომელიც ერთ დროს სინას მთაზე იყო დაცული, იკითხება: წარვედით და მოიმოწაფეთ ეოველნი წარმართნი (მათ. 20, 19)¹, ხოლო სინურ მრავალთაგანში იგივე სიტყვები ასეა მოყვანილი: წარვედით და მოიმოწაფეთ ეოველნი წარმართნი (197, 30—31).

სათანადო ვნებითში თითქო არ უნდა გვხვდებდეს უინო ფორმა: იპოენით 144, 37; ვიპოენით 165, 17; იწოდენით 172, 12; იდიდენით 172, 12; აღვიზარდენით 52, 8 და სხვ.

5. **იეს დაბოლოებისთვის.** I თურმეობითში გარდამავალ ზმნებს იეს დაბოლოება აქვთ ჩვეულებრივ: გისწავიეს 98, 37; გიყოფიეს 147, 14; გულისხმა-უყოფიეს 214, 21 და სხვ. ეგვევ იეს სტატიკურ ზმნათა აწმყოშიც გვხვდება: უპყრიეს 70, 13; ამ დაბოლოების ნაცვლად IX საუკუნეში ცოცხალ მეტყველებაში უკვე ია ყოფილა, რომელსაც ორიოდ შემთხვევაში ჩვენს ძეგლშიც უჩენია თავი: გიპყრია 70, 7; რად უდებ-გიყოფია 246, 8; აწ რომელი გიყოფია, თავს-იდევ 129, 3.

6. **ორი პირის ნიშანი რთულ ზმნაში.** „ლაღადება“ ზმნას II სერიის ფორმებში რთული ზმნა ენაცვლება: ლაღად-ყავ. 1-ლი პირის ფორმაში შეიძლება ვ თავ-ზმნაშიც გადმოვიდეს: ვლაღატ-ყყოთ 20, 25 (აქ სხვა მოვლენაც არის საყურადღებო: ღონის დაყრუება ყარის გავლენით: ლაღად-ყო→ლაღატ-ყო; ვლაღატ-ყყოთ).

7. **ზმნისწინთა გამარტივება.** ზმნისწინები აღ, გან, წარ ზოგჯერ კარგავენ ბოლო თანხმოვანს: აღ(ღ), გა(ნ), წა(რ).

ა(ღ): უფრო ხშირია აღ-ის გამარტივება: აღგომაჲ 174, 20; 234, 40; აღგომითა 169, 6; წმ. აღგომისა 280, 7 (ტერმინში, რომელიც დღესაც ინარჩუნებს ღ-ს: აღდგომა), აღგომასა 124, 5; ასდევით 169, 14; ავიდოდა 193, 24; ახუედ 65, 37; 67, 7; ახვდე 67, 18; ზარი აჰვალს 210, 20; აგიარებ 175, 12; აიარებენ 234, 8; აუვარო უფალსა 71, 8; აიხუნეს 219, 7; აჰმართნეს 123, 18; აჯოცაჲ 102, 34, ამაღლდა 200, 19; ამაღლდების 201, 31 (მაგრამ: აღმაღლდების 202, 32) და სხვ.

გა(ნ): გაეშორნა 141, 11 (მაგრამ: განეშორნეს 93, 5; 117, 8); გაელო 199, 15.

წა(რ): წაიკითხონ 216, 3 (შდრ.: შემდგომად წარკითხვისა 71, 21); წამოცვენებულ 268, 9.

„საესე“ და „სავსება“ სიტყვას შეიძლება ზმნისწინი დაერთოს წინ: განსაესე 175, 12; აღსაესებაჲ 12, 14.

8. **„ჩუენება“ ზმნისთვის.** თანამედროვე ქართულში ეს ზმნა სხვადასხვა ფორმით იხმარება: აჩვენა-ც ითქმის და უჩვენა-ც, მაგრამ მათ შორის ფუნქციებზე განსხვავება არ არის². ამგვარივე ვითარებაა არსები-

¹ ხანმეტ ლექციონარი. ფოტოტიპირი რეპროდუქცია. გამოსცა და სიმფონია დაურთო ა. შანიძემ. (ძველი ქართული ენის ძეგლები. 1). 1944

² ა. შანიძე, ქართ. გრამატიკის საფუძვლები, 1953, § 412.

თად სინურ მრავალთავშიც, ოღონდ ეს კია, რომ, თუ ირიბი ობიექტია წინადადებაში, ზმნა უმეტესად სასხვისო კტევით იხმარება:

ა) აჩუნებს თავსა თუსსა 43, 6; აჩუნა 247, 38; 267, 22; რაფთამცა აჩუნა ძალი საქმეთა მათ 102, 10; დიდითა შრომითა სინანული აჩუნის 103, 7; ირიბი ობიექტით: მაჩუნენ ხოლო ადგილი იგი 241, 11.

ბ) გიჩუნო შენ 72, 28; გიჩუნო თქვენ 76, 7; უჩუნა მას ადგილი იგი 68, 32; გვჩუნა ჩვენ სახს მარხვისა 101, 15—16; გიჩუნო თქვენ ადგილი ჯუარისა მის 241, 19; უჩუნენ ძუალნი იოსებისნი 241, 40; გვჩუნენ ჩვენ საფასს 275, 22.

9. „არს“ ზმნისთვის. „არს“ ზმნა ორიოდ შემთხვევაში შემოკლებული ფორმითაც გვხვდება: ჩემია შურის-გება 197, 20; დაწერილა (48, 4 = დაწერილ არს), არა კეთილა დევნა იგი უჟამოდ მოწმისა 207, 30. მყოფადის ფორმა იქნება იყო ან ყოფად არს: პირველ საუკუნეთასა იყო, არს და იყო 46, 12; არცა იყო, არცა არს, არცა ყოფად არს 43, 3.

ლ. სინტაქსი

1. **შედგენილ• შემასმენელი.** შედგენილი შემასმენლის სახელი ჩვეულებრივ წრფელობითი დგას. მაგალითად: ჩემი დიდება დიდება არს მამისა თანა 147, 26; და ლათუ უძლურ იყვნეს დედანი იგი ჯორცითა, არამედ მჯნე იყვნეს გონებითა 161, 1 და მისთ. მაგრამ აქა-იქ ეს წესი დარღვეულია და წრფელობითის ნაცვლად სახელობითია: ჯუარი ცხოვრება არს ეკლესიისა (233, 19), მაგრამ იქვე: ჯუარი სიქადული არს ყოველთა მოსავთა მისთა 223, 20; ბრძენი იყო ყოვლითავე წმიდად ესე 19, 3; 21, 30 და სხვ.

2. **უჩვეულო სინტაქსური კავშირი.** ძეგლში აქა-იქ გვხვდება ისეთი შეწყობა სახელისა ზმნასთან, რომლის მსგავსი ახალ ქართულში შეუძლებელია; მაგ., იაკობ, რომელსა წოდებულ იყო ძმად უფლისა (55, 5); (ახალი ქართულით: რომელიც წოდებულ იყო, ან რომელსაც სწოდებოდა); რომელსა (sc. სოლომონს) არცა ბრმასა თუალნი აეხილნეს 150, 5. აქ ორი სახელია მიცემითში დასმული („რომელსა“ და „ბრმასა“), რომელთაგანაც ერთია ქვემდებარე („რომელსა“), მეორე კი — ირიბი დამატება („ბრმასა“). XI საუკუნის ენით ეს იქნებოდა: რომელსა არცა ბრმისა და თუალნი აეხილნეს. მსგავსი მაგალითია: რომელსამე მახვლითა ნაწლევნი გამოუსხნიან გარე და რომელსამე მჭარსა ეხეთქნა და ორად განებო 276, 6—7. აქ ერთ შემთხვევაში ზმნის ფორმა II სერიისაა („გამოუსხნიან“), მეორე შემთხვევაში — III-ისა („ეხეთქნა“), მაგრამ მათთან შეწყობილი „რომელსამე“ ორსავე შემთხვევაში ირიბი დამატებაა¹.

¹ მსგავსი შემთხვევები სწვა ძეგლებიდან აღნუსხული აქვს დ. გეგაძეს: „სამ-პირიან ზმნათა III სერიის ფორმების შესახებ ძველ ქართულში“ (ქუთ. პედ. ინსტიტუტის შრომები. ტ. XVIII, 1957, გვ. 469—472).

3. ყურადღებას იქცევს მეშველი ზმნის კლება ზოგიერთ შედგენილ შემსმენელთან: შენ—მოხუცებულ და გარდასულ დღეთა მისთა 27, 12; უღელი ჩემი ცხებულ და ტვრთი ჩემი ფართო 134, 26 და სხვა.

ფ. ლექსიკა

სინურ მრავალთავში შესული საქრესტომათიო მასალა სხვადასხვა დროს¹, სხვადასხვა ენისაგან (ბერძნულისა, სომხურისა, ასურულისაგან) და სხვადასხვა პირის მიერაა ნათარგმნი; ამიტომ არ არის გასაკვირველი, რომ შიგ ძველისძველ სიტყვებთან და ფორმებთან ერთად შეიძლება ახალიც გვხვდებოდეს¹. ზოგი საკითხავი უთუოდ ხანმეტობის დროიდან მოდის, მაგრამ ენა შესწორებულია.

რომ ძველი ნარევი მასალისაგანაა შემდგარი ენობრივად, ამას ისიც ჰმოწმობს, რომ ერთი და იგივე ციტატა (ფს. 23, 7) სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა გვარად არის ნათარგმნი.

A

აღახუენით ბჳენი თჳენნი, მთავარნო², და განეხუენენ ბჳენი საუჳენენი და შევიდეს მეუფ ღიდებისაჲ (167, 3—8)

B

აღამალენით ბჳენი თჳენნი, მთავარნო, და აღმალდედ ბჳენი საუჳენენი და შევიდეს მეუფ ღიდებისაჲ (179, 24—25)

არის მესამე (C) ვარიანტიც: განმიხუენით მე ბჳენი თჳენნი, მთავარნო...მერმე კი ისე, როგორც A (71, 22).

ძველის ლექსიკა სპეციალურ შესწავლას მოითხოვს დედნებთან შედარების გზით, საიდანაც ნათარგმნია ესა თუ ის თავი. აქ შევჩერდები რამდენიმე სიტყვაზე, რომელთაგანაც ზოგი ძალიან დამახასიათებელია ქართული სალიტერატურო ენის განვითარებისათვის ძველ პერიოდში. მივჰყევთ ანბნის რიგზე.

არშებრ. ჩემთვის ამჟამად არ არის ნათელი, თუ როგორ წარმოდგა „არშებრ“ ამ წინადადებაში: „და იწყეს მათ უცხოთა ენათა, ვითარ სული იგი მოსცემდა მათ სიტყუად: გალილეელ იყვნეს პეტრე და ანდრეა და სპარსლებრ და არშებრ იტყოდეს, იოავანე და სხუანი მოციქულნი ყოველსა ენასა ეტყოდეს წარმართთა მათ“ (186, 24—26). მოყვანილი ნაწყვეტი თავისი

¹ ყველაზე გვიან ნათარგმნი ჩანს სინა-რაითის მამათა მოსრვის ამბავი, რომელშიც გვხვდება: ხუასთავი (273, 3), „ზოგი“ (ახალი მნიშვნელობით, 273, 28—30), გორი (273, 15), აჯობეს (277, 36). მიუხედავად იმისა, რომ ძველი გადაწერილია იერუსალიმში, რომელიც კი ხანია არაბებს ეპყრათ, შიგ არაბული წარმოშობის სიტყვები არ გვხვდება.

² ამ ციტატის დასაწყისი დ. გუგუშვილის მოჰყავს: „აღახუენით, მთავარნო, ბჳენი (ღვთისმშობლის მიცვალების დღის შესხმაში).“

სიტყვით გადმოგვცემს „მოციქულთა საქმის“ ერთ ადგილს (2, 8—9), სადაც იკითხება: „და ვითარ ჩუენ გუესმის კაცად-კაცადსა თჳსი სიტყუაჲ ჩუენი, რომელნი ვართ სპარსნი და უჟიკნი და ელამიტელნი და მკჳდრნი შოვამდინარისანი და ჰურიასტანისანი და კაბადუკიასანი, პონტოჲსა და ასიაჲსანი“¹ და სხვ.

აშკარაა, რომ „მოციქულთა საქმის“ სინური ხელნაწერები ამ მუხლში **¶** რედაქციას უტერენ მხარს; **¶** რედაქციაში ერების ჩამოთვლა ასე იწყება: „მარნი და უჟიკნი და ელამიტელნი და მკჳდრნი შუჲა ასურეთისანი“, ხოლო **¶** რედაქციაში—ამგვარად: პართნი და უჟიკნი და ელამიტელნი და მკჳდრნი შუამდინარისანი². ამგვარად, „უჟიკნი და ელამიტელნი“ სამსავე რედაქციაში იკითხება, განსხვავებას ვხედავთ პირველ სიტყვაში: მარნი (**¶**), სპარსნი (**¶**), პართნი (**¶**). ბერძნული ტექსტი აქ შემდეგს იძლევა: Πάρθοι καὶ Μήδοι καὶ Ἑλαμῆται³. სომხურიც მასვე იმეორებს: *Պարթևք և Մարք և Իլամայիք*⁴. ასეთი განსხვავება ქართული ტექსტისა, ალბათ, იმან გამოიწვია, რომ „უჟიკნი“ და „ელამიტელნი“ სინონიმებია და, როგორც ნ. მარი ვარაუდობდა, თავდაპირველად ქართულ ტექსტში, უთუოდ, ერთი მათგანი იყო (ალბათ „უჟიკნი“); შემდეგ კი, ქართ. ტექსტის გამართვისას ბერძნულის მიხედვით, მას გვერდში ამოუდგა მისი სინონიმი და ერთი ხალხის ნაცვლად ორი მივიღეთ: უჟიკნი და ელამიტელნი⁵.

უჟიკები (ჰუჟიკები, ხუჟიკები) ცხოვრობდნენ ქვეყანაში, რომელიც ბიბლიაში ელამის სახელით არის ცნობილი. ბერძნებისათვის ეს იყო სუსიანა; ასურულად მას ბეთ-ჰუზაჲ-ს უწოდებდნენ⁶, სპარსულად—ხუზისტანს (خوزستان), ამჟამად კი უფრო არაბისტანს ეძახიან⁷. იგი მდებარეობს სპარსეთის ყურის ჩრდილოეთით და შატ-ალ-არაბის აღმოსავლეთით ირავისა და ირანის საზღვრებში (უმთავრესად ირანისაში). მისი მთავარი ქალაქი იყო გუნდი-შაპური (ასურულად: ბეთ-ლაფატი-ი)⁸. უჟიკი—*ܘܒܝܬ ܚܝܬ*, სპ. *خوز*. მაგრამ ამასთანავე შემდეგია გასათვალისწინებელი: „უჟიკეთი“ („ხუჟიკეთი“, „ხუჟასტანი“) მიდი-

¹ L' ancienne version géorgienne des Actes des apôtres d' après deux manuscrits du Sinai. Par Gérard Garitte (=Bibliothèque du Muséon, vol. 38). Louvain 1955.

² საქმე მოციქულთა ძველი ხელნაწერების მიხედვით. გამოსცა ილია აბულაძემ. თბილისი, 1950.

³ Novum Testamentum graece. Vol. I. Lipsiae 1872.

⁴ *საბოთაძაძიძე შაჰიხან, ჯამ. ჯიჟიყი. 'ქ' ქსნახიქ*. 1805.

⁵ რეცენზია უორდროპების მიერ ინგლისურად ნათარგმნ „წმ. ნინოს ცხოვრებაზე“: ЗВО XIII, 1901, გვ. 0137.

В. Болотов, Древнейшие митрополии в церкви персидской: Христ. чтение 1899, февраль, стр. 330—331, К. Кекелидзе, Иерусалимский канонарь VII века 1912, стр. 339.

⁶ В. Бартольд, Историко-географический обзор Ирана, СПб 1903, стр. 123.

⁷ В. Болотов, იქვე, გვ. 330.

ადაც ესმის (Μηδία) და „უჟიკი“—მიდიელად. ასეთ გაგებას ვხვდებით ოშკური ბიბლიის (978 წ.) ზოგიერთ წიგნში: დანიელისა, ივდიითისა და ტობიასაში; მაგალითად: ნათესავისაგან უჟიკთაჲსა (დან. 9, 1)=*αὐτὸς τὸν σπέρματός τῶν Μηδῶν, ἢ ἡ φυλὴ τῶν Μαρῶν*; დღეთა ართაქსადისთა, რომელი მეფობდა ხუესტანელთა¹ ზედა ეგბატანს (ივდიო 1, 1)=*ἐν ταῖς ἡμέραις Ἀρφαξάδ, ὅς ἐβασίλευσε Μηδῶν ἐν Ἐκβατάνι*; და ეწყო ერთთა თჳსითა ართაქსადს, მეფესა ხუეიკეთისასა²; შეძრწუნდეს სპარსნი კადნიერებასა მისსა და უჟიკნი—სიხუესტესა მისსა [ივდიო 16, 10 (22)]=*Ἐφρίξαν Πέρσαι: τὴν τήλμαν αὐτῆς, καὶ Μηδοὶ τὸ σπέρματός αὐτῆς ἐταράχθησαν, ὑποκυνῶν τὴν Περσικὴν ἢ τὴν Μαρῶν*; არცაღა გზად ხუეიკეთისად ვიცი (ტობია 5, 2)=*καὶ τὰς θῆμεις τὰς εἰς Μηδίαν οὐ γινώσκω*³, და სხვაგანაც (ტობ. 5, 4; 5, 5). მიდია ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთი ქვეყანა იყო, რომელსაც სამხრეთით ხუესტანი ეკრა. მისი სატახტო ქალაქი იყო ეგბატანი (ანუ აგბატანი)—დღევანდელი ჰამადანი. ამიტომ არ არის გასაკვირველი, რომ ხუეიკეთის სახელით მიდიაც აღენიშნათ⁴. აქედან კი დასკვნა გამოდის, რომ მოციქულთა საქმის 1. რედაქციის ხელნაწერების „პართნი და უჟიკნი და ელამიტელნი“ ასე უნდა გავიგოთ: „პართნი და მიდნი და ელამიტელნი“. გიორგისეულ რედაქციაში, როგორც ძველი გამოცემებიდან ჩანს (მაგ., ბაქარისეული ბიბლია 1742/3 წ., ახალი აღთქმა 1912 წ.), „მიდნი“-ც იკითხება და „უჟიკნი“-ც: „პართნი და მიდნი და უჟიკნი და ელამიტელნი“, სადაც „მიდნი“ და „უჟიკნი“ სინონიმებად უნდა გავიგოთ.

„ხუეიკი“ და „ხუესტანი“ სხვა ძეგლებშიც გვხვდება, მაგრამ ნათლად არ ჩანს მათი მნიშვნელობა: „და ორნი (ვინმე) სიკუდილისა თანამდებნი მის თანა ჯუარს-აცუნეს; ერთი იგი იყო ხუეიკთა კრებულისაგან, რომელი მოიყვანეს ჯუარ-ცუმად“ (მარტვლობა იზიდბოზიდისი)⁵; „ხოლო (საბურ) ბრძანა შეკრვად არშაკისი საკრველითა რკინისაჲთა და წარსცა იგი ხუესტანს ციხესა, რომელსა ეწოდების ხუესტან“ (მარტვლობა ნერსე მთავარეპისკოპოსისა)⁶.

სულხან ორბელიანის წარმოდგენით უჟიკეთი ბაღდადის ქვეყანაა. ამას იმეორებს თავის ლექსიკონში დ. ჩუბინაშვილიც და ქალდეას უმატებს: „უჟიკეთი — ბაღდადის ქვეყანა, ქალდეა, მცხოვრებნი მესაპოტამი-

¹ ხელნაწერში: ხოესტანელთა.

² აქ ბერძნულში არ არის ნათქვამი, თუ ვისი მეფე იყო ართაქსადი.

³ ამ შემთხვევაში ქართული ტექსტი რედაქციულად მისდევს იმ ბერძნულს, რომელიც ტიშენდორფისეულ სინურ ბიბლიაშია დაცული (Septuaginta. Edidit A. Rahlfs. Vol. I. Stuttgart 1952).

⁴ ნ. მარს აღნიშნული აქვს, რომ ასურების ჰუეიკები ზოგჯერ სპარსელებსაც გულისხმობდა, რის გამოძახილი ქართულშიც გვაქვს: დარიოს ხუეიკი (შატბერდის კრებულში).

⁵ ი. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X საუკუნეებში. თბილისი 1944, გვ. 122.

⁶ იქვე, გვ. 75, 5—7.

ისა, ქალდეელნი¹. უთუოდ აქედან გაჩნდა „მოციქულთა საქმის“ უ. გ. ა. რითის ლათინურ თარგმანში „უჟიკთა“ შესატყვისად Chaldaei (ქალდეელები)².

„არშებრ“ გვხვდება კირილე იერუსალიმელის სამარტვილიო საკითხავში, სადაც სათანადო ადგილას ბერძნულ დედანში იკითხება: Γαλιλαίῃς ὁ Πέτρος καὶ Ἀνδρέας καὶ Πέτρος, καὶ Ἰσκαριώτης (PG 33, 987). აქედან ჩანს, რომ „არშებრ“ შესატყვისება „მიდიურს“ (ზედმიწვენით: „მიდიურად“). მიდიელები (მედიელები) ძველ ქართულში (ისე როგორც ძველ სომხურში) მარე-ბის სახელით იყვნენ ცნობილნი³. ასე რომ აქ მოსალოდნელი იყო: „მარებრ“, რომელიც როგორღაც შერყენილა და „არშებრ“ ფორმად ქცეულა.

ასო. ნახე წესი.

ასპიროზ. ნახე ღამის მხერვალი.

აღფართება, აღმაფართებელი. ნახე ფართო (სულმცირესთან).

განცოცხლება. ნახე ცოცხალი.

განცხოველება. ნახე ცხოველი.

გოდოლი. ნახე კოშკი.

დუზუნი. ნახე ვიგრი.

ელამიტელი. ნახე არშებრ.

ერთიერთსა. ნახე სიტყვების მონაცვლეობა.

ეჯი. ნახე სავანე.

ვიგრი. იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის მეორე საკითხავში, რომელიც იოანე ოქროპირს მიეწერება, იკითხება: „მე უწყი, რამეთუ ასპიტნი-ცა ნელითა სიტყვთა დაიმწყსებინა და ვეფხნიცა ფუფუნებით დამშუდდიან, ლომნიცა და ვიგრიცა, ხოლო დედაკაცსა ბოროტსა აგინებდე თუ, ალგი-ბორგდეს; უკუეთუ ექენებოდი, აღზუენეს“ (214, 14—16). ამ ნაწყვეტის ბერძნულ დედანთან შედარებით (PG LIX, 1862, 487) ირკვევა, რომ „ვიგრი“ არის παρβηλ, ე. ი. ლეოპარდი ანუ ჯიქი.

ვეფხის ტყაოსანმა „ვიგრი“ არ იცის, სამაგიეროდ იქ არის „ჯიქი“, რომელიც ერთხელ გვხვდება და ისიც პროლოგში:

იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია (19, 3).

სულხან ორბელიანი თავის ლექსიკონში „ვიგრის“ გამოამბობს: „ქართლის ცხოვრებაში სწერია: „ვახტანგს აქუნდა ფარი ვიგრისაო“. მართლაც, ვახტანგ გორგასლის „ცხოვრებაში“ ჯუანშერი ამგვარად მოგვითხრობს ვახტანგ მეფისა და ბაყათარ ოგისის შებმის ამბავს: „განაწესნა ვახტანგ სპანი და დაადგინნა განმზადებულად. და აღჯდა ტაიჭსა, შეჭურვილსა ჯავშნითა, და აღი-ლო ფარი მისი ვიგრის ტყავისა, რომელსა ვერ ჰკუთვოდა მახული“. ბრძოლა რომ შეიქნაო, „ვერა ჰკრა ისარი ორისა ისრისა მეტი ბაყათარ ფარსა ვახტანგისსა და ვერ ჰკუთვოდა ყოვლად. და კუალად ჰკრა სხუად ისარი

¹ საუნჯე ქართულის ენისა, ქართულ-რუსული ლექსიკონი. 1887—90.

² Actes des apôtres, p. 25.

³ „სპარსთა და მართთა და ბაბილონელთა“; 6. მარი, TP III, გვ. LXV.

ცხენსა ვახტანგისა და გააგდო შიგა. და ვიდრე დაეცემოდა ცხენი ვახტანგისი, მიუტდა ზედა და უხეტქნა ჯრმალი მჯარსა ბაყათარისსა და ჩაჰკუთა ვიდრე გულამდე¹. იმავე ფარზე საუბარია კიდევ, სადაც აწერილია ვახტანგის ზებმა პალეკარპოს ბერძენთან: „და დასცა ლახუარი პალეკარპოს ფარსა ვახტანგისსა, რომელი იყო ვიგრის ტყავისა, და განვლო ფარსა ვითარ წყრთა ერთი, რამეთუ იყო სიმსხო ლახურისა ვითარ მკლავი კაცისა“-ო².

მოყვანილი სიტყვებიდან არ ჩანს, თუ რა იგულისხმება ვიგრად. სულხანი ამავე სიტყვას ბასილი დიდის თხზულებიდანაც იმოწმებს: „წმ. ბასილი წერს: ლომი, გეფხი და ვიგრიო“³, თანაც დასძენს: „აწ ვიგრის ტყავს ზღვის თევზის ტყავს უვმობენ და ჯმელთა ცხოველიც არს. მისი ტყავი აგრევე ძვლით მოლურსმილია“.

როგორც ცნობილია, სულხანმა თავისი ლექსიკონი რამდენჯერმე გადაამუშავა. ზემორე მოყვანილი ახსნა უკანასკნელი (მეხუთე) რედაქციიდანაა აღებული (ZA). სულ უძველეს რედაქციაში (E) „ვიგრი“ ზოგადად არის აღნიშნული („ოთხფერჯი“). შემდგომ გადაამუშავებულში (D) ახსნა უკვე კონკრეტულია: „ვიგრი რაცალა მგეცია, ლომსა და გეფხსა თანა აკსენებს წერილი. აწე რომე ვიგრის ტყავს უწოდენ, იგი კორკოდილოს ტყავი არს, რომელსა ქართულები ხვითქი ეწოდების“. შემდგომ საფეხურზე (C) სულხანი აწევს ახსნას იმეორებს და უმატებს: „კვალად არს ოთხფერჯი ცხოველი, რომელსა სპარსნი დუზუზბანს უწოდენ; და თევზიც არს, მსგავსი ტყავ-მოსილობით მათითა“. მეოთხედ გადაამუშავებულ რედაქციაში (B) იკითხება: „ვიგრი არს, რომლისა ტყავსა ფარად შემზადებენ, რომელსა სპარსნი ქარგარდანს უვმობენ. აწე რომელ ვიგრის ტყავს უვმობენ, რომელიმე ზღვის თევზთა ტყავი არს, რომელიმე ჯმელთა ცხოველთანი“⁴. „დუზუზბანი“ არა და, „დუზუნი“ კი (دوزون) შეტანილია სპარსულსა და თურქულ ლექსიკონებში (შტაინგასისა, ბიანკისა) ნილოსის კროკოდილოს მნიშვნელობით. რაც შეეხება „ქარგარდანს“, ეს არის ქარგადანი (کارگردان), რომელიც სპარსულად მარტორქას ნიშნავს.

სულხანის ახსნიდან გამოდის, რომ „ვიგრს“ მნიშვნელობა უცვლია. ამიტომ, „ამირან-დარეჯანიანის“ ერთ გვიანდელ (XVIII ს.) დამატებაში რომ საშინელი მხეცია აწერილი და ბის შესახებ ნათქვამია: „ტყავი ვიგრისა მგზავსი აქესო“⁵, აქ შეიძლება კროკოდილოს ან მარტორქის ტყავი იგულისხმებოდეს.

¹ ქართლის ცხოვრება. ტექსტი, დადგენილი ყველა ძირითადი ზეღნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, 1955, გვ. 155, 9—13.

² იქვე, გვ. 175, 13—15.

³ სამწეხაროდ, სულხანი ბასილის თხზულების სათაურს არ ასახელებს, რომ კაცმა ადვილად მონახოს სიტყვა და შეამოწმოს მისი მნიშვნელობა.

⁴ მომყავს საიუბილეო გამოცემის მასალებიდან, რომლებიც ილია აბულაძისა და ჩემი რედაქციით მზადდება.

⁵ „ამირან-დარეჯანიანის“ დამატებანი: ს. ყუბანეიშვილი, ძვ. ქართული ლიტერატურის კრესტომათია. II (1949), 123, 9.

ვიგრ-ის პარალელურად თითქო იგრ-იც უნდა იხმარებოდეს, როგორც ეს აქვს ნაჩვენები დ. ჩუბინაშვილს: „იგრი, ნახე ვიგრი“-ო¹. თუ ნამდვილია, „ვიგრი“ და „იგრი“ ისე მიემართება ერთმანეთს, როგორც „ვიწრო“, და „იწრო“, მაგრამ საეჭოა: ს. ორბელიანის ერთ გამგრძელებელს „იგრი“ ჯოჯოდ მიაჩნია².

სომხურში ჩვეულებრივი სიტყვაა ვაგრ-ი (*վագր*), რომელიც ვეფხეს ნიშნავს (*ափսի*). ქართ. „ვიგრ“-ი სომხურიდან არის ნასესხებიო, ამბობს ჰ. აკარიანი³. მაგრამ, როგორც უკვე აღნიშნა მზია ანდრონიკაშვილმა თავის დისერტაციაში⁴, ასეთი დასკვნის ნებას არ გვაძლევს ხმოვანთა სხვაობა (სომხ. ვაგრ. ქართ. ვიგრ). ნამდვილად კი ქართ. „ვიგრ“-იც და სომხ. „ვაგრ“-იც—ორივე ირანულიდან მოდის, თვითნაწილი მათგანი უშუალოდ, თავ-თავისი გზით, მაგრამ მნიშვნელობით დასცილებიან ერთმანეთს.

„ვიგრი“ დღევანდლამდე შემონახული ხევსურულ პოეზიაში „მიგრის“ ფოთით:

როშკის გორელთა ციხეთა ჩაიცივეს მიგრის ტყავიო⁵.

ეს სიტყვა ხევსურებმა ვერ ამიხსნეს. არაფერი აქვს ნათქვამი მის შესახებ თ. რაზიკაშვილსაც, რომელმაც ეს ლექსი ჩაწერა და მე დავბეჭდე⁶. რაღაც მაგარი ტყავი კი უნდა იგულისხმებოდეს, რადგანაც როშკის გორი ვერ გაუტეხია საძელის გორზე გადმოსულ „თავ-უჩინარ“ ჯარს; ლექსში ნათქვამია:

შიგ ნადგომმ ახალ ვაჟებმა დააყრევინს მკვდარიო.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ „მიგრი“ ერთ დროს საკუთარ სახელად ყოფილა ხმარებული. „მიგრ“-ის კნინობითი ფორმა იქნება „მიგრა“, ამის კნინობითი კი — „მიგრია“. ეს „მიგრია“ საფუძვლად უნდა ედოს კარგად ცნობილ მიგრიაულ ების გვარს ფშავში⁷. „მიგრია“ ისეთ ურთიერთობაშია „მიგრ“-თან, როგორც „დათვია“ „დათვ“-თან ან „ეფხია“ „(ე)ეფხ“-თან. „დათვია“ და „ეფხია“ კაცის სახელებია: „დათვია“ ხევსურული სახელია, „ეფხია“ კი მე გუდამაყარში გამიგონია

ზოგი. ნახე სიტყვების მონაცვლეობა.

ზოგს-რაჲ, ზოგს-რაიმე. სინურ მრავალთავში რამდენჯერმე გვხვდება „ზოგს-რაჲ“ (ან „ზოგს-რაიმე“): „არა ზოგს-რაჲ არს მიდლი ესე, არამედ სრულ არს ძლიერებაჲ“ 186, 29. აქ „ზოგს-რაჲ“ უპირისპირდება „სრულს“ და ნიშნავს ნაწილობრივს. ცოტა ზემოთ იკითხება: „აწ მიიღეთ

¹ საუჯგე ქართულის ენისა. ქართ.-რუს. ლექსიკონი. 1887—90.

² „ჯოჯო ანუ იგრი“ (ნახე ს.ს. ორბელიანის ლექსიკონის 1928 წლის გამოცემაში „მსგავნ“-თან).

³ ჰ. აკარიანი, ჯაქსკენ ატმასასკან გაიარან. ტ. VI. ერევანი 1932.

⁴ ირანული წარმოშობის სიტყვები ძველ ქართულ ორგინალურ ძეგლებში V—VI სს (მანქანაზე გადაბეჭდილი). თბილისი 1946, გვ. 121.

⁵ ა. შანიძე, ქართული ხალხური პოეზია. I. ხევსურული. 1931, გვ. 5 (№ 12). [ეს ადგილი მზია ანდრონიკაშვილსაც აქვს დამოწმებული].

⁶ აღეკისი ჭინჭარაულის სიტყვით, ხევსურეთში ამბობენ: „მიგრივით გაქდა“-ო, რაც ნიშნავს: გაბრაზდაო.

ზოგს-რამე, რომელი-იგი მიიღეს მათ“ 186, 12. ეგვე სიტყვა მოიპოვება იოანეს თავიდან ამოღებულ ციტატაში: არა თუ ზოგს-რამე მისცის ღმერთ-მან სული“ (199, 12), ოღონდ თვით იოანეს ტექსტში სათანადო აღვლას (3, 34) სხვა სიტყვა იკითხება: არა ზომით მოსცის ღმერთმან სული DE (არა ზომით მისცა ღმერთმან სული იგი C, გიორგისეულში: არა ზომით მოსცა ღმერთმან სული).

თანა-წარცოდვა. სინურ მრავალთავეში გვხვდება „თანა-წარცოდვა“ ასეთ ფრაზაში: „აწ ჩუენცა, ძმანო, ნუმცა თანა-წარცოდვით სულთა ჩუენტა ზიარებისა მისგან სულისა წმიდათაჲსა“ (183, 33). „თანა-წარცოდვა“ აქ მნიშვნელობით იგივეა, რაც „გარე-წარცა“ ასეთი ფრაზიდან: „სრულმან სიყუარულმან გარე-წარცადის შიში“ (161, 8=I იოვ. 4, 18). ამის გამო არ შეიძლება არ გავიხსენოთ ადიშის ოთხთავის ერთი ადგილი: „გარე-წარცოდე მე სასუმელი ესე“ (მარკ. 14, 36, რასაც უდრის ჯრუჭ-პარხლის „თანა-წარსლვად სასუმელი ესე ჩემგან“). თუ ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ადიშის ოთხთავში „გარე“ გარკვეულ შემთხვევებში „თანა“-ს ფუნქციის მქონეა (შდრ.: უკუეთუ შესაძლებელ არს, რაჲთა თანა-წარცადეს ჟამი ესე=უკუეთუ ჯერ-არს, რაჲთამცა გარე-წარცადა მას ჟამი იგი, მარკ. 14, 35), „გარე-წარცოდე“ ფორმა, რომელმაც მე დამაეჭვა სამი შატბერდული ოთხთავის გამოცემის დროს და გადავსწორე¹, უნდა აღვადგინოთ, რადგანაც მას მხარს უჭერს სინური მრავალთავის „ნუმცა თანა-წარცოდვით“.

იგრი. ნახე ვიგრი.

კავშირი. ნახე წესი.

კიოსკი. ნახე კოშკი.

კოშკი. ეს სიტყვა კარგად ცნობილია ვეფხის-ტყაოსნიდან; ტარიელი ამბობს: ნესტან-დარეჯანიო

ზოგჯერ კოშკს ჯდის, ზოგჯერ ბაღას ჩამოვიდის, რა დგის ჩრდილი (330, 2).

შევჯე, წავე, ბაღას მივე, ვითა სცნობდე ლხინთა ზომით!

ბაღა შეველე, კოშკი დამხვდა, ასმათ ვნახე ძირსა დგომით (518, 1—2).

ოღონდ ეს სიტყვა ვეფხის-ტყაოსანზე ადრე ყოფილა ხმარებაში სამ საუკუნე-ნახევრით მაინც, როგორც ეს ჩანს სინური ლექციონარიდან, სადაც იგი სინა-რაითის მამათა მოსრვის ამბავში ოთხჯერ გვხვდება ერთ გვერდზე (გვ. 267, 13, 14, 19, 31). „კოშკი“ აქ არის ეკლესიის მახლობლად აშენებული გოდოლი, რომელშიც მამასახლისის სამყოფია და რომელშიც შეიძლება თავის შეფარება შიშიანობის დროს (267, 14). ამ მნიშვნელობით გიორგი მთაწმიდლის მიერ შედგენილ იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრებაში „გოდო-

¹ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით, 1945, გვ. 043.

ლი“ გვხვდება: „თუთ მის ნეტარისა (მამისა ეფთჳმეს) საყოფელი სიმაღლესა იყო, გოდოლსა ზედა მაღალსა“¹.

„გოდოლი“ სინურ მრავალთავშიც გვხვდება: გოდოლნი მტკიცენი 121, 37; პირად-პირადითა მით მანქანითა ჰბრძოდიან მას, ხოლო გოდოლი იგი მისი მტკიცედ დამყარებულივე დგეს 223, 35. მაგრამ „გოდოლთან“ ერთად „კოშკიც“ იხმარება.

როგორც აღნიშნულია დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში², „კოშკი“ ჩვენში სპარსულიდანაა შემოსული უშუალოდ იგივე სიტყვა სპარსულიდან თურქულში გადავიდა და კაოშკად იქცა, აქედან კი ევროპაში გავიდა და ფრანგულში kiosque მოგვცა³, რომელიც რუსულში გადმოვიდა КИОСК-ად და რუსულიდან ჩვენში მეორედ შემოვიდა კიოსკ-ის ფორმით და სხვა მნიშვნელობით.

მანა. ი. ნათლისმცემლის თავის კვეთის პირველ საკითხავში, რომელიც ი. ოქროპირის თხზულებად ითვლება (გვ. 206—212), იკითხება: „დედაკაცი ვინმე იყო ცოდვილი ქალაქსა მას შინა. ვითარცა ესმა იესუსი მუნ ინაწით-ჯდომაჲ, მოვიდა იგი სახლსა მას და აქუნდა მანითა ნელსაცხებელი და და-ასხა ფერკთა უფლისათა“ (211, 7). აქ ნახმარი „მანა“ სიტყვის განმარტება მოცემულია ცოტა ქვემოთ: „მოვიდა იესუსა აღჭურვილად, მოაქუნდა ნელსაცხებელი მანითა, ცრემლი თუალითა, უსულოთა მით ქურჭლითა, ნელსაცხებელი“ (211, 36). ორსავე შემთხვევაში სიტყვა მოცემულია მოკმედ. ბრუნვის ფორმით („მანითა“), მისი სახელობითი შეიძლება იყოს ან მანი, ან მანა, მაგრამ აქ მანა იგულისხმება, რომელიც წარმოადგენს ასურულ (სირიულ) სიტყვას (მანა „ჭურჭელი“).

მანძილი. ნახე სავანე.

მარნი. ნახე არშებრ.

მესია. ნახე მშია.

მეშალილება. ნახე შალილი.

მთიები. ნახე ლამის მხერვალი.

მიგრი. ნახე ვიგრი.

მიგრიაული. ნახე მიგრი (ვიგრთან).

მორდარი, მორდალი. ნახე მუჭრაკი.

მურდარი. ნახე მუჭრაკი.

მუჭრაკი. ი. ოქროპირის ერთ თხზულებაში იკითხება: „ამისა შემდგომად [წინაწარმეტყველი იონა] შევიდოდა ქალაქსა მას შუენიერსა და დიდსა და ქადაგებდა ბრძანებასა მას პატიუისასა, ვითარცა მუჭრაკითა სამეუფოთა

¹ გ. მთაწმინდელი, ცხორებაჲ იოანესი და ეფთჳმესი. გამოსაცემად დამზადა ივ. ჯავახიშვილმა (ძველი ქართული ენის ძეგლები, 3), 1946, 58, 7 (გვ. 33).

² ქართულ-რუსულ-ჰრანციატული ლექსიკონი. СПб 1840; საუნჯე ქართულის ენისა, ქართულ რუსული ლექსიკონი. СПб. 1887—1890.

³ ბიანკის თურქულ ლექსიკონში აღნიშნულია რომ „კაოშკი“ ფრანგულია წარმოშობით, ლარუსის მცირე სურათებიანში კი, პირუკუ, ნათქვამია, რომ ფრ. kiosque თურქულიაო ფრანგ. სიტყვის ფორმა მართლაც თურქულის მეშვეობას გულისხმობს, მაგრამ წარმოშობით სპარსულია.

მოსასრველსა მას ბრძანებასა, და იტყოდა, ვითარმედ: შემდგომად სამისა დღისა ნინევეს დაქცევად არს“ (107, 30—33). აქ ნახმარი „მუჭრაკი“ საშუალო-სპარსული სიტყვაა, რომელიც ნიშნავს საბუთს, დოკუმენტს, რომელსაც ხელს აწერს ან ბეჭედს ასვამს მისი გამცემი, კერძოდ, ეს არის მეფის ბრძანებულება. სიტყვა სომხურშიც იხმარება, მაგრამ იქ შ თანხმოვანი გადასმულია რაეს შემდეგ: *մուրակ* (მურჰაკ)¹. ამ სიტყვის ფუძეა *მუჭრ* და იგი ახალ სპარსულში იხმარება „ბეჭდის“ მნიშვნელობით (*مهر*). მისგან ნაწარმოებია *مهره* (მუჭრ-დნრ), რომელიც ქართულში შემოსულია ჰე-დაკარგულად: მურდარი, მორდარი-ი, ასიმილაციით: მორდალ ი². იგი აღნიშნავდა პირს, რომელსაც სახელ-მწიფო ბეჭედი ებარა.

მშია, მესია. ქართული საღვთისმეტყველო ტერმინოლოგიის კავშირს ასურულთან (სირიულთან) ამჟღავნებს **მშია**, რომელიც ქართული ფორმაა, მიღებული ასურ. **მშია**-საგან („ცხებული“, „ქრისტე“). „მშია“ გვხვდება „ჯუარის გამოჩინების“ საკითხავში: „ზაქეოს, მამის მამამან ჩემმან, ამცნო მამასა ჩემსა სიმონს და ჰრქუა, და მამამან ჩემმან მე მამცნო და მრქუა: ეკრძაღე, შეიღო ჩემო, რაჟამს ძიებაჲ იყოს ძელისაჲ მის, რომელსა ზედა მშია ჯუარს-ეცუა, გამოუჩინე იგი პირველ ვიდრე გუჟმად შენდამდე, რამეთუ არღარა ებრაელთა ნაშობნი მეფობდენ, არამედ მიერითგან მათი მეუფებაჲ იყოს, რომელნი ჯუარ-ცუმულსა თაყუანის-სცემდენ“ (239, 36—240, 3). ეს ნაწყვეტი მე ერთხელ უკვე დავიმოწმე, ოღონდ უდაბნოს მრავალთავის მიხედვით³, სადაც „ზაქეოს-ის“ ნაცვლად **ზაქე** იკითხება და „სიმონ-ის“ ნაცვლად—**შიმონ**. სინურ მრავალთავში ეს სახელები ბერძნული ფორმით არის მოცემული (ზაქეოს, სიმონ), მაგრამ **მშია** მაინც ხელ-უხლებლად არის დატოვებული. ამ 32 წლის წინათ მე შევნიშნავდი: „**შიმონ** და **მშია** (=მშია, მესია) ასურული ფორმებია, რომელთაც სომხეთზე უნდა გამოეცვლოს და რომლებიც, უეჭველია, ძველი ლიტერატურული გზების მაჩვენებელია“. ეს შენიშვნა დღესაც ძალაში რჩება, მაგრამ სომხეთზე გამოვლა შეიძლება აუცილებელი არ იყოს.

რაც შეეხება „მესია“-ს, იგი უკვე ოთხთავის ენაში გვხვდება და უეჭველია, რომ ეს არამეული (კერძოდ, ასურული) სიტყვა ბერძნულის გზით არის ჩვენში შემოსული: *Εσρήξαμεν τὸν Μεσσίαν, ὃ ἐστὶν ἡμετέριον σωτῆρα Χριστὸν* ვპოვეთ მესია, რომელ არს თარგმანებით ქრისტე (იოვ. 1, 41), არაბულიდან კი „აბდულ მესია“ მოდის: *عبد المسيح* აბდ-ულ-მესიჰი). მაგრამ მასაც ასურულის ა ახლავს ბოლოს, რაც „მესია“-ს გავლენით აიხსნება.

მცირე. ნახე სულმცირე.

მხერვალი. ნახე ღამის მხერვალი.

¹ H. Hübschmann, Armenische Etymologie, Strassburg 1895, 167.

² „დაიჭირეს გიგი, აიყვანეს მალა ციხეში, სამი დღე იქ დააპატიმრეს და მერე გაისტუმრეს ზღმწიფისთან, თან გაატანეს კახი ბატონის მორდალი სოლომონ და ყაზახის სულთანნი“ (პაპუნა ორბელიანი, საქართველოს ცხოვრება, ჩუბინაშვილის გამოცემა: ქართლის ცხოვრება, II, 1854, გვ. 380).

³ ხანმეტი მრავალთავი: ტუმ, VII (1927), გვ. 107.

მცირე, სულმცირე, ფართო. „მძიმის“ საპირისპირო სიტყვად ძველად, ადრინდელ პერიოდში, იხმარებოდა „მცირე“ ან „სულმცირე“. მათეს თავის ორსავე ძველ რედაქციაში იკითხება: „რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვრთი ჩემი მცირე არს“ (მთ. 11, 30)¹. „მცირის“ ნაცვლად გიორგისეულ რედაქციაში უკვე „სუბუქი“ (სპ. سبک) იკითხება: „რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვრთი ჩემი სუბუქ არს“². ტბეთის ოთხთავში იკითხება: „ტვრთი ჩემი მცირე არს“, მაგრამ ოპიზის 913 წ. ხელნაწერში „მცირე არს“ გადასწორებული ყოფილა ასე: „სუბუქ არს“³. სინურ ლექციონარში კი იმავე მნიშვნელობით „სულმცირე“ იხმარება: იოვანშისა მას ნათლის-ცემასა შთავიდოდა კაცი ტვრთოსანი ცოდვითა და აღმოვიდოდა სულმცირე 78, 1—11; სულმცირემან ღრუბელმან 40, 20; ღრუბელთა ზედა სულმცირეთა მჯდომარე 36, 38—37, 1. „სულმცირე“ კომპოზიტი და იმგვარადვეა შედგენილი, როგორც სომხ. *ქიբრიქ (ქი კობ ჯამ ქაიყერ ჯ ს კხან ჯამ ქიბრიქ*, მთ. 11, 30).

როგორც ჩანს, მჩატის ანუ მსუბუქის მნიშვნელობით „ფართო“-ც იხმარებოდა და აქედან აღფართება—შემსუბუქება. სევერიანე გაბალონელის თხზულებაში („შესხმისათჳს ყრმათაჲსა“) იკითხება: აწ იპოვე შენ, კიცო (=კიცუო), ქრისტესა და შეიწურე (=შეიჭურე?) ზედა-მჯდომელი იგი არა თუ დამამძიმებელი, არამედ აღმართებელი. და ვიდრემდის ჩუენ ქრისტე არა ვიტვრთით, ყოვლითა ცოდვითა ტვრთ მძიმე ვიყვნით. ხოლო, ოდეს ქრისტე ვიტვრთით, ყოვლისაგან თავისუფალ ვიქმნით, ვითარცა თვთ იტყჳს, ვითარმედ⁴: აღიღეთ უღელი ჩემი თქუენ ზედა და ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშჳდ ვარ და მდაბალ გულითა, რამეთუ უღელი ჩემი ცხებულ და ტვრთი ჩემი ფართოა“ (134, 20—26). აქედან ჩანს, რომ ფართო—მჩატი, მსუბუქი; აღმართებელი—შემამსუბუქებელი.

პალავანდი. ს. ორბელიანს **პალავანდი** ღუშაყად აქვს ახსნილი, ხოლო „შეჰპალავანდა—ღუშაყით შეკრა“. თვით ღუშაყის შესახებ კი იგი ამბობს: „სხუათა ენაა, ქართულად პალავანდი ჰქვიანო“. სულხან ზედაყრდნობით დ. ჩუბინაშვილი განმარტავს: პალავანდი — ცხენთ ფეხთ სახლათი თასმა, ღუშაყი, ремень“. სულხანი წყაროს არ უჩვენებს, მაგრამ მეგონია, რომ მან „შეჰპალავანდა“ ამოიღო ი. ოქროპირის თხზულებიდან, რომელიც იოანე ნათელისმცემლის თავის კვეთის ხსენების დღის საკითხავად არის განკუთვნილი (ამ წიგნში 206—212)⁵. აქ იკითხება: „იხილე უფლისა

¹ ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით. გამოსცა ა. შანიძემ. 1945.

² ახალი აღთქმა. 1912.

³ „По скобленному из другого чтения, от которого разбирается буква ѿ: Четвероевангелие в древнегрузинском переводе. Издал В. Венешевич, СПб 1909. [თ შეიძლება ფარო-ს ნაშთი იყოს].

⁴ მოსდევს ციტატა მათედან: 11, 29—30.

⁵ სულხანმა იგი უთუოდ სხვა ზელნაწერიდან მოიყვანა.

მოდღურება: ნუ ჰფუცავ ყოვლადვე; რაჟსა ჰფუცავ, რაჟთა არა ფიცსა ზედა შეჰპალავანდო თავი თჳსი“ (210, 13—14). „პალავანდი“ საშუალ-სპარსული სიტყვაა („პაზავანდა „ფეხის ბორკილი“¹), რომელმაც სომხურში „პარავანდ“-ი მოგვცა (*պարավանդ* „ხელის ან ფეხის ბორკილი“ აჭარიანით)² და ახალ სპარსულში—ფ ა ბ ა ნ დ -ი ან ფ ა ბ ა ნ დ -ი (*فاباند*, *فابند* „ფეხის ბორკილი“; „დაბორკილი“).

ეს ახალ სპარსული „ფაბანდი“ მეორედ შემოსულა ჩვენში (არ ვიცი, რა გზით) და რაჭაში იხმარება **ფარმანდ**-ის ფორმით, როგორც ეს ჩანს ვ. ბერიძის „სიტყვის კონიდან“. სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა ყოფილა „ცხენთ საბორკავი, პალვანდი, ღუშაყი“³. ჩემი რაჭაში ყოფნისას 1916 წ. ვ. ბერიძის წიგნის ჩემს ცალში „ფარმანდ“-ის ახსნასთან მიმიწერია ფანქრით: „ღვედისა“.

სავანე. სინა-რაითის მამათა მოსრვის ამბავში იკითხება: „და შორის რაითსა და შორის მთასა სინასა არს ორის დღის სავანე, პირსა ზღვსა მეწამულისასა“ (268, 37). გული მიმწევდა, გამესწორებინა და „სავანის“ ნაცვლად „სავალი“ დამებეჭდა, მით უმეტეს, რომ, როგორც კ. კეკელიძის გამოცემიდან ჩანს (კიშენი, I, 31, 11), ათონის მრავალთავში სათანადო ადგილას **სავალი** ყოფილა („ორის დღის სავალი“), მაგრამ დავეჭვდი: არის კი საჭირო, რომ გასწორდეს? მართალია, „სავალი“-ც იკითხება ძველის სხვა ადგილას: „და ვითარ მოვიდეს დღისა სავალსა (98, 6), მაგრამ „სავანე“ ნიშნავს ჩამოსახლმ ადგილსაც (დიდ საქარავნო გზაზე), სადაც დაივანებენ, ე. ი. ღამის გასათევ სახლს, სასტუმროს. ამ მნიშვნელობით იკითხება ეს სიტყვა ლუკას სახარებაში: და შვა ძმ იგი პირმშოჲ და შეხვა იგი სახუეველითა და მიიწვინა იგი ბაგასა, რამეთუ არა იყო მათა ადგილ სავანესა მას“ (ლუკ. 2, 7)⁴. სათანადო ადგილას ბერძნულში იკითხება: *ἐν τῇ οἰκίᾳ αὐτοῦ ὡς ἐν τῇ καμαρίᾳ*, სომხურში კი: *զի ոչ գոյր նոցա սხիլ յիջևանին* (ვარიანტი: *յիջևանին*).

ეს სახელი („სავანე“) უნდა ჰრქმეოდა ძველად არა მარტო სასტუმროს, არამედ საზოგადოდ დასასვენებელ ადგილს, სადგომ სახლს, სადგურს, ქარვასლას დიდ საქარავნო გზაზე, რასაც არაბულად „მანზილი“ (*منزل*) ჰქვია, რომელიც ქართულში „მანძილ“-ის სახით შემოვიდა და რომელიც თავდაპირველად ჩამოსახლმ ადგილს, სადგურს აღნიშნავდა, შემდეგ მანძილს სადგურიდან სადგურამდის და უკანასკნელ—მანძილს საზოგადოდ, ე. ი. დისტანციას ორ პუნქტს შორის.

¹ H. Hübschmann, Arm. Grammatik. I Theil. Arm. Etymologie. 1895—97 p. 227.

² ჯ. Աճառեան, Հայկերէն արմատական բառարան ტ. V. 1931, გვ. 967.

³ ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა (МЯЯ. VI). СПб 1912.

⁴ ეს ადგილი სინურ მრავალთავშიც არის დამოწმებული (15, 26; 37, 17). „სავანე“ სამაყოფი ადგილის მნიშვნელობით თვით ამ ძეგლშია ნახმარი: მივიდა სავანესა მას პავლმს-250, 15.

ვეფხის-ტყალსანში მანძილის მნიშვნელობით „ეჯი“ (სომხ. *էջ*) იხმარება: აღრე დავბრუნდით, ვიარეთ არ ეჯი გზისა შორისა (477, 3).

„სავანის“ ერთი მნიშვნელობა თავდაპირველად უნდა ყოფილიყო სადგური დიდ შარავზაზე, სადაც მოგზაურნი დაივანებდნენ, აქედან შემდეგ დისტანცია სადგურებს შორის და, უკანასკნელ, საზოგადოდ მანძილი. ამიტომ ჩვენი ძეგლის „ორის დღის სავანე“, თუ იგი შეცდომა არ არის, იგივე უნდა იყოს, რაც „ორი დღის გზა, ორი დღის მანძილი“.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ მოვიგონოთ, რომ **სავანე** სოფელს ჰქვია, რომელიც მდებარეობს საჩხერის რაიონში (არგვეთის სასოფლო საბჭოში), ხოლო **სავანისუბანი** სოფელია ხაშურის რაიონში (ტეზრის სასოფლო საბჭოში). მგონია, რომ ამ სოფლების სახელები იქიდან წარმოდგა, რომ იქ ძველად გადიოდა დიდი შარავზა და იყო სავანე, სადაც შეიძლებოდა ჩამოხდომა და დავანება, დასადგურება.

სიცოცხლე. ნახე ცოცხალი.

სმნიერი. სულხან ორბელიანს **სმნიერი** „სამ წლისად“ აქვს ახსნილი და იმოწმებს ადგილს მეფეთა წიგნიდან (I, 1, 24), სადაც ბაქარის გამოცემაში (1742/3) და თბილისურში (1884) „სამ-წლოვანი“ იკითხება („ზუარაკითა სამ წლოვანითა“). სულხანს ხელთ სხვა რედაქციის ტექსტი ჰქონებია და იქიდან ამოუღია **სმნიერი**, რომელიც ოშკის ხელნაწერშიც იკითხება: „და შემდგომად მისა აღვიდა იგი სელომდ და თანა-წარბა მან ზუარაკი ერთი სმნიერი“. სამაგიეროდ იმავე ოშკური ბიბლიის პირველ წიგნში სათანადო სიტყვაა „სამ წლისაჲ“: „და ჰრქუა მას ღმერთმან: მომგუარე მე დიაკეული სამ წლისაჲ და თხაჲ სამ წლისაჲ და ვერძი სამ წლისაჲ და გურიტი და ტრედი“ (დაბ. 15, 9). სწორედ ეს ადგილია დამოწმებული სინურ მრავალთავში, მაგრამ აქ „სამ წლისას“ ნაცვლად **სმნიერი** იკითხება: „ამისთჳს ამცნო გურიტისაჲ უფალმან აბრაჰამსა, ვითარმედ: მოიყვანო შენ ჩემდა დიაკეული ერთი სმნიერი და ვერძი ერთი სმნიერი და ვაცი სმნიერი და გურიტი და ტრედი“ (226, 23—26). ამ სიტყვაში საყურადღებოა ხმოვნის ამოღება სამ-იდან და ნიერ სუფიქსი, რომელიც „ბედნიერ“-შიც გვაქვს. **სმნიერი** — სამის მქონები, სამიანი (იგულისხმება ხნოვანება, წლებით განსაზღვრული)

სტუქო. ნახე წესი,

სულმცირე. ნახე მცირე.

ტაბასტაკი. სინურ ლექციონარში იკითხება: იოანე ნათლისმცემელიო „ტაბასტაკ-დაგებულთა მათ და სამეუფოჲსა ტაბლისა ზედა მსხდომარეთა დაადგრა ზე და მბრძანებელსა ეგრე ეტყჳს: არა ჯერ-არს“ (208, 6—8). „ტაბასტაკი“ სპარსულია და ხალიჩას ჰქვია. თავისი აკ-ით იგი საშუალ-სპარსულობას ამკლავნებს, ახალ სპარსულში იგი „თაბასტა“-დ იქცა (*تابلت* a fringed carpet, „ფოჩებიანი ხალიჩა“, შტაინგასით). იმავე მნიშვნელობით სიტყვა ძველ სომხურშიც იხმარება, მაგრამ ჰარით (*տապաստակ* ტაბასტაკ).

ურთიერთას. ნახე სიტყვების მონაცვლეობა.

უუიკ-ი. ნახე არშებრ.

ფართო. ნახე მცირე.

ფარმანდი. ნახე პალავანდი.

ქარგადანი. ნახე ვიგრი.

ლამის მხერვალი, მთიები. როგორც ცნობილია, ვენერა (ასპიროზი, აფროდიტე) ყველაზე ბრწყინვალე მნათობია ცთომილებსა და ვარსკვლავებს შორის. იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია ეს ცთომილი ორბიტზე დედამიწისა და მზის მიმართ, იგი ან დასავლეთით კაშკაშებს, სალამოს, მზის ჩასვლის შემდეგ, ან აღმოსავლეთით, გათენების წინ, მზის ამოსვლამდე. ამიტომ იგი ორ სხვადასხვა ვარსკვლავად მიაჩნდათ ძველად და სახელიც ორი ჰქონდა, რომელთაგანაც ერთია ბერძნული **ასპიროზ** (Ξαπειρος) მეორე—ქართული **მთიები**. უკანასკნელის შესახებ ს. ორბელიანი ამბობს: „**მთიები**. ესე არს აფროდიტი, რომელ არს ცისკრის ვარსკვლავი“. მაგრამ ბერძნული „ასპიროზის“ ნაცვლად წინათ სხვა ქართული სახელი ყოფილა, რომელიც ცნობილი ხდება იოანე ოქროპირის „სატფურების“ საკითხავიდან, სადაც მოციქულები ვარსკვლავებთანაა შედარებული. აქ იკითხება: „ვარსკვლავთაჲ რომელიმე ღამის მხერვალ არს, რომელიმე—მთიები, ხოლო მოციქულთაგანი არაჲინ ღამის მხერვალ არს, არამედ ყოველნივე ვითარცა მთიებნი ბრწყინვალე არიან“. ეს გადმოგვცემს შემდეგ ადგილს ბერძ. ტექსტისას: 'Εν τῷδε ἀστέρει εἰ μὲν ἔστιν Ξαπειρος, ἢ δὲ φασφείρ, ἢ τῷδε ἀπιοστρίει Ξαπειρος ὀμβρὶς, ἀλλὰ φασφείρ πάντας. „მთიების“ ეტიმოლოგია სწორად მოჰყავს ს. ორბელიანს: „მთიები ითქმის განმანათლებლად (+გინა მთენებელად B)“. მართლაც, „მთიები“ წარმოდგება თევზა-სავან და ასე დაიშლება: მ-თი(ვ)-ებ-ი→მთიები, რომელიც ათი(ვ)-ებს, ანუ ათევს, ე. ი. ათენებს (შდრ. ღამე გავათიე, გაათია).

რაც შეეხება „ღამის მხერვალს“, რომელიც ბერძნ. Ξαπειრ-ს უდრის. მისი მეორე ნაწილი („მხერვალი“) წარმომდგარია „ხერვა“ ზმნისაგან და ისეა ნაწარმოები, როგორც მკერვალი, მხატვარი, მღებარი, მწერალი და სხვ., მაგრამ რას ნიშნავს „ხერვა“, არ ვიცით, რადგანაც ასეთი ზმნა სხვა წყაროებიდან ჯერჯერობით არა ჩანს.

შალილ-ი. ამ სახით სიტყვა არ გვხვდება ძველში, მაგრამ გვხვდება მისგან ნაწარმოები **დაშალილნეს** და **მეშალილება**. ერთგან იკითხება: „არა არიან დღეს მკეცნი მძევარენი, რომელთამცა მძორებრ დაშალილნეს კორცნი ჩუენნი უფლისა ჩუენისათჳს, რაჲთამცა უძღვით მას და გვრგვინოსან ვიქმნენით“ (261, 18—21). სხვაგან იკითხება: „და ლათუ [ლომნი] განძვნებულ იყვნეს კლვად მისა (იგულისხმება: დანიელისა) მეშალილებსა მისგან ბუნებისა დამზადებულსა მას ზედა კორცსა და ლათუ ბუნებაჲ იგი მკეცთაჲ აწუევდა, შეიშინეს და ვერ იკადრეს შეხებად კორცთა“ (108, 17—19). „შალილი“—ეს არის სომხ. շալիկ, რომელიც გვხვდება, სხვათა შორის, გამოსლვათა წიგნის 21-ე თავში. აქ ოშკურ ბიბლიაში ქართულად იკითხება: „უკუეთუ ვინმე მოაღოს ჯურღმულსა ანუ აღმოჰკუთედეს ჯურღმულსა და არა დაარქუას მას და შთავარდეს მას ზროხაჲ ანუ ვირი, უფალმან მის ჯურღმუ-

ლისამან მისცეს ვეცხლი უფალსა მათსა, ხოლო მკუდარი იგი მისი იყოს“ (21, 23—34)¹. აქ მოყვანილი სიტყვები „მკუდარი იგი მისი იყოს“ სომხურში აგრეა გადმოცემული: *և չափին հորս լիցի* („და შალილი იგი მისი იყოს“). შალილი — მკვდარი ცხოველი, მძორი, ხორცი; მე შალილე — ხორცის მკამელი, მძორის მკამელი; **მეშალილება** — ხორცის მკამლობა, მემძორეობა; „მძორებრ და შალილნეს ჯორცნი ჩუენნი“ — მძორსავეთ შეჭამონ ჩვენი ხორცი.

შარავანდი, შარავანდედი. როგორც ნ. მარმა აღნიშნა, **შარავანდი** სპარსულია და მეფის გვირგვინს ნიშნავს. აქედან არის **შარავანდედი** — გვირგვინოსანი, მეფე². ჩვენს ძეგლში „შარავანდ“-იც იხმარება და „გვრგვნი“-იც. მაგრამ მათ შორის ის განსხვავებაა, რომ „გვრგვნი“ ყოველგვარ გვირგვინზე ითქმის (მაგ., ასპარეზზე გამარჯვებულს ძლევის გვირგვინით აჯილდოებენ: „გვრგვნის მომცემელი იგი მძლეთაჲ“ 186, 25), „შარავანდი“ კი უმეტესად მეფის გვირგვინზე ითქმის: მეფე იგი მათი, რომელსა შარავანდნი თავსა ედგნეს 108, 2; მეფენი, რომელთა ედგნეს შარავანდნი თავთა მათთა 224, 3; აწ ესერა შარავანდედსა ამას ჩუენსა შარავანდნი თჳსნი აღუმაღლე-ბიან 224, 27 (შდრ. 155, 20).

„შარავანდედი“ გვირგვინოსანს, მეფეს ნიშნავს თამარ მეფის ისტორიის სათაურში: „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, მაგრამ ამ სიტყვამ ახალ ქართულში ბრწყინვალეობის, ბაქმის მნიშვნელობა მიიღო. ამ ახალი მნიშვნელობით „შარავანდედი“ უკვე ეფრემ მცირის ერთ ნაშრომში გვხვდება: „ხოლო თანა-მონადირენი იგი მისნი ჩუშულეებისაებრსა მას ხედვიდეს შარავანდედსა მზისასა და იგი ოდენ მხოლოდ დაშთომილ იყო შეკრულად საკრველთა ვერ-მხედველობისაჲთა“³.

ცოცხალი. ნახე ცხოველი.

ცხებული. „ფართო“-სთვის მოყვანილ ციტატაში მათედან (11, 29—30)⁴ სხვაც არის საყურადღებო: აქ იკითხება: „უღელი ჩემი ცხებულ“, რაც იმით აიხსნება, რომ აურევიათ ერთმანეთში ბერძ. *χρηστός* („საამური“, „ტკბილი“) და *χρηστός* („ცხებული“). ბერძნული ტექსტის სათანადო ადგილას იკითხება *Ὁ γὰρ ἄγιος μὴν χρηστός ἐστί.* ეტა (η) წაუკითხავთ ი-დ (ქრისტოს ან ხრისტოს) და სიტყვა „ცხებულად“ უთარგმნიათ.

ცხოველი, ცოცხალი. ძველის-ძველად „ცხოველი“ აღნიშნავდა ცოცხალს და მისი საპირისპირო სიტყვა იყო „მკუდარი“ (მრავლ. რიცხვში „მკუდარნი“ ან ზოგჯერ „მომწყუდარნი“), ხოლო **განცხოველება** გაცოცხლებას ნიშნავდა.

ეს ძველი მნიშვნელობა სიტყვისა კარგად ჩანს სინურ მრავალთავშიც: განრჩად ცხოველთა და მკუდართა 51, 24; შენ სამ დღისა მკუდარი და უკუ-

¹ წიგნი ძეგლისა აღთქმისანი. ტ. I. ნაკვ. 1. გამოსცა ა. შანიძემ. 1947.

² TP III, стр. LXX—LXXI. მზია ან დრონიკა შვილი ერთს მის ჯერ დაუბეჭდავ წერილში „შარავანდის“ მეორე ნაწილს სხვაწარად ხსნის, ვიდრე ნ. მარო.

³ ეფრემ მცირე, უწყებაჲ მიზეხსა ქართველთა მოკცევისასა, თ. ბრეგაძის გამოცემა. 1959, გვ. 7 (ეს უდრის ბერძნულის ტექსტს: *καὶ οἱ μὲν σὺν ἡγεμόνεσσι τῇς ἀκτίως σὺν ἰσὺς ἀπὸ κλαυθίου* და სხვ.).

⁴ ნახე ზემოთ (გვ. 329) ფართო (მცირესთან).

ნისამდე ცხოველი 174, 33—34; რაათა ცოდვითა მომკუდარი იგი კაცი კუალად განაცხოველოს 17, 34; მომწყუდართა განაცხოველებს 11, 37; (ქრისტე) შთაჲდა ჯოჯოხეთა... და განცხოველდა და აღდგა 154, 27.

იმავე ძველის ძველ ენაში **ცოცხალი** აღნიშნავდა ტანმრთელს, ჯანმრთელს, **სიცოცხლე** — ჯამრთელობას, ხოლო **განცოცხლება** — მორჩენას. „ცოცხლის“ საპირისპირო სიტყვა იყო „სნეული“. ამის მაგალითები სინურ მრავალთავშიც მოიპოვება: (პეტრე) მასვე ღამესა დაეცა და აღმართა, იწყლა და დასნეულდა და მერმე განიკურნა და განცოცხლდა 103, 13—14 (ე. ი. მერმე მორჩა და ტანმრთელი შეიქნაო); სნეულისა სიცოცხლისათჳს ევედრების 122, 21 (ავადმყოფის ჯანმრთელობისთვის ევედრება); [მოციქულებს მკურნალი იმიტომ ეწოდებაო], რამეთუ წყლულებანი ჩუენნი განკურნეს და ნაგუემნი ჩუენნი განაცოცხლეს 218, 18—19. ეს იყო ძველი მნიშვნელობა „ცოცხლისა“ და მისგან ნაწარმოები სიტყვებისა.

შემდეგში „ცოცხალმა“ მნიშვნელობა იცვალა და მიიღო ის მნიშვნელობა, რომელიც დღესაც აქვს, ე. ი. დაუპირისპირდა „მკუდარს“.

პავლე მოციქულის წამებაში მოთხრობილია, რომ ნერონ კეისრის პირის მწდე ახალგაზრდა პატროკლე დაინტერესდა პავლეს ქადაგებით და წავიდა მის მოსასმენადო, მაგრამ ხალხის სიმრავლის გამო ვერ შევიდა პავლეს სადგომში და ავიდა სამ-სართულიან სახლში, გადმოჲდა სარკმელზე და იქიდან უსმენდა, მაგრამ ძილი მოეკიდა, გადმოვარდა და მოკვდაო. ეს ამბავი აცნობეს კეისარს, რომელიც შეწუხდა, მაგრამ რალას გააწყობდა, პატროკლეს ადგილას სხვა კაცის დაყენება ბრძანაო. ამასობაში მკვდარი პატროკლე მიუტანეს პავლეს, რომელმაც იგი ღოცვით გააცოცხლაო. გაცოცხლებული პატროკლე კეისართან გაგზავნესო და მოახსენესო: „პატროკლე ცოცხალ არს და დგას იგი ბჭეთა გარე“. როცა შეიყვანეს კეისართან, მან ჰკითხა: „პატროკლე, ცოცხალ ხარა“? ხოლო მან ჰქუა: ცოცხალ ვარ, უფალო კეისარ. კეისარმან ჰრქუა მას: და ვინ არს, რომელმან განგაცოცხლა შენ“? (250—251). ამ ადგილიდან ჩანს, რომ „ცოცხალს“ და „განცოცხლებას“ იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც დღევანდელ ქართულში.

შემდგომი თხრობიდან ვტყობილობთ, რომ ნერონმა განაჩინა პავლეს თავის მოკვება და, როცა მიჰგვარეს მას პავლე, მან კეისარს უთხრა: „კეისარ, არა მცირედ ჟამ ცხოველ ვარ მე ჩემისა მეუფისა და, ოდეს თავი მომკუთეთო, მე აღვდგე და გამოგეცხადო შენ, რაათა სცნა, რამეთუ არა მოგკუთედ, არამედ ცხოველ ვარ მე უფლისა ჩემისა მიერ იესუ ქრისტესა“ (252, 9—11).

აქედან ჩანს, რომ ერთსა და იმავე მოთხრობაში ერთისა და იმავე ცნების გადმოსაცემად (*живой*) ძველი ტერმინიც არის ნახმარი („ცხოველი“) და ახალიც („ცოცხალი“).

შეიძლება ითქვას, რომ IX საუკუნის მეორე ნახევარში „ცოცხალი“ ახალი მნიშვნელობით იხმარებოდა არა მარტო სასაუბრო ენაში, არამედ სალიტერატუროშიც, როგორც ეს ჩანს მაკარი ლეთეთელის ანდერძიდან, სადაც „ცოცხალს“ „მიცვალებული“ უდგას პირისპირ: მაკარი ამბობს: „რო-

მელნი აღმოიკითხვიდეთ წმიდათა ამათ სიტყუათა ამათ მიერ, ჩვენ პირველ მოვსენებულნი ესე ცოცხალნი და მიცვალებულნი მოგვსენებით ღმრთისათჳს წმიდათა ლოცვათა თქუენტა შინა“ (280, 17—18), და რა გასაკვირველია, რომ ერთი საუკუნის შემდეგ იოვანე-ზოსიმესთვის, რომელმაც მე სამედ შემოსა სინური მრავალთავი, „მიცვალებულის“ საპირისპირო ცნება „ცოცხალი“ ყოფილიყო: „გვედიეთ წმიდასა ლოცვასა თქუენსა მე, ფრიად ცოდვილი იოვანე, და მიქაელ და მიქაელ და მშობელნი და ძმანი ჩუენნი და ყოველნივე ჩუენეულნი, ცოცხალნი და მიცვალებულნი, სულიერნი და ჯორციელნი“ (282, 9—11).

თუ როგორ ცვლის „ცხოველს“ „ცოცხალი“, ეს კარგად ჩანს ფსალმუნის ერთი ადგილიდან (ფს. 54, 16), რომელიც სხვადასხვანაირად იკითხება ძველ ხელნაწერებში: **Г** რედაქციის ტექსტი (**A** 38 ხელნაწერისა) ასეთია: „მოვედინ სიკუდილი მათ ზედა და ცხოველნი შთაჲდენ იგინი ჯოჯოხეთად“. **Г** რედაქციის ძველ ხელნაწერებში (რომლებიც აღნიშნულია BCDE ლიტერებით) იგივე სიტყვა მეორდება, თუმცაღა კი სხვა ფორმით: „და ცხოველივე შთაჲდენ იგინი ჯოჯოხეთა“, ხოლო **Г** რედაქციაში (ე. ი. გიორგისეულში) ფორმა იგივეა, რაც **Г** რედაქციაში, მაგრამ სიტყვა — სხვა: „და ცოცხლივე შთაჲდენ იგინი ჯოჯოხეთა“¹.

წარცოდვა. ნახე თანა-წარცოდვა.

წესი. ეს სიტყვა სომხურშიც იხმარება (**ძეს** წმს), მაგრამ იქ იგი ქართულიდან ნასესხებად ითვლება². მას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს, რომელთაგან ერთი თითქმის უცნობი იყო და სინური მრავალთავიდან ხდება ცნობილი. აქ წყლის შესახებ იკითხება: „უკუეთუ ვისმე სწადის კითხვად, ვითარმედ რაღსა წყლისაგან და არა სხვსაგან წესისა მოეცემის მაღლი იგი, საღმრთონი წიგნი აიხუენ და ჰპოო, ვითარმედ დიდ და მთავარ არს წყალი და ოთხთა საჩინოთა მათ წესთა უმჯობეს“ (85, 9—12). სათანადო ბერძნულ ტექსტში იკითხება: *Εἰ δὲ τίς ποιεῖ γνῶμαί τι τὸ δὲ ψάτισι, καὶ μὴ δὲ ἐτέρῳ τῶν στοιχείων ἢ χάρει δίνονται, τὰς ψείας γράφει ἀναλαβὴν ἐν ῥήσει. Μέγα γὰρ τι τὸ ψάρι, καὶ τὸν τεσσάρων τῶν ἁπλοῦς στοιχείων τὸν φασιόμενον τὸ ἀλλοιωτὸν* (PG 33, pp. 432—433). მაშასადამე, აქ „წესს“ იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც შემდეგში იოანე პეტრიწის „ასოს“ მის ნათარგმნ ნემესიოსის წიგნში: „არიან უკუშ ასონი ოთხ: ქუშყანაჲ, წყალი, აირი, ცეცხლი“³. მაგრამ, როგორც აღნიშნავს ნემესიოსის წიგნის გამომცემელი ს. გორგაძე, ი. პეტრიწი შემდეგში სხვა ტერმინზე გადავიდა: იმავე მნიშვნელობით „კავშირს“ ხმარობდა⁴. მაგალითად, იგი ერთგან ამბობს: სტუქიოჲ ეწოდების

¹ მომყავს მუხეჲლა შანიძის მიერ დასაბუთად მომზადებული ტექსტის მიხედვით.

² ჰრ. ატარიანი, სომხური ენის ეტიმოლ. ლექსიკონი, III. (სომხ.).

³ ნემესიოს ემესელი. ბუნებისათჳს კაცისა ბერძნულითგან გადმოღებული იოვანე პეტრიწის მიერ. გამოსცა ს. გორგაძემ. 1914.

ეს მნიშვნელობა „ასო“ სიტყვისა უკავშირდება სომხ. *ասո* („ასო“) სიტყვის მნიშვნელობას: *ասո, սարք* (მრ. *սարքեր* „ასონი“, „სტიქიები“).

⁴ იქვე, გვ. 179.

კავშირსა... ოთხთა ამათ ვიტყვ: ცეცხლსა, აირსა, წყალსა და ქუეყანასა¹. სწორედ ეს უკანასკნელი ტერმინი დამკვიდრდა ქართულ ფილოსოფიაში, რაც ჩანს ვეფხისტყაოსნიდანაც, სადაც იკითხება:

დამშლიან² ჩემნი კავშირნი, შევპრთვივარ სულთა სირასა (884, 4). „კავშირნი“ აქ სტიქიებია ანუ ელემენტები, რომლებიც სახელდებით ჩამოთვლილია ნესტან-დარეჯანის წერილში:

ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა³
(1304, 1—2).

ს. ორბელიანმა „ასო“-ც იცის და „კავშირი“-ც; იგი „ასოს“ კავშირად განმარტავს და „კავშირს“—ასოდ: „ასო ელაღელთა ჯმითა ჰრქვიან კავშირთა. ამისთვის ფილასოფოსთა მიერ ასონი სახელ-ედებია: ცეცხლსა, აირსა, წყალსა და ქუეყანასა“. „კავშირი—ოთხი იგი ასონი: მიწა, წყალი, აირი და ცეცხლი არიან, ვინათგან ამათ მიერ არს ყოველთა სხეულთა შემტკიცება“. ამას გარდა, მან ბერძნული სიტყვა „სტიქია“ც იცის „სტუქო“-ს ფორმით: „სტუქო. ესე არს ოთხთა კავშირთა ანაქსენი“ და სხვ., მაგრამ მან არ იცის „წესი“ კავშირის მნიშვნელობით. ეს სიტყვა მის ლექსიკონში რომელიღაც მისი საქმის გამგრძელებელს ჩაუმატებია წყაროს დაუსახელებლად: „წესნი ოთხნი ნიეთნი“. ამას მოსდევს კავებში რედაქციის ახსნა სულხანის სიტყვებით [=კავშირი, ოთხნი იგი ასონი: მიწა, წყალი, აირი და ცეცხლი]⁴. რამდენადაც ვიცი, სხვა ლექსიკონებში ეს სიტყვა ამ მნიშვნელობით არ არის შეტანილი.

წინამსროლი. იოანე ნათლისმცემლის წოდებად ქართულ თეოლოგიურ ლიტერატურაში ბერძნ. *πρόδρομος*-ის შესატყვისად საბოლოოდ დამკვიდრდა „წინამორბედი“, რომელიც სინურ მრავალთავშიც გვხვდება (მაგ., 25, 23), მაგრამ მასთან ერთად „წინამსროლიც“ იხმარება (28, 1; 29, 1; 29, 31), რომელიც იმავე ზმნის ფუძისაგანაა ნაწარმოები, რომლისაგანაც „წინამორბედი“.

წუნ: მწუნს. ამჟამად მოგვეპოვება წყვილ-წყვილი ზმნები, რომელთაგანაც ერთი გარდამავალია და მეორე—გარდაუვალი: ვიძინებ—მიძინავს, ვიძულებ—მიძულს, ვიწონებ—მომწონს და მისთ., მაგრამ გვაქვს გარდამავალი ვიწუნებ და არა გვაქვს მისი ცალი, რომელიც გარდაუვალი უნდა იყოს.

¹ იოანე პეტრიწის შრომები. ტ. II. ტექსტი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაუხჩიშვილმა. 1937, გვ. 5.

² დამშლიან—დამშლია.

³ ეს ოთხი ელემენტი გამოსაცნობი კითხვაა „ქალვაჟიანში“. „ქალმა ჰკითხა ვაჟს: ვინ არის მამა შენიო? ვაჟმა მიუგო: ჰაერი და ცეცხლიო. ქალმა ჰკითხა: ვინ არის დედა შენიო? ვაჟმა მიუგო: მიწა და წყალიო („ქალვაჟიანი“, ზ. კიკინაძის გამოცემა, 1887).

⁴ ს.-ს. ორბელიანი. ქართული ლექსიკონი. პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით. 1928, გვ. 435.

ძველად კი გვქონია და შემდეგ დაგვკარგვია. სინურ მრავალთავში იკითხება: „ნუმცა გუწუნს ჩუენ სიმცირე ესე კრებულისაჲ“ 77, 16. ეს ნიშნავს, რომ ყოფილა გარდაუვალი ზმნა: მწუნს („ვიწუნებ“, „არ მომწონს“), გწუნს, სწუნს, გუწუნს (=გვწუნს).

ხუჟიკი. ნ. არშებრ.

ჰუჟიკი. ნ. არშებრ.

სიტყვების მონაცვლეობა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ (გვ. 320), ჩვენს ქრესტომათიაში მოთავსებული თხზულებანი სხვადასხვა დროს არის ნათარგმნი. ამიტომ იგი ასახავს კიდევ სხვადასხვა დროის ფორმებსა და სიტყვებს ან სიტყვათა სხვადასხვა დროის მნიშვნელობას. მაგალითად, ოთხთავის ენამ „ურთიერთას“ იცის, აქ კი ეგეც იხმარება, მაგრამ მას ხშირად „ერთიერთას“ ენაცვლება: ურთიერთას ეტყოდეს და ერთიერთასა უბრძანებდეს 120, 14—15:

დღევანდელი „ზოგის“ მნიშვნელობით ძველად „რომელიმე“ იხმარებოდა (მრ. რიცხვის ფორმით: რომელნიმე). იგი აქაც გვხვდება: რომელნიმე იტყოდეს, რომელნიმე დაემორჩილებოდეს, რომელნიმე ირყეოდეს, რომელნიმე ხილვადმდე ტანჯვისათჳს უმეტეს შეზინდეს (117, 4—5). მაგრამ მის გვერდით „ზოგი“-ც ჩნდება: და რომელნიმე ჩუენგანნი კადნიერ იყვნეს სიკუდილსა ზედა მხიარულითა გულითა, და ზოგნი—მწუხარე და შემუსრვილ გულითა, და ზოგნი ილოცვიდეს და ჰმადლობდეს ღმერთსა, და ზოგნი ერთიერთსა ნუგეშინის-სცემდეს 273, 28—30.

ვარიანტები. ძეგლში ერთი და იგივე სიტყვა ხშირად სხვადასხვა ფორმით გვხვდება, რაც დიდად საინტერესოა ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით: დაცული 199, 15 და დავშული 199, 16; მწიკული (შემწიკულებული 77, 10) და მწინკული 77, 11; ქრევა და ნქრევა (ქარნი აქრევდეს 119, 21; ქარი ანქრევდა 118, 29); ყუდრო და მყუდრო (ვითარცა ცხოვართა შორის მშვდთა და ყუდროთა 108, 16; მშვდსა მას და მყუდროსა და შეენიერსა მარხვასა 110, 21), უხრწნელი 201, 36, უხრწნელად 203, 10 და უტრწნელო 201, 13, უტრწნელად 203, 12; ძალიან მრავალფეროვანია „ზეშთა“-ს ვარიანტები: ზეშთა 65, 23, ჟესთა 172, 3, ჟეშთა (უჟეშთაეს 202, 25); გვაკლია „ჟეჟთა“, რომელიც ადიშის ოთხთავშია დადასტურებული (იოვ. 3, 31).

ტერმინები. საინტერესოა სურათს იძლევა ძეგლში შესული ტერმინები სხვადასხვა დარგისა: სოფლის მეურნეობისა, საფეიქრო, ნაოსნობისა, ანატომიისა და სამკურნალო, სამუსიკო და სხვ. ჩამოვთვალოთ ზოგი მათგანი:

ა) სოფლის მეურნეობისა: ყანაჲ 48, 21 (და სხვაგანაც), ყანობირი 67, 32; 68, 25; ჯეჯლი 26, 34; აღმოცენება (სხვადასხვა ფორმით, მრავალგან: აღმოსცენდა, მცენარე და სხვ.), ულუაწი ადგილი 64, 15; განირყუნეს ყანაჲ შენი და ნაყოფი შენი 48, 21—22; უქმნელი და უთესველი ყანაჲ 31, 30; იფქლი წმიდაჲ 51, 37, იფქლი თავ-წარსნმული 25, 24; ფეტჳ 233, 2;

ლუარძლი 51, 37; ნაყოფი 26, 34 (და სხვაგან), უნაყოფო, გარი უკუანა საბამი, მშრომელი, ურნატ-საესედ განმმართველი და ურმად მენე 66, 16; საწნველი 139, 18; 139, 24; მანგალი 205, 1; მომკა 34, 21; მოთიბა (მოთიბნა ჯეჯლნი 25, 24), თაფლი, თაფლუჭი 55, 8; რტოჲ ვენაჯისაჲ 34, 15; ვენაჯისა კჯრტი, რომელმან ტევანი გამოიღო 47, 25; კუფხალი 261, 36, სხლვა 159, 2; მარანი 18, 17; მწნეხარი 261, 31; მოსთულება 233, 4; ხუასთაგი 273, 3; ცხენი, ჰუნე, კიცკ, კაპრაული, ცხოვარი, ვერძი და სხვ.

საინტერესოა აღწერა იფქლისა, ვენახისა და ზეთისხილისა, გვ. 232—233; არა ნაკლებ საინტერესოა „ურგები ყანის“ დამუშავების წესი: „მუშაკმან ყანაჲ ურგები და განრყუნილი პირველად ცეცხლითა მოწვს და ამისა შემდგომად ძირი იგი საწნველითა აღმოჰფხურის და განარჩიის“ (139, 23—25).

ბ) ნ ა ო ს ნ ო ბ ი ს ა: მენავენი, მენავეთ-მოძლუარი, აფრაჲ უბოვანი 106, 2, სუეტი, საბელნი განზიდულნი 106, 2, ჯმელად გამოდგინებაჲ ნავისაჲ 107, 16, საბელნი კავთა ნავისათანი 277, 21, აღძრვაჲ ზღვსაჲ, დაათქა 105, 2, ლელვაჲ 106, 21, ნავი დაექა და სხვ.

გ) ს ა ფ ე ი ქ რ ო: ქსოვილი 44, 12, მატყლისა სამოსელი 55, 11, სელისა სამოსელი 55, 12; მთელი რიგი სიტყვები, რომლებიც საჭიროა ქსოვის პროცესისათვის: ქსელი, მქსოველი, მატყლი, საფუსალი (=საგსული?), ცხემლი¹ (40, 21—28) და სხვ.

დ) ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო: წამალი საკურნებელი 109, ვნებაჲ თავისაჲ და საღმობაჲ ფერჯთაჲ, მეყს შებოროტებაჲ 109, 14, განსივებაჲ სტომაქისაჲ, წყლით განსივებაჲ მუცლისაჲ და მსივანებაჲ (109), სტომაქ საღმობიერი 109, 28 და სხვ. შემადრწუნებელი სურათთა დახატული, თუ როგორ თანდათან კვდება ყინვისაგან დამზრალი კაცი (118).

* * *

სხვაც ბევრია საინტერესო სინურ მრავალთაგან (მაგ. თვეების სახელები, სამუსიკო ტერმინები, ჭურჭლისა, ქორწილისა, წვეულებისა და სხვ.), მაგრამ შეიძლება ამით დავამთავროთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს ძეგლი იმდენად მნიშვნელოვანია ქართული ენის ისტორიისათვის, რომ აუკიდებელია მისი სიმფონიის შედგენა, რომ გამოვლენილ იქნეს გრამატიკული ფორმების მრავალფეროვნება და სიტყვიერი მარაგის მთელი სიმდიდრე².

¹ ილია ჭყონიას თავის „სიტყვის-კონაში“ (პეტერბ. 1910, МЯЯ, I) თ. რ ა ზ ი კ ა - შ ვ ი ლ ის ცნობის მიხედვით შეტანილი აქვს: „ც ხ მ ლ ა—საქსოვი იარაღი, რაზედაც ძაფს გააბმენ და ქსელში გააქვთ და გამოაქვთ“. ჩემი ჩანაწერების მიხედვით (1913 წ.) მთიულეთში აგრეთვე „ცხემლა“ ითქმის, მაგრამ ზეესურეთსა და თუშეთში—„ცხემლი“. მოხვედები კი მის აღსანიშნავად „ჰალაჰა“-ს ხმარობენ.

² მაღლობას მოვასხენებ დოც. ლ. კ ი კ ნ ა ძ ე ს, რომელმაც ეს წერილი გადამიკითხა და რამდენიმე შენიშვნა მომცა.